



ღაბკღაბკეთი

მოწყალების კარი განგვიღე, კურთხეულო ღვთისშობელო, რათა რომელნი ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდეგობთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრისტიანეთასა ამინ.

სადიდებელი ღვთისა

უფალო ძლიერო, ბეთლემს შობილო, აღგვადგინე დაცემულნი და კვლავ მოგვანიჭე მაღლი შენი; მოგვმადლე განცდა თვისთა ცოდვათა და არა განკითხვად ძმისა ჩვენისა; მოგვეც სიბრძნე, სიმშვიდე, ერთგულება, ერთსულოვნება, გულის სიწრფელე, რწმენის სიმტკიცე, ჯანის სიმრთელე, მთლიანობა ქვეყნისა, შვილთა სიმრავლე, ნაყოფის სიუხვე, ამაღლებული სიყვარული, სასოება შეურყვნელი, რათა ვიხაროთ ორსავე სოფელსა შინა.

. . . და კაცის მჭამელთა მგელთა ოტებანი სრულიად საზღვართა შინა სრულისა საქართველო(მ)სათა წინაშე მისსა ლიტანიობითა და დედისა ღმრთისა ხატისა მის თანავე გარეთ განყვანებითა, რომელსა სასოებდა დედა(მ)ჩემი გამოუთქუმელითა სარწმუნოებითა და სამარადისო(მ)თა წინაშემდგომარეობითა და დაუღუმებელითა კითხვითა წმინდისა სახარებისა(მ)თა, ფსალმუნებითა და ლოცვითა, რომელი მე დამიტევა ანდერძობით, მფარველად ორისავე ცხოვრებისა ჩემისა.

ლაკლაკეთი

№4
2015 წელი

სალიტერატურო - სამხატვრო, სამეცნიერო - პოპულარული და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
და დამფუძნებელი
შალვა ველიაძე

მთავარი რედაქტორის
თანაშემწე
ნაზი ველიაძე

სარედაქციო საბჭო:

მალხაზ ბერიძე, ოთარ გოგოლიშვილი, ემენ დავითაძე,
ვაჟა დავითაძე, ზვიად ველიაძე, გურამ თურმანიძე,
გიორგი სარაჯიშვილი, შუშანა ფუტყარაძე,
ოთარ ცინარიძე,

ჟურნალი გამოდის მთავარი რედაქტორის და დამფუძნებლის ხარჯით

ძვირფასო მკითხველო!

გთხოვთ სათუთად მოეპყრათ და გაუფრთხილდეთ ჟურნალს მასში დაბეჭდილი ხატისა და შესაბამისი ტექსტების გამო.

ავტორთა საყურადღებოდ:

საავტორო უფლებები დაცულია. გამოქვეყნებული წერილების მეცნიერულ და დოკუმენტურ სიზუსტეზე პასუხისმგებლობა ეკისრებათ ავტორებს. რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს შრიფტით Sulfaen, 12 pt (კოდირება: უნიკოდი (UTF-8)). შემოსული მასალა ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.





„ქვეყანაში არსებული კანონები არ უნდა
ეწინააღმდეგებოდეს ღვთისგან დადგენილ
კანონებს, სხვა შემთხვევაში, როგორი
განვითარებულიც არ უნდა იყოს სახელმწიფო
ეკონომიურად, აუცილებლად დიდი
სულიერი პრობლემის წინაშე დადგება...
ვაფრთხილებ ჩვენს ხალხს, ჩვენს მორწმუნეთ:
იყავით დაკვირებულნი, ნუ დაკარგავთ ჩვენს
სარწმუნოებას, მიწიერ საცდურზე ნუ გაცვლით
მარადიულ ცხოვრებას, თორემ მერე გვიან იქნება,
რადგან ჟამი ახლო არს“,

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

ილია II

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს - პატრიარქი



ღმერთთან ერთგულებით ვუმერთგულოთ სამშობლოს!

„...მე ვარ გზაი, მე ვარ ჭეშმარიტებაი და ცხოვრებაი...“

იოანე 14.6.

თვალნი დაუტკბენ იესო ქრისტე შთამომავალთა, რომელთა შესძლონ მამათა მათა საქმეთა გაგრძელება.

კაცობრიობის მომავალი ბიბლიის ჰუმანური მსოფლმხედველობის აღქმაშია დავანებული, კაცობრიობის მომავალი როგორც ჩანს, კვლავ სხვადასხვა ერთა და კულტურათა მშვიდობიანი თანაარსებობის სიბრძნეში უნდა ვეძებოთ. ბიბლია ყოველ ერს აძლევს საკუთარ ენაზე სულიერი განსჯის საშუალებას, სწორი აზროვნების განვითარებას. მთავარი საზომი ერის ცხოვრებაში მშვიდობისყოფობაა - დავიმკვიდროთ ღმერთთან მშვიდობა! ვინც იბრძვის თავისუფლებისა და სამართლიანობისთვის ის ინარჩუნებს სიცოცხლეს. ყოველ ერს გააჩნია სიცოცხლის, თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ სწრაფვის უფლება. როგორ მოვიპოვოთ ის. მისი მოპოვება მხოლოდ „დაფარულ გონებაში“ - სულიერი განსჯით არის შესაძლებელი. ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ ჩვენი დიდი წინაპრების ღრმა აზროვნების წესსა და მეთოდს, ისტორია იმისთვის არის დაწერილი, რომ ქართველმა ერმა წინაპართა ნამოქმედარიდან ისწავლოს სწორი აზროვნება და შესაბამისად მოქმედება. ქართველმა ხალხმა უნდა აღიდგინოს სულიერი განსჯის უნარი. სულიერი განსჯის უნარი ღმერთის გარეშე ჩვენ არ მოგვეცემა. ამიტომ ჩვენ უნდა ვისწავლოთ „ღმერთის სიტყვა“ და ვიხელმძღვანელოთ „სადმრთო ლოგოსით“. სწორედ ჩვენი დიდი წინაპრები ღმერთის სიტყვის ერთგულნი

იყვნენ. ამ ერთგულებაში მოქცეული იყო ღმერთის, მოყვასისა და სამშობლოს სიყვარული. ეს დიდი სიყვარული ბიბლიის ცოდნიდან მომდინარეობს. ქართველმა ერმა სიყვარულის ნიჭი განავითარა (ილია II), ეს ნიჭი ჩაუმქრალ სანთლებად ანთია ქართველი ერის გენეტიკურ კოდში. ამ ნიჭს მუდმივი განახლება სჭირდება. „ახალი ადამიანის“ დაბადებას მოჰყვება ახალი ეპოქის შექმნა. ეს ახალი ადამიანი, ახალი თაობა, საზოგადოების წიაღში უნდა წარმოიშვას. ქართული საზოგადოება უნდა განიწმინდოს მაგნე ჩვევებისგან - უკეთური ქმედებებისგან. საზოგადოებრივი ცხოვრების წესი ზნეობრივი ასპექტებიდან მომდინარეობს. ზნეობრივ ცხოვრებას კი მართლმადიდებლური ქრისტიანობა აყალიბებს. მართლმადიდებლური ქრისტიანობა არის საქართველოსთვის უპირველესთა უპირველესი. ყველამ უნდა ვიცოდეთ ეს: „ჩვენი ისტორია ბიბლიური ერის ისტორიის იდენტურია“. ჩვენი ვალია საძირკველამდე გავიწიროთ „ქართლის ცხოვრების“ ისტორიული სინამდვილე, მიზეზ-შედეგობრივი ასპექტები. ჩვენ უნდა დავძლიოთ მონური ფსიქოლოგია, მტკიცედ დავდგეთ მყარ მსოფლმხედველობაზე. ჩვენ უნდა აღვიდგინოთ ეროვნული ღირსების განცდა. ამ განცდის აღდგენა წმინდა სარწმუნოებით, წმინდა ეთიკის დაცვით არის შესაძლებელი. ის რაც მარადიულია ერისა და

ქვეყნის ცხოვრებაში, მისი დაცვა ჩვენთვის უპრველესია. ეს მოცემულობა ჩვენთვის დიდხანია განსაზღვრულია: „მე ვარ გზაი, მე ვარ ჭეშმარიტებაი და ცხოვრებაი“ (იოანე 14.6.), მე ვარ ღმერთი - ბრძანებს უფალი. ამიტომ ჭეშმარიტი ღმერთის ერთგულებით, ვუერთგულოთ სამშობლოს. ეს ბიბლიური შეგონება მარადიული განზომილებაა ყველა ეპოქაში - ყველა თაობისთვის; ვინაიდან ბიბლიური ეთიკა უცვლელი და მარადიულია. ამისთვის მზად უნდა ვიყოთ ჩვენი ეპოქის ადამიანები, ჩვენ - ქართველი ხალხი. როგორც უწმინდესი ბრძანებს: „ჩვენი ბედნიერება ღმერთთან სიახლოვეშია“. ყოველივე ეს კი ეპოქის შინაარსს ქმნის სასვე ცხოვრებისთვის.

„ეკრძალეთ ერი ჩემი სჯულსა ჩემსა, მოყავით ყური თქუენი სიტყვათა პირისა ჩემისათა“ - ბრძანებს უფალი ღმერთი ჩვენი. ღვთიური მადლმოსილებით ჩვენი ერისთვის - ქართველი ერისთვის არჩეულ გზას, ჩვენი დიდი წინაპრების სისხლითა და ცრემლით დაცულ გზას, საპატიო ადგილი უნდა ეჭიროს ყოველი ქართველის გულში, ქართველი ერის გულში, ჩვენს ცნობიერებაში. ღმერთისა და სამშობლოს სიყვარული „გულის სისხლს“ მოითხოვს (არა ფიზიკურს, არამედ ღვთაებრივს). გავილოთ ჩვენი წილი სიყვარული ღმერთისა და სამშობლოსთვის. დიდი სიყვარული ყოველთა - გადაგვარჩენს ჩვენ.

ქართველმა ერმა უნდა შეიყვაროს დედა. მშობელი ხალხისთვის დედა არის - ეკლესია. ქართველმა ხალხმა უნდა დაუბრუნდეთ დედა ეკლესიას, ეკლესიის წიაღში უნდა მოხდეს ჩვენი განახლება. სანამ ჩვენ - ქართველი ერი არ ვადიარებთ ერთ მამას - ზეციურ მამას და ერთ დედას - დედა=ეკლესიას, მანამ საშველი არ იქნება ჩვენთვის - საქართველოსთვის. ისტორიის ცოდნა კარგია, მიხვედრილობა სწორ გზაზე დგომას ნიშნავს, მაგრამ მთავარია ეროვნული სულის განახლება, მისი განვრცობაა საჭირო საზოგადოებრივ სივრცეში - ქართულ სივრცეში.

ჩვენ ვცხოვრობთ და ვარსებობთ უფლის მიერ ბოძებულ მიწაზე, რომელიც ღვთისმშობ-

ლისთვის იყო გადანახული. საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრილი ქვეყანაა. ჩვენი მიწა-წყალი უდიდესი საგანძურია უფლისმიერი სიყვარულით ნაანდერძევი ქართველი ხალხისთვის. ჩვენ ვცხოვრობთ წმინდა მიწაზე. უფალმა - ქართველებს, როცა გადმოსცა მარიამ ღვთისმშობლის ხელით მისი წილი მიწა, ქართველებს განუსაზღვრა განჩინება: საერო და სასულიერო ხელისუფლების სახით. ეს განსაზღვრულობა ჩვენთვის - ქართველი ერისთვის მუდმივი და მარადიულია. ეს კარგად იცოდნენ ჩვენმა დიდმა წინაპრებმა. ამ განგებულობისთვის მათ არ გადაუხვევიათ. ქართველი ერი უნდა დაუბრუნდეს ისტორიული არქექტივის საფუძვლებს, მისი ეროვნული სულის წიაღიდან უნდა წამოვიდეს განახლებული თაობა, უფლის მიერ მირონცხებული საერო და სასულიერო ხელისუფლება - ბიბლიური დავითის შთამომავალთა წინამძღოლობით. ღვთაებრივ-ეროვნული სულის მქონე საერო და სასულიერო ხელისუფლება, რომელიც მყარად იქნება ქართულ მიწაზე ისტორიული წიაღსვლების ცოდნით, საკუთარ ნებას ღმერთის ნებას დაუმორჩილებს. ჩვენი წინსვლა - საქართველოს გაძლიერება და გაერთიანება ღმერთის ნების აღსრულებაში მდგომარეობს. მისი განსაზღვრულობის უპირობო აღსრულებაშია. ამიტომაც ჩვენ, მუდმივად გვევალება წმინდა სარწმუნოების, წმინდა ეთიკის დაცვა. საღვთო გონების მირონმდინარობა ქართველი ერის გენეტიკურ კოდშია შენახული. ღმერთისგან ბოძებულ დიდ მადლსა და დიდ სიწმინდეს მტკიცე სიწმინდით უნდა ვიცავდეთ და ვიყენებდეთ ღმერთისა და სამშობლოს გულის გასახარად.

„მაუწყე მე, უფალო, გზა, რომელსაცა ვიდოდი, რამეთუ შენდამი აღვიღე სული ჩემი. მასწავლე მე, რათა ვყო ნება შენი, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩემი. სული შენი სახიერი მიძლოდენ მე ქვეყანასა წრფელსა...“ - მოუწოდებს ლოცვად უწმინდესი (ილია II) ყველა ადამიანს. ჩვენი დიდი წინაპრები ქართულ საქმეს მაღალი ღმერთის წინაშე მუხლმოდრეკილი ლოცვითა და მარხვით -

ღმერთის შეწევნითა და ღმერთის ნებასთან მათი ნების თანხვედრილობით ახერხებდნენ მხოლოდ. ჩვენ ნათლად უნდა ვაცნობიერებდეთ, რომ საქართველო უდიდესი სიწმინდეების მფლობელი ქვეყანაა. ჩვენს წმინდა მიწაზე სვეტიცხოველში დამარხულია უფლის კვართი (პერანგი), ილია ზებედელის ხალეში (მოსასხამი). ასევე საქართველოში ინახება ღვთისმშობლის სარტყელი და ღვთისმშობლის ხელით შექმნილი ჯვარი ვაზისა. უფლის მოწაფეთაგან რომლებმაც საქართველოში ქრისტიანობა იქადაგეს: ანდრია პირველწოდებული, სვიმონ კანანელი და მატათა. მათ შორის ორი, მატათა - გონიოში და სვიმონ კანანელი - აფხაზეთში განისვენებს. ყოვლადწმინდა ქალწულმა წმინდანინომ - ქართველთა განმანათლებელმა ქართულ მიწაზე -ბოდბეში ჰპოვა მარადიული სავანე. ჩვენმა გმირმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ ყოველივე ეს. ამიტომაცაა, რომ ჩვენი გმირი წინაპრები წმინდა სარწმუნოებისა და სამშობლოსთვის იბრძოდნენ და თავდაუზოგავად სწირავდნენ საკუთარ სიცოცხლეს. ჩვენი ქართული მიწა მათი სისხლითა და ცრემლით არის მორწყული. დღეს ჩვენ ქართველობა ვცხოვრობთ და ვარსებობთ ამ მიწაზე ჩვენი დიდი წინაპრების თავგანწირული, თავდადებული გმირული ბრძოლისა და მათი შეწირული სიცოცხლის საფასედ. საქართველო უფლის მიერ კურთხეული ღვთისმშობლის წილხვედრილი ქვეყანაა, ქართველი კი სამგზის კურთხეულია. ამიტომაც გვმართებს ქართველ ერს დიდი გულისხმიერებით, დიდი თავდადებით დავიცვათ წმინდა სარწმუნოება, წმინდა მიწა და ჩვენი სამშობლო - საქართველო. უნდა გამოვფხიზლდეთ ქართველობა, უნდა გავაცნობიეროთ რა მისია დაგვაკისრა განგებამ ღმერთისა და სამშობლოს წინაშე. სამგზის კურთხეული ქართველი ერი მართლმადიდებლური ქრისტიანობის მირონცხებულობის მაღლით არის დაფარული. ეს მაღლი ყველა ეპოქაში ქართველი ხალხის ლოცვითა და მარხვით, ღმერთისა და სამშობლოს სიყვარულით არის მოპოვებული. ჩვენი თაობის ვალია დავიმკვიდროთ ცხოვრების სისავსე,

ის უცვლელი და მარადიული ფასეულობა, რაც ნაწილხვედრეგია ქართველი ერისთვის. ჩვენ მაღალი ღმერთი არ გვაპატიებს განსაზღვრულ გზიდან გადახვევას, უფლის მცნებების დარღვევას, გავფრთხილდეთ უნდა ქართველობა, რათა საკუთარ თავზე ჩვენ თვითონ არ გამოვიწვიოთ „ცეცხლი“. ჩვენი ეროვნული იდეალი ღვთაებრივ ლოგოსზეა დაფუძნებული. ამ იდეალების გაცხოველება არის ერთადერთი იარაღი ქართველი ხალხის ყოველმხრივ წარმატებისა და საქართველოს გაბრწყინების.

„უფალი მეფობს“, ღმერთი არის სიმართლე. სამართლიანობის აღქმა ზნეობრივი საქციელით არის შესაძლებელი. ქართველებს ამ სიმართლის დაცვა გვჭირდება სავეცხოვრების დამკვიდრებისთვის. „ვისაც მეტი მიეცა მას მეტი მოეთხოვება“, გვასწავლის ბიბლია. ჩვენი ვალია მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით დავიწყოთ ხალხთან ერთად მუშაობა და ცხოვრება. ეროვნული სულისკვეთების, ეროვნული იდეალების, ეროვნული ენერჯის გაცხოველებას, ჩვენი მშობელი ხალხის სულიერ-კულტურულ, სოციალ-ეკონომიური ცხოვრების აღმაშენებლად - დიდი სიყვარულითა და თავდაუზოგავი შრომა-გარჯით უნდა ვახორციელებდეთ. ჩვენ, ქართველი ერი არის-ტოკრატიული რასა ვართ და ღმერთი არ გვაპატიობს ერთმანეთის მიმართ უსიყვარულობას. ქართველი ერის მისია გაცილებით დიდია, ვიდრე საკუთარი ქვეყნის ხსნა გატანჯული ცხოვრებიდან. წმინდა სერაფიმე საროველი ბრძანებს: „მრავალი ერი გაქრება დედამიწის ზურგიდან, მაგრამ იბერია იქნება ქრისტეს მეორედ მოსვლამდე და კაცობრიობის ხსნა იბერიიდან მოვა“. ღმერთის რწმენაში გაძლიერება გვმართებს მშობელო ხალხო - ღმერთის სიტყვა და საღმრთო ლოგოსი ვაქციოთ ჩვენი ცხოვრების მთავარ და ძირეული მოქმედების სარბიელად.

ქრისტიანული მორალი აწესრიგებს ადამიანის შინაგან სამყაროს, განსაზღვრავს მის დამოკიდებულებას მიკრო და მაკრო სამყაროსთან. ჩვენი მომავალი ქრისტიანულ მორალზე უნდა დავაფუძნოთ. გონივრუ-

ლად უნდა განვსაზღვროთ ჩვენი მოქმედება ადამიანის, ერისა და კაცობრიობის წინაშე. ჩვენ მოქმედება ეროვნული იდეის აღქმით უნდა დავიწყოთ. უპირველესად გაწამებული მშობელი ხალხის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაა მთავარი. ჩვენში უნდა მოხერხდეს სამართლიანობის აღდგენა. მშობელი ხალხის სასიცოცხლო მოთხოვნის - სოციალური სამართლიანობის განხორციელება აუცილებელი წინაპირობაა მათი მსოფლმხედველობის ძირეულად შეცვლისა. მიზეზ-შედეგობრივი არსის განსაზღვრა იმ ფონზე, რაშიც საქართველო იმყოფება ისტორიული მონაკვეთის ამჟამინდელ ასპარეზზე - ეროვნული მიმართულებების, ეროვნული იდეის დადგინება, ისტორიული წიაღსვლების საფუძვლებიდან უნდა იყოს აღებული.

ქართველი ერის გზა ქრისტეს გზაა, გზა ჯვარცმისა და გარდაუვალი აღდგომისა - ბრძანებდა ზვიად გამსახურდია. სულიერი ფასეულობების წინ წამოწვევითა და გაძლიერებით შესაძლებელია მხოლოდ ჩვენში ეროვნული აღმავლობა. მთავარი და არსებითი სწორედ ქართული სულის, ეროვნული სულის ეპოქალური გაგრცობითა შევძლებთ ჩვენ, არშესაძლებლის საზღვრების გადალახვას: „კაცთათვის შეუძლებელი ღვთისთვის შესაძლებელია“ (ლუკა 18.27.). ყოველმა ჩვენგანმა ჩვენი წილი ჯვარი უნდა ვზიდოთ ღმერთისა და სამშობლოს სიყვარულით. როცა, ჩვენ ვიტვირთებთ ჩვენი კეთილი

საქმით სამშობლოსთვის სამსახურს, გულიანად დავიწყებთ აღსრულებას იმ მისიისა, რაც მაღალმა ღმერთმა გვიწილხვედრა, საქმის სიყვარულით გულანთებულ ადამიანს, ერს - უფალი შეეწევა საქმის კეთილად და შედეგიანად აღსრულებაში.

ღვთაებრივი სიბრძნით ეროვნული განსჯის სივრცე უნდა გავანთავისუფლოთ უარყოფითი (ემმაკის) ზეგავლენისაგან. ჩვენი, ეროვნული განვითარებისთვის აუცილებელი და გადაუდებელი ამოცანას წარმოადგენს თავისუფალი სივრცის განთავისუფლება მკენე ჩვევებისგან, გარედან მოხვეული (საფარველში გახვეული) ე. წ. „ღემოკრატიული ნიღბის“ კანონებისგან. ჩვენი ეროვნული ხედვა ღვთისა და ქართველი ერის სულიერი მისიის განზომილებიდან უნდა განვსაზღვროთ. ჩვენ უნდა დავდგეთ ჩვენთვის განსაზღვრულ ბუნებრივი განვითარების გზაზე. უნდა განვთავისუფლდეთ შეძენილი ამპარტავენებისგან და მის ადგილზე ღმერთი ვაღიაროთ. უპირველეს ყოვლისა ჩვენში უნდა ავაშენოთ ზნეობრივი ცხოვრება და უკეთესი მომავლისთვის ფიქრი დავიწყოთ სულიერი განწმენდით. უძველესი კულტურისა და ცივილიზებული ქვეყნის = მამულიშვილების მოვალეობაა - კეთილსინდისიერად ვიმსახუროთ: ღმერთის, ერისა და სამშობლოს წინაშე. მოგვმადლოს ღმერთმა რწმენა ღვთისა და სიყვარული მამულისა. ამინ!





შუშანა შუტკარაში

ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი.



როინ მალაყმაძე

ისტორიის აკადემიური დოქტორი,
პროფესორი.

აჭარის დიდებული წარსულის ფურცლები ლაკლაკიძეების ჭედური ხატი

აჭარა, ისტორიული ზემო ქართლის მნიშვნელოვანი მხარე, საუკუნეთა განმავლობაში აქტიურად მონაწილეობდა ქართველი ერის კულტურისა და განათლების ფორმირებაში. ამაზე მეტყველებს დღემდე შემონახული უძველესი ქართული მატერიალური კულტურის ძეგლთა ნაშთები და წინაპართა ნაანდერძევი ხალხური ზეპირსიტყვიერების უნიკალური ნიმუშები. აჭარა, ზემო ქართლში შემავალ სხვა მხარეებთან - მესხეთ-ჯავახეთთან, ტაო-კლარჯეთთან ერთად, ოდითგანვე წარმოადგენდა ქართული კულტურის, განათლების აკვანს. ამის შესახებ სამართლიანად აღნიშნავდა დიდი ილია ჭავჭავაძე: „უწარჩინებულესნი მამანი, საღმრთო-საერო თხზულებათა მწერალნი ჩვენნი, ისტორიული ზემო ქართლის შვილები იყვნენ. ჩვენი სასიქაღულო „ვეფხისტყაოსნის“ მთქმელი შოთა რუსთაველი ამ მხარის კაცი იყო. ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აღყვავებულა, ჩვენს ცხოვრებას იქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა, თითქმის იგია ჩვენის სულის აღყვავებულების აკვანი... სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას ერთს დროს“.

ილია ჭავჭავაძე დიდად აფასებს ისტორიული ზემო ქართლის დამსახურებას ქართველი ერის ისტორიაში, ქართული სახელმწიფოს შენებაში. იგი აღნიშნავს, რომ, „საკვირველს სანახაობას წარმოადგენს იგი საქართველოს ისტორიაში“. ჩვენი სახელმწიფოს არსებობის გრძელ მანძილზე ზემო ქართლის ძირძველი ქართული მიწა ყოველთვის „განაძლიერებდა ქართველებს თვითარსებობის დასაცავად. მაშინ თითქმის მარტო მას ეჭი-

რა თავისუფალი დროშა ქართველთა ერთობისა“...

საქართველოს სხვა მხარეებთან შედარებით, ზემო ქართლი - აჭარა, სამცხე, ტაო-კლარჯეთი, გამორჩეულია იმითაც, რომ ქართველი პირველად აქ ეზიარა სახარებისეულ მადლს, ჭეშმარიტ განათლებას. ილია წერდა: „პირველად ქრისტიანობამ სამცხე-კლარჯეთში მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძღვრებითა; მაშინ, როდესაც ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ კერპთ-მსახურება სუფევდა, ქრისტეს აქეთ პირველ საუკუნეში, ადერგი მეფეს (60 წ.) უნდოდა კერპთ-თაყვანების სარწმუნოება მოეფინა და ამისთვის საშინელი ბრძოლა აუტეხა სამცხე-კლარჯეთს; მაგრამ სამცხე-კლარჯეთში ქრისტიანობა არამც თუ მოისპო, პირიქით, უფრო გავრცელდა და დამკვიდრდა ჯერ ისევ წმინდა ნინოს მოსვლამდე“. როდესაც ქართლი არაბებმა დაიპყრეს და მაჰმადიანობის გავრცელებას ცდილობდნენ, ისტორიულ ზემო ქართლში ქართველობა ქრისტიანობისთვის იღვწოდა და ბაგრატიონების წინამძღოლობით ეკლესია-მონასტრებს აშენებდა, საგანმანათლებლო კერებს აფუძნებდა. მერვე საუკუნიდან მოყოლებული აქაური ქართველობა სწავლის გასაგრძელებლად საბერძნეთში, ახლო აღმოსავლეთის ქრისტიანულ ცენტრებში, მიდიოდა. ბევრი მათგანი უკანვე ბრუნდებოდა და განათლებას ჰყენდა ზემო ქართლის მიწას. როცა ქართლში არაბები ბატონობდნენ, სამცხე-კლარჯეთსა და აჭარაში ჩამოყალიბებულ ტაძრებში ქრისტიანულ წიგნებს თარგმნიდნენ, მონასტრებთან სკოლებს ხსნიდნენ და ქართველთა განათლებისთვის ზრუნავდნენ. ქრისტიანულ ტაძრებთან შექმნილი იყო სკოლები, კულტურულ-საგანმანათლებლო კერები.

ქართველი ერის ისტორიული სამშობლოს ამ ნაწილმა საუკუნეთა სანახებიდან თავისი მხრებით ამოზიდა ჩვენი სამშობლოს გმირული წარსული, რომელზედაც აღმოცენდა ქართველთა მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრივობა, კულტურის სამაგალითო ისტორია, დღევანდლობა და ნათელი მომავლის იმედი. საქართველოს გმირული წარსული საწინდარია ქართველი ერის წინსვლისა და ახალი გამარჯვებისა.

ზემო ქართლიდან - აჭარაიდან და ტაო-კლარჯეთის მხარეებიდან დაიწყო საქართველოს გაერთიანება ბაგრატიონთა მეთაურობით. საუკუნეთა მანძილზე სწორედ ტაო-კლარჯეთი იყო არა მარტო ქართული სახელმწიფოებრიობის აღორძინების მედრომე, არამედ წარმოადგენდა ქართული კულტურისა და განათლების სავანეს, განახლებული ქართული კულტურის აკვანს. როცა საქართველოს ცენტრალური რაიონები არაბთა უღელქვემ იყო მოქცეული, ტაო-კლარჯეთის ძლიერ საერისთაოში, რომელშიც აჭარაც შედიოდა, კულტურისა და განათლების თვალსაჩინო კერები ფუძნდებოდა და საქართველოს გაერთიანების ძალები იკრიბებოდა. დიდი ექვთიმე თაყაიშვილი სამართლიანად აღნიშნავდა: „უძველესი ტყავის ხელნაწერები, რომელთაც ჩვენამდე მოუღწევიათ და რომელნიც გადაწერილნი არიან საქართველოს ყოფილ საზღვრებში და არა უცხოეთში (სინას მთაზე, პალესტინაში, ათონზე და სხვა), ყველა ეკუთვნის ტაო-კლარჯეთის მონასტრებს. პირველი პერიოდიდან ქართული მწერლობისა, ე. ი. მცხეთა-ბოლნისის პერიოდიდან... არაბების დამკვიდრებამდე საქართველოში, მეშვიდე საუკუნის ნახევარში, ჩვენამდე ერთ ხელნაწერს ტყავის წიგნს არ მოუღწევია... პალიმფსესტების ხანმეტი ტექსტები, რომლებიც, ამ ბოლო დროს გამოქვეყნდა, უნდა ეკუთვნოდეს იმ პირველ პერიოდს; მაგრამ ესენი ფრაგმენტებს წარმოადგენენ და არსად დაცული არ არის არც დრო და არც ადგილი გადამწერისა... უძველესი ქართული მწერლობის ძეგლები მხოლოდ ტაო-კლარჯეთმა შემოგვინახა“ (ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და სოფელ ჩანგლში 1907 წელს. იხ. წიგნში „დაბრუნება“, ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, თბილისი, 1991, გვ. 208).

ისტორიის ბედუკუდმართობამ, ჟამთა ცვლის ქარტეხილებმა, აჭარის ბევრი საგანმანათლებლო ცენტრის კვალი წაშალა. ზოგიერთი ნანგრევების სახით შემოგვრჩა მხოლოდ. მათ შორის აღსანიშნავია ხიხანის, თხილვანის, კალოთის, ვერნების, ჯვართანის, ხინოს, თეთროსანის ტაძრები, საეკლესიო-სამონასტრო კომპლექსები. ზოგიერთის ხსოვნა კი მხოლოდ გეოგრაფიულმა სახელებმა შემოგვინახა, როგორცაა: **ნამონასტრევი, თავანგელო, ჯვარიქედი, საყდარი, გამონათლვეი...**

სხალთის საეკლესიო-სამონასტრო კომპლექსი ბელნიერი გამონაკლისია. XII-XIII საუკუნეთა მიჯნაზე აშენებულმა ამ ტაძარმა, ერთ-ერთმა საგანმანათლებლო კერამ, ჩვენამდე სრულყოფილად მოაღწია. ამ მხრივ დიდი დამსახურება მიუძღვის ხიმშიაშვილთა გვარს; კერძოდ, ამ საგვარეულო სახლის მეთაურს, დიდ მამულიშვილს შერიფ ბეგ-ხიმშიაშვილს და მის დედას დულუ-ხანუმ ბეჟანიძეს, რომელიც მეუღლის, ახმედ ხიმშიაშვილის, გარდაცვალების შემდეგ (1836 წ.), შვილის სრულწლოვნობამდე (1850 წლამდე) განაგებდა აჭარას.

ქრისტიანული სალოცავის სიახლოვეს გაზრდილ შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილს ბავშვობიდანვე ჰქონდა დიდი მოწიწება და სიყვარული სხალთის ტაძრისადმი. მის სულში, როგორც ჩანს, პატარაობიდანვე ენთო წმინდა სანთელი და სახარებისეული მადლი ათბობდა მის არსებას, თუმცა ოფიციალურად მაჰმადიანი იყო. როცა მის ცხოვრებაში გაჩნდა შესაძლებლობა ქრისტეს მადლთან ოფიციალურად ზიარებისა, იგი ოდნავადაც არ დაყოვნებულა, მონათლა მაშინვე. ალბათ, ამისთვის იგი შინაგანად ყოველთვის მზად იყო. მისი მონათვლა განხორციელდა 1880 წელს პეტერბურგში. „ნათლობის სახელად უწოდეს ალექსანდრე, იმპერატორ ალექსანდრე მეორის პატივსაცემად, რომელიც მას ნათლიად დაუდგა“ (ნიკოლოზ არჯევანიძის 1887 წლის დღიურიდან, იხ. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. VI, ბათუმი, 1963, გვ. 46).

აჭარა, ზემო ქართლის მხარეებს შორის, განათლების მხრივ დაწინაურებული, გამორჩეული კუთხე რომ იყო, ამაზე ბევრი რამ მიგვანიშნებს. მათ შორის უპირველესად აღსანიშნავია ტბელ აბუსერიძის შემოქმედება.

სხალთა-ხიხანის ხეობის სათავეში მდებარე **ხიხანის ციხე-ქალაქის საგანმანათლებლო კერა** იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ მე-12 საუკუნის ბოლოსა და მე-13 საუკუნის დასაწყისში გამოუზრდია დიდი სასულიერო მოღვაწე, მწერალი, სახელოვანი მეცნიერი **აბუსერისძე ტბელი**. მისი ასტრონომიული ტრაქტატი - „ქორონიკონი სრული მისთა საუწყებლითა განგებითა“, რომელიც 1233 წლისთვის უკვე დასრულებული იყო, წარმოადგენს მსოფლიო მნიშვნელობის ქმნილებას. აკად. კ. კეკელიძის შეფასებით, „ეს არის ვრცელი ტრაქტატი, რომელშიც განმარტებულია ე. წ. 532 წლიანი დიდი ინდიქტიონი (ბერძნ. ინდიქტიონ - საეკლესიო წელთაღრიცხვის ერთეული. ტრაქტატი-ლათ. ტრაქტატუს-განხილვა, მეცნიერული შრომა, შეთანხმება) მდიდარია არითმეტიკული, ასტრონომიული და კალენდარული გაანგარიშებებით. ეს არის ცდა, აგრეთვე, ქართულისა და ბერძნული წელთაღრიცხვისა და პასქალისტური (სააღდგომო) სისტემების შეფარდებისა და შეთანხმებისა“.

ცნობილმა აღმოსავლეთმცოდნემ, მრავალმხრივმა საზოგადო მოღვაწემ, ფრანგმა მარი ბროსემ ამ ნაწარმოების გაცნობის შემდეგ შენიშნა: „ქართველებმა 1233 წელს უკვე იცოდნენ ნახევარი იმ ცთომილებისა, რომელმაც 1582 წელს პაპი გრიგოლ XII აიძულა შესდგომოდა საეკლესიო კალენდრის შესწორებასო“. ამ ნაწარმოებში მოცემული ასტრონომიული ფაქტების უზუსტესი მათემატიკური გათვლები, გამოანგარიშებები იმდენად რთულია, რომ თანამედროვე მათემატიკურ მეცნიერებასაც კი აოცებს და წარმოაჩენს XII-XIII საუკუნეების ქართული მათემატიკური სკოლის განვითარების მაღალ დონეს.

მამასადაძე, ტბელ აბუსერისძის ასტრონომიულ-მათემატიკური გამოკვლევების მთავარი ღირსება ისაა, რომ მან მოაწესრიგა, ერთმანეთთან შეათანხმა ქართული და საერთაშორისო წელთაღრიცხვების სისტემები. ამ დიდი მეცნიერის ნააზრევი საფუძვლად დაედო, სამასი წლის შემდეგ, XV საუკუნეში, შემუშავებულ ახალ საეკლესიო კალენდარს, რომელიც საბოლოოდ და დასრულებული სახით ჩამოაყალიბა რომის პაპის გრიგოლ XII-ის კომისიამ. ტბელ აბუსერისძის ფასდაუდებელ

მეცნიერულ ღვაწლს დამსახურებული შეფასება პირველად ფრანგმა სწავლულმა მარი ბროსემ მისცა; მანვე გამოაქვეყნა ეს ნაშრომი პარიზში 1868 წელს ფრანგულად. საქართველოში ამ დიდი მოღვაწის წარმოჩენა საკმაოდ დაგვიანდა. 1941 წელს ლ. მუსხელიშვილმა ქართულად პირველად გამოაქვეყნა მისი პროზაული ავთოგრაფიული ნაწარმოები „ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერისძეთა საგვარეულო მატთანე“. აბუსერისძე ტბელის შემოქმედების სრული კრებული გამოქვეყნდა 1998 წელს ასლან აბაშიძის დაკვეთით. ტექსტი გამოცემად მოამზადეს საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მკვლევარებმა - მ. ქანთარიაძე, ნ. გოგუაძე და რ. ჩაგუნავამ. საგალობლები შეისწავლა რ. ხალვაშმა.

აჭარის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებში შექმნილი მწიგნობრული საქმიანობა თითქმის მთლიანად შთანთქა, გაანადგურა ჟამთა ცვლის ქარტეხილებმა. ძველი ქრისტიანული კულტურის ნიმუშად შემოგვრჩა მხოლოდ რამდენიმე: **აბუსერისძე ტბელის შემოქმედება, ლაკლაკიძეების ჭედური ხატი, ეპიგრაფიკული ძეგლები თხილვანისა და ვერნების ეკლესიების ქვებზე ამოჩუქურთმებული ასომთავრული, აჭარაში შემონახული ხალხური შემოქმედება და აჭარის სულიერების ბალავარი და გვირგვინი - სხალთის სახელგანთქმული ეკლესია**, რომელიც სხალთის ეპარქიის საეპისკოპოსო ტაძარია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მნიშვნელოვანი საისტორიო წყარო **„ტბეთის სულთა მატთანე“**. ეს ძვირფასი წერილობითი ძეგლი XII-XVII საუკუნეებში იწერებოდა შავშეთის მხარის დიდებულ ტბეთის ტაძარში. იგი სულთა მოსახსენებელი კრებულა; მასში უკვდავყოფილია იმ პირთა ვინაობა, რომლებმაც საუკუნეთა მანძილზე გარკვეული სამსახური გაუწიეს ტბეთის სამონასტრო კომპლექსს - ტბეთის ეკლესიამონასტერს.

საუკუნეთა მანძილზე ტბეთის ეპარქიაში-საეპისკოპოსოში, საკუთრივ შავშეთის თემის, შავშეთ-იმერხევის გარდა, ირიცხებოდა მაჭახლის (ძვ. მიჭინიანის) მხარე და ზემო აჭარა სოფელ დანდალომდე. დანდალოს ქვემოთ-ქვემო აჭარა შედიოდა ქუთათლის სამ-

წყსოში. ამიტომ „ტბეთის სულთა მატთანე“ მოგვითხრობს ზემო აჭარისა და მაჭახლის ხეობის მცხოვრებთა შესახებაც. კრებულში ზემო აჭარიდან იხსენიება შემდეგი გვარები: გამრეკელი, გორგაძე, გუნდარიძე, დავითაძე, დავლაძე, დოლიძე, იაკობაძე, მგელაძე, მიქელაძე, ოსანაძე, ცინარიძე, წინწკალაძე, ჯოიძე... დასახელებულია ზემო აჭარის სოფლები: გოგიეთი (გოგაძეები), გუნდაური, თერნალი, სამოლეთი, ცინარეთი, წინწკალაძეები... მაჭახლის ხეობიდან ნახსენებია სოფლები: აკრია, ზედვაკე, ევრატი, ჩიქუნეთი, ჩხუტუნეთი, ხერთვისი... სამლოცველოზე შემწირველები ყოფილან ნიგალის ხეობიდანაც და ქვემო აჭარიდანაც: დასახელებულია სოფლები: ერგე, კიბე, ოდლიაურელი, ხებელი, ზენდიდელი, ჯოჭოელი, კირნათელი...

„ტბეთის სულთა მატთანე“ ძვირფას ცნობებს გვაწვდის შემომწირველთა საქმიანობისა და სოციალური მდგომარეობის შესახებ. მაღალი სოციალური ფენის წარმომადგენლები ტადარს ძვირფას ნივთებს სწირავენ, დაბალი ფენის წარმომადგენელთა შესაწირი კი შედარებით მოკრძალებულია და მცირე. ისინი უშუალო მწარმოებლები არიან: მეფუტკრე, მჭედელი, მკერვალი, ... მათ შორის დასახელებულია ოქრომჭედელი არსლანი; სამწუნაროდ, არაა მითითებული მისი სადაურობა. ვინ იცის, შეიძლება მისი მოჭედელია ლაკლაკიძეების ცნობილი ხატი.

ლაკლაკიძეების ჭედური ხატი XI-XII საუკუნეების ქართული ჭედური ხელოვნების სანიმუშო ძეგლია. იგი მოოქრული ვერცხლის ხატია, ლაკლაკიძეთა ოჯახის დაკვეთით შესრულებული ზარზმის მონასტრისათვის. ხატის ცენტრში გრავირებული (ვერცხლის ზედაპირზე ამოჭრილი) ორნამენტის ფონზე გამოსახულია ღვთისმშობელი და ყრმა იესო; მათი სახეები ფერწერულია. განსაკუთრებით საინტერესოა ფართო ჩარჩოზე მაღალი რელიეფითა და დიდი პროფესიული ოსტატობით შესრულებული ქრისტესა და ღვთისმშობლის ცხოვრების ამსახველი მრავალფიგურიანი კომპოზიციები. XVI საუკუნემდე ეს ჭედური ხატი ინახებოდა ზარზმის მონასტერში, ამიტომ მეცნიერები ვარაუდობენ, რომ იგი ლაკლაკიძეების ოჯახის დაკვეთით შესრულებულია ზარზმის მონასტრისათვის. ოსმალების მიერ ზარზმის დაპყრობის შემდეგ,

ხატი გადაუსვენებიათ შემოქმედის ტადარში; 1924 წლიდან იგი ინახებოდა ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმში. ამჟამად დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

ლაკლაკიძეების საგვარეულო ოჯახის წინაპრის-მესხი ლაკლაკის, გიორგი ჩორჩანელის დის შვილის სახელი, უნდა დადებოდა საფუძვლად სოფლის სახელს - „**ლაკლაკეთი**“. ეს სოფელი მდებარეობს შუახევის რაიონში, უჩამბის თემში, მდინარე ლაკლაკეთის წყლის მარცხენა ნაპირზე. საგულისხმოა ისიც, რომ ლაკლაკეთთან ახლოს, დომას მთის გადაღმა, ისტორიული კლარჯეთის ერთ პატარა სოფელში - ოპიზაში ჩუქურთმისმჭერელთა და ოქრომჭედელთა ცნობილი სკოლა იყო. აქ აღიზარდნენ ოსტატები-ბექა და ბემქენ ოპიზრები. ისინი XII საუკუნის დამლევს მოღვაწეობდნენ, თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის ხანაში.

ქართული ჭედური ხელოვნების მხატვრული ტრადიცია X საუკუნიდან დამოუკიდებელ მხატვრულ მოვლენას წარმოადგენს. ამ ტრადიციის განვითარებამ და წინსვლამ მოუმზადა საფუძველი XII საუკუნის მიღწევებს ხელოვნების ამ დარგში და აღზარდა სახელოვანი **ოქრომქანდაკელები-ბექა და ბემქენ ოპიზრები**. მათ შექმნეს საკუთარი სკოლა და სტილი, რომელსაც უწოდებენ „**ოპიზის მხატვრულ სკოლას**“. მათ 1184-1195 წლებში შექმნეს მსოფლიო მნიშვნელობის შედევრები, როგორცაა: ანჩისხატის მაცხოვრის ჩარჩოს მოჭედულობა, წყაროსთავის სახარების მოჭედულობა და ბერთის სახარების ყდის მოჭედულობა, სამწუნაროდ, მათი შემოქმედების ძირითადი ნაწილი დაკარგულია.

ოპიზის სკოლის გარდა, ქართული ოქრომქანდაკელობის დარგში არსებობდა ტბეთის სკოლაც, რაც დასტურდება ტბეთის სახარების მოჭედულობის სპეციფიკურ მანერაში (იხ. შალვა ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბილისი, 1971, გვ. 303). „ტბეთის სულთა მატთანეში“ მოხსენიებული **არსლან ოქრომჭედელი**, ალბათ, „**ტბეთის მხატვრული სკოლის**“ აღზრდილი იყო.

ჩვენი ვარაუდით, ლაკლაკიძეების ჭედური ხატი შესრულებული უნდა იყოს „**ოპიზის მხატვრულ სკოლაში**“. ამ მოსაზრების სა-

სარგებლოდ მეტყველებს რამდენიმე გარემოება. ჯერ ერთი, ოპიზისა და ზარზმის მონასტრებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან, რაც კარგადაა მოთხრობილი ბასილი ზარზმელის ნაწარმოებში „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“. ლაკლაკიძეების ჭედური ხატიც შესრულებულია ზარზმის მონასტრისათვის; მეორეც, ლაკლაკიძეები, სოფელ ლაკლაკეთის მკვიდრნი, როგორც ხატის დამკვეთნი, ცხადია, უფრო ახლოს იცნობდნენ ოპიზის სკოლის წარმომადგენლებს, სოფლების-ლაკლაკეთისა და ოპიზის ტერიტორიული სიახლოვის გამო; ლაკლაკიძეების ხატის მოჭედებლობა მოგვაგონებს ოპიზების შედეგებს, რაც კარგად ჩანს ხატის ჩარჩოს მოჭედებლობასა და ადამიანთა ფიგურების კომპოზიციაში. ვინ იცის, შეიძლება ხატის ავტორი კიდევაც იყო უჩამბის თემის წარმომადგენელი „ოპიზის მხატვრული სკოლის“ მოსწავლე; იქნებ დიდი ხელოვანის-ბეშქენ ოპიზარის მასწავლებელიც კი. თუ დავაკვირდებით ლაკლაკიძეების ხატის მხატვრულ სტილს, უსათუოდ მსგავსებას შევნიშნავთ ბეშქენ ოპიზარის ქმნილებასთან-ბერთის ოთხთავის მოჭედებლობასთან (XII ს.). განსაკუთრებით საინტერესოა ხატის ფართო ჩარჩოზე (13 სმ.) მაღალი რელიეფითა და დიდი პროფესიული ოსტატობით შესრულებული ქრისტესა და ღვთისმშობლის ცხოვრების ამსახველი მრავალფიგურიანი კომპოზიციები. ამ კომპოზიციებში მოცემული ადამიანთა ფიგურების გამოხატვის ხელოვნება მსგავსია როგორც ბეშქენის, ისე ბექას კომპოზიციებში განხორციელებული შემოქმედებითი ხედვისა. ხატის ცენტრში გრავირებული ორნამენტის ფონზე გამოსახული ღვთისმშობლის ფერწერული სახე, ასევე, ემსგავსება ბექა ოპიზარის მიერ შესრულებულ ღვთისმშობლის სახის მოყვანილობას, რომელიც ანჩისხატის მაცხოვრის ხატის ჩარჩოს მიჭედებლობის ერთ დეტალშია ცოცხლად წარმოსახული. ყოველივე ამის გამო, შეიძლება იმის მტკიცება, რომ ლაკლაკიძეების ჭედური ხატი (80 / 64 სმ)-მოქრული ვერცხლის ხატი - შესრულებული უნდა იყოს „ოპიზის მხატვრული სკოლის“ წიაღში - ისტორიულ კლარჯეთში, სოფელ ლაკლაკეთთან ახლოს, აჭარა-შავშეთის ქედის სამხრეთ კალთაზე მდებარე სოფელ ოპიზაში. სავარაუდოდ,

მისი ავტორი ზემოაჭარელია, უჩამბის თემის მკვიდრი, რომელიც აღიზარდა „ოპიზის მხატვრულ სკოლაში“; როგორც ჩანს, იქვე მოღვაწეობდა კიდევ, კარგად იცნობდა ბეშქენ და ბექა ოპიზარების შედეგებს, ლაკლაკიძეების გვარის ისტორიას, ამ გვარის წარმომადგენელთა დამოკიდებულებას ზარზმის მონასტერთან. ცხადია, ლაკლაკიძეებმა ეს ხატი დააწერინეს ამ გვარის თავკაცის-ლაკლაკის მიერ ღვთის წინაშე ჩადენილი ცოდვის შენდობის, პატიების მიზნით, ცნობილი ერისკაცის გიორგი ჩორჩანელის დის შვილის-ლაკლაკის მიერ ჩადენილი ცოდვის შესახებ საუბარია ბასილი ზარზმელის უკვდავ ნაწარმოებში-„ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“.

ზემოაჭარის და მაჭახლის მოსახლეობის მოწინავე ნაწილი რომ კარგად იცნობდა „ოპიზის მხატვრული სკოლის“ შედეგებს და სათანადოდ აფასებდა ჩუქურთმის მჭრელთა ხელოვნებას, ამის დამადასტურებელი მაგალითები ბლომდაა შემორჩენილი დღემდე. ზემო აჭარაში შემორჩენილი ძველებური სახლების ბუხრები, კარები, ფანჯრები, აივნები, სკივრები შემკეულია ხეზე კვეთილობის შესანიშნავი ნიმუშებით. ამგვარი ხელოვნებით განსაკუთრებით მდიდარია მუსლიმანური სალოცავები-ჯამეები (მეჩეთები). გამოირჩევა ღორჯომის, ბელღეთის, რიყეთის, ტბეთის, ჯაბნიძეების, დღვანის, ჩხუტუნეთის, მაჭახლისპირის, კვიანძიძეების... მეჩეთებში დაცული ხეზე კვეთილობის-ჩუქურთმების ნიმუშები. აქ დაცული ორნამენტები, ჩუქურთმები ძალიან ჰგავს ტაო-კლარჯეთის ტაძრების ჩუქურთმებს. ესენი ქართული კულტურული მემკვიდრეობის საუკეთესო ნიმუშებია და მეცნიერთა, ხელოვნების ისტორიის მკვლევართა ყურადღებას საჭიროებს. ესენი ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის საუკეთესო მაგალითებია, ქართველ ჩუქურთმისმჭრელთა ხელოვნების მაღალი დონის მაჩვენებელია და სათანადოდ შესასწავლია.

ლაკლაკიძეების მოქრული ვერცხლის ხატი აჭარის დიდებული წარსულის მეტყველი ისტორიაა, რომელსაც ჟამთა ცვლა ვერ დაადუმებს. მას, ღვთიურ მადლთან ერთად, ამკობს ოპიზარების მაღალმხატვრული ხელოვნების ნიბლი და მისაბადი სულიერება. ამ ხატის ასლი ყველა აჭარელის ოჯახს უნდა ამშვენებდეს და სულიერად ამაღლებ-

დეს. სასიხარულოა, რომ დაარსდა ჟურნალი „ლაკლაკეთი“ (რედაქტორი-შალვა ველიძე), გამოვიდა მისი პირველი ნომერი, რომელიც საინტერესოდ მოგვითხრობს აჭარის დიდებული წარსულის, მისი ქრისტიანული კულტურის ისტორიის შესახებ.

ტბელ აბუსერიძის სამშობლოში კულტურისა და განათლების კერები რომ ჰყვოდა, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება; მაგრამ, სამწუხაროდ, ისტორიული ქართველების ბობოქრობას შეეწირა ეს კერებიცა და აქ შექმნილი წერილობითი ძეგლებიც. თუმცა, ბევრი მათგანი საზღვარგარეთის სიძველეთ-საცავებშია გატანილი და დღემდე შეუსწავლელია. ვინ იცის, რამდენი ასეთი წერილობითი ძეგლი ელოდება მომავალ მკვლევარს; ვინ იცის, რამდენი დიდებული წინაპრის შემოქმედებაა წარმოსაჩენი. მიუხედავად ამისა, ძველ ისტორიულ წყაროებს აქა-იქ მაინც შემორჩა აჭარელი მწიგნობრების სახელები. მათგან აღსანიშნავია: მწერალი **ნიკოლოზ კომსიძე, გრიგოლ აკრიელი და სვიმონ ფერატელი** მაჭახლის ხეობიდან, ვინმე **მერი-ისელი, ლომსიანიძე და მარკოზ აჭარელი...**

მარკოზ აჭარელი მოღვაწეობდა XVI საუკუნის პირველ ნახევარში დავით გარეჯის მონასტერში. იგი იყო აქ ჩამოყალიბებული ლიტერატურული სკოლის სახელოვანი წარმომადგენელი. ისტორიული წყაროების თანახმად, მარკოზ აჭარელი 1639 წელს მეფე თეიმურაზ პირველს გარეჯის უდაბნოში წინამძღვრად დაუნიშნავს. ამ დროს იგი უკვე ცნობილი მოღვაწე ყოფილა. მის მიერ გადაწერილი ერთ-ერთ ხელნაწერზე შემონახული ანდერძი გვამცნობს მწერლის ვინაობას: „დავწერე ესე და სულთა განმანათლებელი წიგნი მე ფრიად ცოდვილმან, სახით ოდენ მღვდელმონაზონმან, საქმისა ყოვლისა კეთილსაგან უცხომან აჭარელმან მარკოზ... მორჩილება აღვასრულე მეუფისა და უფლისა ჩვენისა ტფილელ მთავარეპისკოპოსისა ელისესი“. ხელნაწერის დამკვეთი ტფილელი ეპისკოპოსი ელისე იყო როსტომ მეფის მეუღლის დედოფალ მარიამის სულიერი მამა. მარკოზ აჭარელს ელისეს დავალებით გადაუწერია 972 წლის დიდი კრებულის ერთი ნაწილი, რომელიც 15 თხზულებას მოიცავდა. გრიგოლ დიაკონის მიერ გადაწერილი საგალობლების ერთ-ერთ მინაწერში მარკოზ აჭარელი დახა-

სიათებულია, როგორც „სწავლული და წმინდა და ღირსი ყოვლისა პატივისა“.

XVII საუკუნის მეორე ნახევარსა და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში უმოღვაწია პოეტსა და მწერალს **პეტრე ჩხატარაისძეს**. პლატონ იოსელიანის ცნობით, იგი ქობულეთში დაბადებულია, ტრაპეზუნდში მიუღია სასულიერო განათლება და იქვე აღკვეცილა ბერად. მას შეუსწავლია სახვითი ხელოვნებაც, კარგად სცოდნია საერო მწერლობა. ანტონ კათალიკოსი მას, „მესტვირესა და მეშიარეს“ უწოდებს. მას ეკუთვნის ლექსები და შაირები, „ალექსანდრიანის“ გალექსილი ვარიანტი, „გიორგი გურიელის ჩახრუხაული ხოტბა“, „ქრისტიანობა ქობულეთსა და კერძოსა შინა“ და სხვა. იგი ქობულეთიდან-სათავდგირიძო მაძულიდან-გადასულა გურიის მთავრის კარზე და იქ გაუგრძელებია მოღვაწეობა. ერთი წყაროს მიხედვით, იგი 1727 წელს გარდაიცვალა და დაუკრძალავთ მცხეთის საკათედრო ტაძრის (სიონის) ეზოში. როგორც ჩანს, მშობლიური კუთხის ბედმა იქონია გავლენა მის შემოქმედებაზე და ამიტომაც ძლიერია მის ნაწარმოებებში ანტიმუსლიმანური ტენდენცია და ძლიერი ქრისტიანული მოტივები.

გარდა აღნიშნულისა, წყაროებში შემონახულია წიგნების სხვა გადამწერთა-მწერალთა სახელები, რომელთაც უმოღვაწიათ ხინოწმინდაში, გვარას წმ. გიორგის ეკლესიაში (თეთროსანში) და ა. შ. მათი ნაღვაწი წარმოსაჩენად ელოდება მომავალ მკვლევარებს.

მამასადაძმე, ოსმალთა მფლობელობაში მოქცევამდე აჭარა აქტიურად მონაწილეობდა ერთიანი ქართული კულტურის შექმნასა და განვითარებაში. მართალია, ოსმალთა ბატონობის პერიოდში ბევრი რამ განადგურდა, დაიკარგა, გასხვისდა, მაგრამ რაც გადარჩა, ფასდაუდებელია ქართული კულტურის ისტორიაში.

ვინ მოსთვლის იმ დიდებული წინაპრების სახელებს, რომლებმაც საუკუნეთა მანძილზე მუხლჩაუხრელად იღვაწეს აჭარის მოსახლეობის განათლებისა და კულტურის ამაღლებისათვის. ძალიან დასანანი, რომ მათი გვარსახელები წაშალა ჟამთა ცვლამ, თუმცა, რაც გადაურჩა ისტორიის ქართველებს, ისიც იძლევა აჭარის დიდებული წარსულით სიამაყის საფუძველს.



ნოდარ კახიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,
ჟურნალ „მაჭახელის“ რედაქტორი

მაჭახლის ხეობა (უძველესი დროიდან 1921 წლამდე)

მაჭახლის ხეობა გამორჩეულია თავისი ისტორიული წარსულით, ეთნოგრაფიული (ეთნოლოგიური) და გეოგრაფიული თავისებურებებით, მატერიალური კულტურის მრავალფეროვანი ძეგლებით, თვალთწარმტაც ბუნებით.

მაჭახლის ხეობის ისტორია მჭიდროდა დაკავშირებული მისი მეზობელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს რეგიონების ისტორიასთან. ადრინდელი წერილობითი წყაროს მიხედვით, რომელსაც „ტბეთის სულთა მათიანე“ (XII-XVII საუკუნეები) ეწოდება, მაჭახელი შავშეთის, როგორც ჭოროხის მხარის ერთ-ერთი კულტურულად დაწინაურებული კუთხის, შემადგენლობაში შედიოდა. XVI საუკუნის დამდეგის წერილობით დოკუმენტში, რომელსაც სამცხე-საათაბაგოს მღვდელმთავართა სამრევლოების (სამწყსოების) აღწერილობა ჰქვია, მაჭახელი იხსენიება მიჭინიანის სახელწოდებით და შავშეთთან ერთად შედიოდა მტბეკარის (ტბეთის) სამწყსოს იურისდიქციაში (ამავე სამწყსოში შედიოდა „აჭარა დანდალოს ზეითი“, „დანდალოს ქვეითი აჭარა“ კი ქუთათლის სამწყსოს ეკუთვნოდა) (დომიტრი ბაქრაძე. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987, გვ. 77).



XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან მძიმე პერიოდი დადგა სამცხე-საათაბაგოს ისტორიაში. ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ ოსმალებმა თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციეს ტაო, შავშეთი, კლარჯეთი, ლაზეთი, აჭარა-მაჭახელი. მიტაცებული ტერიტორიები ოსმალებმა სანჯაყებად (ოლქებად), სანჯაყები კი ყაზებად (მაზრებად) და ნაჰიებად (თემებად) დაყვეს.

ოსმალური წყაროების მიხედვით მაჭახელიც თავდაპირველად ცალკე სანჯაყს წარმოადგენდა, რასაც წინ უსწრებდა ბრძოლები მაშინდელი მაჭახლის აზნაურებსა და ტრაპიზონის ფაშას - მუსტაფას შორის. 1550 წლის 8 დეკემბერს (ჰიჯრით 957 წელი) ფაშას ლაშქარი გამოუგზავნია მათ დასამორჩილებლად, დაუნგრევია ვინმე თავადი ჯალაბასა და სპირიდონისძეების მიწაზე ოთხი ციხესიმაგრე და ამოუწყვეტიათ ამ ციხეებში მყოფი თავადაზნაურები. სპირიდონისძეებს შემდეგ ისლამი მიუღიათ. ერთ-ერთ მათგანს, სპირიდონ-ბეგის ძეს იოსებიტს (იოსები?), აჰმედი შეარქვეს. იგი მაჭახლის პირველი სანჯაყ-ბეგი გამხდარა. სანჯაყ-ბეგებად სახელდებიან აგრეთვე მისი ძმები მეჰმედი, მაჰმუდი და სეფერ-ბეგი, რომლებიც მაჭახელსა და შავშეთ-იმერხევს განაგებდნენ. არსებობს 1573 წლის 26 ივლისით დათარიღებული ცნობაც, რომლის მიხედვითაც მაჭახელი ამ დროსაც ოსმალეთის სანჯაყად მოიხსენიება. 1576 წლის ცნობით კი მაჭახელი არზრუმის საბეგლარბეგოს შემადგენლობაშია და მას კვლავ აჰმედ ბეგი მართავს. ამ ცნობის საფუძველზე თვლიან, რომ ეს წლები უნდა მივიჩნიოთ ოსმალთა მიერ მაჭახლის ხეობის ინკორპორაციის თარიღად. XVII საუკუნის 30-იან წლებში მაჭახლის სანჯაყი ჩილდირის საფაშოს შემადგენლობაშია, რომელიც 1579

წელს დაარსდა. მისი პირველი ბეგლარბეგი იყო გამაჰმადიანებული მანუჩარი, იგივე მუსტაფა ფაშა (ზაზა შაშიკაძე. ოსმალეთის მიერ მაჭახლის ხეობის დაპყრობის თარიღისათვის. ჟურნალი „მაჭახელი“, 2007, №1).

თურქი ისტორიკოსის ევლია ჩელების (1611-1683) ცნობით, XVII საუკუნის 40-იან წლებშიც მაჭახელი სანჯაყად იწოდებოდა და ადმინისტრაციულად ისევ ჩილდირის (ახალციხის) საფაშოში შედიოდა. საფაშო სამცხე-საათაბაგოს ძირითად ტერიტორიას მოიცავდა.

ოსმალეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მოგვიანებით ცვლილებები მოხდა. ოსმალთა ბატონობის ბოლო წლებში მაჭახელი ლაზისტანის სანჯაყში გააერთიანეს, როგორც ყაზა. ამ სანჯაყში კიდევ ათი ყაზა შედიოდა (ბათუმი, ზედა აჭარა, ქვედა აჭარა, ჩურუქ-სუ, ლივანა, გონიო, ხოფა, არქაბე, ხემშინი, ათინა).

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად განთავისუფლებული და დედამამშობლო საქართველოსთან დაბრუნებული სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (დღევანდელი აჭარა, შავშეთი, ტაო, კლარჯეთი, ლაზეთი) ახალი ადმინისტრაციული დაყოფით ბათუმის ოლქად გარდაიქმნა. 1881 წლიდან იგი ქუთაისის გუბერნიას შეუერთდა. ოლქი ოკრუგებად დაიყო. მაჭახელი, ქვემო და ზემო აჭარა აჭარის ოკრუგში შემავალ უბნებად („უჩასტკებად“) გამოცხადდა.

ოსმალთა ბატონობის ბოლო პერიოდსა და შემდგომაც, ამ ბატონობისაგან გათავისუფლების შემდეგ, მაჭახლის თემში შედიოდა როგორც საკუთრივ მაჭახლის ხეობის სოფლები (სინდიეთი, ჭანივრი, ქედქედი, აჭარისაღმართი, სკურდიდი, ცხემლარა, ჩიქუნეთი, ქვედა ჩხუტუნეთი, ზედა ჩხუტუნეთი, გორგაძეთი, საფუტკრეთი, ხერთვისი, მინდიეთი, აკრია, ქვაბითავი, ზედვაკე, ეფრატი), ასევე მეზობელი აჭარისწყლის ხეობისა (მალაკონი, ქვედა ხერთვისი, ჭალახმელა, უჩხითი, ნამლისევი, მილისი) და ჭოროხის ხეობის (მაჭახლისპირი, გვარა, კობალეთი, კირნათი) სოფლები. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან აჭარისწყლის ხეობის მითითებული სოფლები ქედის რაიონის მახუნცეთის სასოფლო საბჭოს (თემს) შეუერთდა, ჭოროხის ხეობის სოფლები კი ბათუმის (ახლანდელი

ხელვაჩაური) რაიონის კირნათის სასოფლო საბჭოს ანუ დღევანდელი კირნათის თემს.

მაჭახლის ხეობის, ისე როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეების ბედი კვლავ უკუღმართად წარიმართა 1921 წლიდან. ხეობის ზედა ნაწილი (ზედა მაჭახელი) 6 სოფლით (ხერთვისი, აკრია, მინდიეთი, ქვაბითავი, ზედვაკე, ეფრატი) კვლავ თურქეთის სახელმწიფო საზღვრებში მოექცა. ხეობის ქვედა ნაწილი (ქვედა მაჭახელი) სოფლებით: ზედა ჩხუტუნეთი, ქვედა ჩხუტუნეთი, ჩიქუნეთი, ცხემლარა, სკურდიდი, აჭარისაღმართი, ქედქედი, სინდიეთი, ჭანივრი, გორგაძეთი, საფუტკრეთი ახალი ადმინისტრაციული დაყოფით ბათუმის ანუ ახლანდელი ხელვაჩაურის) რაიონს მიეკუთვნა. ამ სოფლების ბაზაზე შეიქმნა შემდეგ აჭარისაღმართის სასოფლო საბჭო ანუ დღევანდელი აჭარის-აღმართის თემი (ნოდარ კახიძე. მაჭახლის ხეობა. ბათუმი, 1974, გვ. 35).

მაჭახლის ხეობა თავისი ხელსაყრელი მდებარეობით მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ჭოროხის მხარის ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამაზე მიგვანიშნებს ისტორიული, ეთნოგრაფიული და ტოპონიმიკური მონაცემები, მატერიალური კულტურის ძეგლები. ადრეფეოდალური ხანიდან მოყოლებული ხეობაში გამავალ გზას სავაჭრო-ეკონომიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა საკუთრივ ხეობისა და მეზობელი ჭოროხის ხეობის ზემო ნაწილისათვის. ეს რაიონები შავიზღვისპირეთს ორი სახმელეთო გზით უკავშირდებოდა. ერთი, გრძელი გზა უშუალოდ ჭოროხის ხეობაზე გადიოდა, მეორე, უმოკლესი გზა - მაჭახლის ხეობაზე. უკანასკნელი გზა აკავშირებდა მაჭახელს ქვემო და ზემო აჭარასთან. სოფელ ეფრატზე გადიოდა ხეობის შავშეთთან დამაკავშირებელი გზა. ეფრატიდან მიემართებოდა აგრეთვე გზები ართვინის, არდანუჩის, არდაანის და სხვა ცენტრებისაკენ (იქვე, გვ. 7).

მაჭახელი სამეურნეო და კულტურული მხრივ დაწინაურებული ხეობა იყო. მისდევდნენ მიწამოქმედებას, მესაქონლეობას, მევენახეობას, მეხილეობას, მეფუტკრეობას, ხელოსნობას. მარცვლეულიდან მოჰყავდათ ფეტვი, ჭვავი, ქერი, ღომი, ხორბალი, ლობიო,

თამბაქო და სხვა. მიწათმოქმედება-მემინდვრობამ ფართო ასახვა ჰპოვა ტოპონიმიაში. ამაზე მიუთითებს ადგილთა სახელწოდებანი: ნაპურვალა, ნაფეტვარა, ნასელვარი, ნაქერვალა, ნალომვარი, ჭვავნარი და ა.შ. XIX საუკუნის ბოლოდან აქაც მონოკულტურად იქცა სიმინდი. ხორბლეულიდან მოჰყავდათ მახა, ასლი, რომლებიც საქართველოსთვის ენდემურ პურეულებად ითვლება. აქა-იქ ითესებოდა ბრინჯი.

სოფლის მეურნეობა ძირითადად ექსტენსიურად ვითარდებოდა, მაგრამ რიგი სამეურნეო ხასიათის მაჩვენებელი იმდროისათვის მის მაღალგანვითარებულ დონეზე უნდა მიუთითებდეს. საკმარისია მიუთითოთ ქვით და ხით შემოსილი ტერასების მოწყობის ტრადიციულ წესზე, რაც ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის ინტერესებს ემსახურებოდა. ტერასის აღმნიშვნელ ტერმინად აქ ოროკი იხმარება, რაც ტოპონიმადაც დამკვიდრდა ოროკების სახელწოდებით (სოფ. ზედა ჩხუტუნეთი). ოროკი ძველი ტერმინია, რომელსაც XVIII საუკუნის ცნობილი ლექსიკოგრაფი სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს, როგორც ბაქან-ბაქანად მოვაკებულ მიწას. ამ ტერმინსა და ტოპონიმში ჩაქსოვილია აქაური მიწათმოქმედის დიდი და რთული შრომა, რასაც იგი თავიდანვე მიმართავდა მთაგორიანობის, მიწის სიმცირისა და რელიეფის დახრილობის პირობებში სახნავსათესი მიწების რაციონალური გამოყენებისათვის. ოროკი, როგორც ტოპონიმი, ამ მნიშვნელობით საქართველოს ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მხოლოდ მაჭახლის ხეობაშია დამოწმებული.

მაჭახლის ხეობა განსაკუთრებით დაწინაურებული ჩანს მევენახეობა-მეღვინეობის თვალსაზრისით. ამაზე მიუთითებს მატერიალური კულტურის ისეთი ნაშთები, როგორიცაა: ქვითკირით ნაშენი მარნები და საწნახლები, მიწაში უხვად ჩამარხული სხვადასხვა ტევადობის ჭურები, ვაზის ძველთაძველი ჯიშები.

მარნებისა და საწნახლების მშენებლობას ხალხი თამარ მეფეს მიაწერს. მაგრამ შესაძლოა ეს ძეგლები უფრო ძველი ან მოგვიანო პერიოდისაც იყოს. ისინი არქეოლოგიურად



დღემდე შეუსწავლელია. რამდენიმე საწნახელია დაცული სოფელ ზედა ჩხუტუნეთის ტერიტორიაზე. მათი გავრცელების ადგილებია: მერე, საჭინკურია, ჭონჭყო, ჯანაურა, ბარი. 1979 წლის ზაფხულში ქვითკირით ნაგები მოზრდილი საწნახელი აღმოჩნდა ამავე სოფლის 8-წლიანი სკოლის ეზოს კეთილმოწყობის დროს. იგი 1850-იან წლებში მოსულ მეწყერს დაუფარავს. ამავე ადგილზე ადრე ეკლესიის არსებობაზეც მიუთითებენ. საწნახლების ნაშთებია შემონახული ცხემლარასა და ჩიქუნეთში. ქვის ორი მარანია დაცული ცხემლარასა და ზედა ჩხუტუნეთში, ორიც - სოფელ ჩიქუნეთში (თავდიეთის უბანი).

მიწაში ჩამარხული ჭურები ხეობის თითქმის ყველა სოფელში გვხვდება. ამათგან სიმრავლით სინდიეთი და ზედა ჩხუტუნეთი გამოირჩევა (იქვე, 45-46).

მარნებში, საწნახლებსა და ჭურებში მალლარი ვენახის ყურძნის ღვინო იწურებოდა და ინახებოდა. ხეობაში გავრცელებული იყო მალლარის შემდეგი ჯიშები: კოლოშა, ღუდლო, ცხენიძუძუ, ჩხავერი, მისკეთი, საკმიელი, ბოსტნური, ქვაბთური, ხარისთვალა, ჩიტაყურძენა, ლივანური, კლარჯული, შავშური და სხვა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში აქაც გავრცელებულა ვაზის ჯიში ადესა. ძველი ჯიშები კი, გარდა ჩხავერისა, თითქმის გადაშენდა.

მთური კლიმატური პირობების მიუხედავად, მაჭახლის ხეობაში ყველანაირი ხეილი ხარობდა. XIX საუკუნის 90-იან წლებში მაჭახელში მოგზაურობისას ზ.ჭიჭინაძე შენიშნავდა, რომ მაჭახელში მსხლით, ვაშლით, თუთით, ვაზით დატვირთული ტყეები არისო (ზაქარია ჭიჭინაძე. მუსლიმანი


ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტფილისი, 1913, გვ. 187). ხოლო საზოგადო მოღვაწე და ეთნოგრაფი, ცნობილი აგრონომი-მეფუტკრე ა.წულაძე, რომელმაც მაჭახელში 1916 წელს იმოგზაურა, შენიშნავდა: „მაჭახელი მართლაცდა იშვიათი სახეხილე ადგილია. აქ არ იცის ქარი, მოწვა, სითბოც მუდამ ზომიერია“ (აპოლონ წულაძე. წერილი აჭარიდან. გაზ „საქართველო“, 1916, №72).

მაჭახლის ხეობა განსაკუთრებით განთქმული იყო ცეცხლსასროლი და ცივი საბრძოლო იარაღების დამზადებით, რომელიც აქაური მრავალდარგოვანი ხელოსნობის ყველაზე დაწინაურებული დარგი იყო.

სამჭედლო ხელოსნობას ხეობის რამდენიმე სოფელში მისდევდნენ, მაგრამ თავიანთი ნახელავით უფრო ცნობილი ყოფილან ზედა ჩხუტუნეთის, ხერთვისისა და ეფრატის მჭედლები. ცეცხლსასროლი და ცივი საბრძოლო იარაღების (კაჟ-ჩახმახიანი თოფი და დამბაჩა, ხანჯალი და იათაგანი) დამზადებით კი შორს გაითქვეს სახელი ზედა ჩხუტუნეთის, გორგაძეთის, ხერთვის-ქავთარეთის, ეფრატის და ზედვაკის მეიარაღეებმა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში საუკეთესო მეიარაღე ხელოსნებად ცნობილი ყოფილან ნაგერვაძეები, კახიძეები (ზედა ჩხუტუნეთი), ქავთარაძეები (ხერთვის-ქავთარეთი), გორგაძეები და გვიანიძეები (გორგაძეთი). მეიარაღე ნაგერვაძეთა გენიალოგიის შესწავლით ირკვევა, რომ თოფდამბაჩებისა და ცივი საბრძოლო იარაღების დამზადება მაჭახლის ხეობაში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მაღალ დონეზე იდგა.


ჩამოთვლილ სახელოსნო ცენტრებში მზადდებოდა ორი სახის თოფი: „თოფხანე“ და „ნაღფარა“. ორივე „მაჭახელას“ სახელწოდებითაა ცნობილი. პირველი სახის თოფს მეტწილად ოქრო-ვერცხლითა და ძვლით ამკობდნენ, რომელსაც ზრახნილი ლულა უკეთდებოდა. მეორე სახის თოფი პირველს ჩამოუვარდებოდა შემკულობით და ლულის დამზადების ტექნიკით.

თოფის ლულა მზადდებოდა სპეციალურ დაზგაზე, რომელსაც „თოფის ჩარხი“ ეწოდება. დაზგის მაკეტი აღდგენილი სახით ამჟამად დგას აჭარის სახელმწიფო მუზეუმში, რომელიც




სოფელ ზედა ჩხუტუნეთელმა მემკვიდრეობით მეიარაღე მჭედლებმა რეჯებალ ნაგერვაძემ და ასლან ძნელაძემ დაამზადეს.

მაჭახელში დამზადებული ცეცხლსასროლი და ცივი საბრძოლო იარაღების ღირსება და საყოველთაო მოწონება მისი მაღალი ოსტატური გემოვნებით დამზადებაში უნდა ვეძიოთ. ზ.ჭიჭინაძეს მაჭახელში მოგზაურობისას თავად უნახავს ასეთი იარაღები. იგი წერდა: „იარაღების სევადები, ყვავილები და ასოები ხელოვნურად ამოჭრილი განცვიფრებაში მოიყვანენ მნახველს. ნამეტურ საინტერესოა და სანახავია



ისეთი იარაღები, რომლებიც ქართველთა მეფობის დროს არის გაკეთებული და რომელზეც ოსტატურად ქართული ასოებიც არის ამოჭრილი“. აქაური წარმოების თოფები და დამბაჩები, ხანჯლები და იათაგანები არა მარტო მთელ აჭარაში იყო ცნობილი, არამედ მის ფარგლებს გარეთაც: გურიაში, იმერეთში, ახალციხესა და ყარსის ოლქებში, ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა პროვინციებში. ზ.ჭიჭინაძის ცნობით, „სტამბოლში ყველა



ფაშის სახლში და კარისკაცთა იარაღებს შორის „მაჭახელა“ პირველობდა. ოსმალეთში ყველა მეომარმა იცოდა მისი ფასი და მნიშვნელობა, ამიტომაც მას ქებით მოიხსენებდნენ მოშიარენი და მელექსენი“ (ზაქარია ჭიჭინაძე, საომარი იარაღის ხელოსნობა და მისი დაცემა სამხრეთ-საათაბაგოს და მაჭახელს. - „სამცხე-საათაბაგო და ქართველი კათოლიკენი“, ტფილისი, გვ. 21).

ოსმალთა ბატონობის გარკვეულ პერიოდში მაჭახლის ხეობაში იარაღების დამზადება იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ ოსმალთა ხელისუფლება თანზიმთამდე ანუ რეფორმების გატარებამდე (იგი XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო) აჭარა-მაჭახელში ნომინალურად არსებობდა და ადგილებზე ზედამხედველობას ვერ ახორციელებდა. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის წინა ხანებში კი იარაღების წარმოება გარკვეულ კონტროლს დაექვემდებარა, რათა იგი ხელში არ ჩავარდნოდა გამანთავისუფლებელ მოძრაობას. იარაღის დამზადება არც ომის შემდეგ შეწყვეტილა. 1878 წლისათვის, დ.წერეთლის ცნობით, მაჭახელში „სამხედრო იარაღის მკეთებელი ოცდაათი ოსტატი ყოფილა“. ხოლო ზ.ჭიჭინაძის ცნობით XIX საუკუნის 90-იან წლებში მაჭახელში ხუთიოდე მეიარაღე თუ იყო, რომელთაც შეეძლოთ ძველებური სევადიანი იარაღების დამზადება.

მაღლიერმა შთამომავლობამ დიდათ დააფასა მაჭახლელ მეიარაღეთა ღვაწლი და მათ



ნახელავ კაჟ-ჩახმახიან თოფ „მაჭახელას“ ძეგლი დაუდგა. იგი აღმართულია იქ, სადაც მდინარე მაჭახელა მდინარე ჭოროხს ერთვის, ისტორიულ გვარას ციხესთან ახლოს. ეს მაჭახლელ მეიარაღეთა დიდების ძეგლია, საიდანაც მაჭახლობის ყოველწლიური დღესასწაული იწყება.

მაჭახლური იარაღების დამზადების საბოლოო შეზღუდვაზე დიდი გავლენა იქონია საუკეთესო მეიარაღეთა მუჰაჯირად წასვლამ და შედარებით იაფი ქარხნული წარმოების იარაღების შემოტანამ, რომელმაც ადგილობრივს მნიშვნელოვანი კონკურენცია გაუწია.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის მონაცემებით (დ.ბაქრაძე, ინგლისის კონსული ტრაპიზონში ჯ.პალგრევი და სხვები), კაჟ-ჩახმახიანი თოფები და დამბაჩები მაჭახლის ხეობის გარდა, მზადდებოდა ქვედა აჭარაშიც (ცხმორისი, ახო, სალორეთი). მაგრამ ამ მხრივ მაინც მაჭახლის ხეობა პირველობდა, იგი იყო დაწინაურებული და წამყვანი კერა (საბრძოლო იარაღების დამზადებაზე მაჭახლის ხეობაში და საერთოდ აჭარაში, ვრცლად იხილეთ: ნოდარ კახიძე, ცეცხლსასროლი იარაღების დამზადების ისტორიიდან აჭარაში. - „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“, თბილისი, 1974, №2).

ხეობის მდიდარ ისტორიულ წარსულზე ნათლად მეტყველებენ მატერიალური კულტურის სხვა ისეთი ძეგლები, როგორიცაა ციხეები, ქვის თალიანი ხიდები, ეკლესია-მონასტერთა ნაშთები. დღევანდლამდე დაზიანებული სახით მოღწეულია გვიან შუა საუკუნეების ერთი ციხე, რომელიც მდინარე მაჭახელას მარცხენა მხარეს, მაღალ კლდოვან ბორცვზე მდებარეობს. იგი ჩხუტუნეთის ციხის სახელწოდებითაა ცნობილი. ციხე კეტავდა ხეობაში გამავალ სამხედრო სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობის გზას, რომელიც შავიზღვისპირეთს შავშეთთან, არტანუჯთან და სამხრეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან აკავშირებდა. მდინარეების მაჭახელასა და ჭოროხის შესართავთან მდებარეობს უფრო ადრეული პერიოდის გვარას ციხე, რომელიც მოსალოდნელი საფრთხისაგან იცავდა მაჭახლისა და ლივანის (ლივანას) ხეობებში შემავალ გზებს. ორი ციხე არსებობდა ზედა მაჭახელში - ერთი ხერთვისში, მეორე სოფელ ეფრატს ზემოთ. ეს ციხე მაღალ გორაზე მდგარა, რომელსაც თეთრი ქვისაგან ნაშენი ორი ბუხარი ჰქონია. მეორე ციხე უფრო საყდრის მსგავსი ყოფილა და მას თამარ მეფის კომპლექსს ეძახდნენ (გადმოცემის მიხედვით, თამარ მეფეს ზაფხულობით აქაც უცხოვრია).

ხეობა ყველაზე მდიდარია ქვის თაღიანი ხიდებით. ხეობის მარტო საქართველოს ნაწილში დღეისათვის თავდაპირველი სახით მთლიან-



ნად დაცულია ცხემლარის, ჩხერის, ზვარიას, ჩომახისურის ხიდები და ნაშთების სახით გორგაძეთის, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში დანგრეულა. ჩომახისურის ხიდს გვიან შუა საუკუნეებს მიაკუთვნებენ. გადმოცემით, იგი თანთო ახმელ-ალა ხინკილაძეს აუგია XVIII საუკუნეში. ამ ადგილას ადრე ძველი ხიდი ყოფილა. დანარჩენი ხიდები შუა ფეოდალური ხანისაა. ქვის რამდენიმე თაღიანი ხიდი არსებობდა ზედა მაჭახელში, რომელიც თურქეთის საზღვრებშია მოქცეული. ამთგან დღევანდლამდე მოღწეული მინდოეთისა და ეფრატის ქვის თაღიანი ხიდები. უკანასკნელი დღეს „ყრუ ხიდად“ იწოდება, რადგან მდინარე ეფრატის წყალს კალაპოტი შეუცვლია და დამშრალა (მაჭახლის ხეობის მატერიალური კულტურის ძეგლებზე დაწერილებით იხილეთ: ნოდარ კახიძე. მატერიალური კულტურის ძეგლები ზედა მაჭახელში. – ჟურნალი „მაჭახელი“, 2011, №5; როინ მალაყმაძე. ისტორიისა და კულტურის ძეგლები მაჭახლის ხეობაში. – ჟურნალი „მაჭახელი“, ბათუმი, 2007, №1)

გადმოცემით, ხეობის ყველა სოფელში არსებული ეკლესიები. შემორჩენილია ხალხური გადმოცემები ეფრატისა და ხერთვისის ეკლესიებზე. ზ.ჭიჭინაძისათვის ეფრატელ მოხუცებს უამბიათ, რომ აქაურები ამ ეკლესიას „მაჭახლის დედაეკლესიას ეძახდნენ“ (ნოდარ კახიძე. მატერიალური კულტურის ძეგლები ზედა მაჭახელში). მისი ნაშთები XX საუკუნის დამდეგამდე ყოფილა შემორჩენილი. დარჩენილია გადმოცემა, რომ XIX საუკუნის ბოლომდე

სოფლის ხანდაზმული ქალები ეკლესიის ნანგრევებთან ქრისტიანული დღესასწაულების დროს სათანადო რიტუალებსაც ასრულებდნენ. ეფრატის ეკლესიას ხალხი იმიტომაც ანიჭებდა უპირატესობას, რომ თამარ მეფეს აქ ყოფნის დროს იგი ძვირფასი განძეულობით შეუმკია და სასულიერო წოდებისათვის პარაკლისიც გადაუხდევინებია. გადმოცემა იმასაც გვაუწყებს, რომ თამარ მეფეს ძალიან ჰყვარებია კარჩხალის მთაზე სტუმრობა. მას ორი რეზიდენცია ჰქონია, ერთი კარჩხალზე, საიდანაც ხშირად ეწვეოდა თურმე ხეობის სოფლებს, მეორე - სოფელ ქვედა ჩხუტუნეთში, სადაც საყდარი იდგა. ამ ადგილს ახლა ნაქილისვარს (ნაეკლესიარს) ეძახიან, რომელიც ჩხუტუნეთის ციხესთან ახლოს მდებარეობს.

სოფელ ჩხუტუნეთში მოხუცები მიუთითებდნენ მოზრდილი ეკლესიის არსებობაზე ჯვართას მთაზე ანუ იგივე ჯვარისმთაზე. სოფელ ზედა ჩხუტუნეთიდან სოფელ სკურდილში ამ მთაზე გადადიოდა გზა. მოზრდილი ეკლესია ყოფილა ზედა ჩხუტუნეთში, იქ, სადაც ამჟამად ხის ორსართულიანი, ჩუქურთმებით შემკული ხის მეჩეთი დგას. ირკვევა, რომ აჭარაში მეჩეთები ნაეკლესიარ ადგილებზე შენდებოდა.

ხეობის წარსულზე მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის XII-XIII საუკუნეების ხელნაწერი ძეგლი „ტბეთის სულთა მატხანე“, რომელიც ტბეთის (შავშეთის) ეკლესიაშია შედგენილი. იგი ძირითადად შემწირველთა ნუსხაა, მაგრამ მასში შეიძლება ამოვიკითხოთ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხის, მათ შორის, პირველ რიგში მაჭახლის ხეობის, ისტორიული გეოგრაფიის, საგვარეულოთა ისტორიისა და ტოპონიმიკის ამსახველი მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი ცნობები. მატხანის XII-XIII საუკუნეების ფენაში მოხსენიებულია სოფლები: ეფრატი, ზედვაკე, ხერთვისი (ზედა მაჭახელი), ჩხუტუნეთი, ჩიქუნეთი (ქვედა მაჭახელი). ეს სახელწოდებანი სოფლებს დღესაც შემორჩა. ამავე რიგისაა მატხანისეული ადგილთა სახელები, რომლებსაც დღეს ჩამოთვლილი და სხვა სოფლების დასახლებული უბნები ატარებს: გვიანეთი, კეფერეთა, ცხადიეთი, დავითეთი (სოფ. ზედა ჩხუტუნეთი), სიკალეთი (სოფ. ჩიქუნეთი) და ა.შ.

მეტად ვრცელია ხეობის იმდროინდელ გვართა ნუსხაც. გვარები სხვადასხვა სუფიქსითაა წარმოდგენილი, რომელთა შორის სჭარბობს -ძე და -შვილ სუფიქსებით წარმოებული გვარები. ამათგან ბევრი დღესაც ცხოვრობს ხეობის როგორც ქართულ ნაწილში (ქვედა მაჭახელი), ისე საზღვარგარეთულ ნაწილში (ზედა მაჭახელი). ესენია: აბესლამიძე, ბასილაძე, გაბრუშიძე, გვიანიძე, გოგოძე, გორაძე, გორგაძე, კირკიტაძე, კოპლაძე, მალაყმაძე, მორთულაძე, მოფინაძე, პირპილაძე, ფერსელიძე, ფუტკარაძე, ქავთარაძე, ქონდარიძე, ქოქოლაძე, ციმნარიძე, ჭანიძე, ჯიგანაძე, ხინკილაძე (ქვედა მაჭახელი), ვასაძე, კიბორიძე, ჯარდენიძე, ვარშანიძე, ზარქიძე, კანჯარაძე, ქუნთელაძე, ოსანაძე, ლაღანიძე, შალვაძე (ზედა მაჭახელი). ჩამოთვლილი ყველა გვარი მატიანეში ს-ან ფორმატით მოიხსენიება (აბესლამისძე, კოპლასძე, მეფუტკრისძე, ჭანისძე, ლაღანისძე, შალვასძე და ა.შ.). ამასთან ერთად, ერთი და იგივე გვარი მატიანეში მოხსენიებულია სხვადასხვა მაწარმოებლებით (აბესლამისძე – აბესლამეთ – აბესლამური; გვიანისძე – გვიანეთ; ვარშანისძე – ვარშანეთ; ზარქისძე – ზარქიეთ; თევთისძე – თევთიეთ; კანჯარასძე – კანჯარეთ; მორთულასძე – მორთულაყი; მეფუტკრისძე – მეფუტკრიეთ; ქოქოლასძე – ქოქოლაური; შალვასძე – შალვაეთ; ჯარდენისძე – ჯარდენეთ და ა.შ.). გვხვდება შვილ, ურ, ელ, ფხე სუფიქსებზე დამთავრებული გვარსახელებიც (ნოდარ კახიძე. ეტრატზე ამეტყველებული ისტორია. ბათუმი, 2013, გვ. 27-48; ნოდარ კახიძე, დალი კახიძე. მაჭახლის ხეობის გვარსახელები და ადგილთა სახელები შუა საუკუნეებში („ტბეთის სულთა მატიანეს“ მიხედვით). – ჟურნალი „მაჭახელი“, ბათუმი, 2007, 31).

ასეთია არასრული სურათი მაჭახლის ხეობის წარსული დიდებისა ოსმალთა ბატონობამდე. ხოლო ამ ბატონობის დროს კი ხეობის, ისე როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა დაპყრობილი რეგიონების საერთო მდგომარეობა, ჩიხში მოექცა. მნიშვნელოვნად მოიშალა სამეურნეო და კულტურული ცხოვრება. დაიწყო გამუსლიმების პროცესი. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მევენახეობა-მელვინეობა, რომლის განვითარება ცალმხრივად წარიმართა, მელვინეობა ჩაკვდა, დაღუპდა მარან-საწნახლები, გადაშენების გზაზე

დადგა ვაზის საღვინე ჯიშები. მიუხედავად ამისა, ხეობის მოსახლეობა XVIII საუკუნის ბოლომდე არ ცნობდა სულთნის ხელისუფლებას, რომელიც ნომინალურად არსებობდა. ფაქტობრივი ძალაუფლება კვლავ ადგილობრივი ბეგების ხელში იყო. მათი დამოკიდებულება ოსმალთა ხელისუფლებისადმი იმით გამოიხატებოდა, რომ იხდიდნენ სხვადასხვა გადასახადს და მათივე ხელმძღვანელობით გამოჰყავდათ ჯარი სულთნის დროშის ქვეშ. მხოლოდ XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან – თანზიმათის გატარების პერიოდში აჭარა-მაჭახელშიც დამყარდა ოსმალთა ფაქტიური ბატონობა. ესეც მათ ისევე აჭარის ადგილობრივ ბეგების დანმარებით შეძლეს. ამიერიდან, თანზიმათის თანახმად, ოსმალეთის ყველა ქვეშევრდომი ვალდებული იყო ერთნაირი წესით ეხდა გადასახადები, რომელიც მოსახლეობისათვის აუტანელი იყო. განსაკუთრებით გამძაფრდა გამუსლიმანების პროცესი. იგი ყველაზე ძნელად აჭარა-მაჭახელში იკაფავდა გზას. ზეპირსიტყვიერი მონაცემებით, რომელიც ზ.ჭიჭინაძეს ჩაუწერია აჭარაში, მაჭახელსა და ჭოროხის ხეობაში მოგზაურობის დროს, ყველაზე მეტი წინააღმდეგობა ოსმალეთისათვის მაჭახლის მოსახლეობას გაუწევია, ყველაზე მეტი სისხლი სარწმუნოებისათვის მას დაუღვრია და ყველაზე გვიან იგი გამაჰმადიანებულა. ქედის ხოჯა ახმედ ხალიფაშვილი, რომელიც ქართველობის დიდი მოსურნე ყოფილა, ზ.ჭიჭინაძესთან საუბარში მაჭახელელთა შეუპოვრობას იმითაც ხსნიდა, რომ ისინი განთქმული იყვნენ თოფებისა და ხმალ-ხანჯლების მკეთებლობით, ამასთან გულადი ბრძოლით და ამიტომაც თავს არ უხრიდნენ ოსმალებს. ხეობაში ბევრი აზნაური XIX საუკუნის დამდეგამდეც კი მტკიცედ მდგარა მამაპაპის რჯულზე. ასეთები ყოფილან, მაგალითად, ძნელაძეები, რომლებიც ზედა ჩხუტუნეთში ცხოვრობდნენ. მათი უხუცესი წარმომადგენლისათვის, გარდაცვალების შემდეგ მისი ანდერძისამებრ, ართვინიდან მოყვანილ მღვდელს აუგია წესი (ნოდარ კახიძე. მაჭახლის ხეობა, გვ. 20).

მაჭახლის მოსახლეობა მთელ სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობასთან ერთად ყოველთვის მხარში ედგა ათაბაგების ბრძოლას ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავდა დამპყრობელთა განდევნას და ქვეყნის დამოუკიდებლობას.

წერილობითი მონაცემები გვაუწყებენ, რომ ამ ბრძოლაშიც მაჭახლელები შეუპოვრობითა და მამაცობით გამოირჩეოდნენ. ასეთი ბრძოლის შედეგი იყო, რომ აჭარა-მაჭახლის მოსახლეობამ ძირითადად შეინარჩუნა ქართული თვითმყოფადობა, ქართული ენა, ყოფისა და კულტურის ბევრი ძირძველი ელემენტი. ძველი ტრადიციების, წესჩვეულებების შემონახვაში დიდი იყო აჭარელი ქალის როლი.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ბრძოლას ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ ჯერ კიდევ ერეკლე მეორის დროიდან დაწყებული თანაუგრძნობდა და მხარს უჭერდა ქართველი საზოგადოებრიობა. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შედეგად აღსრულდა ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ოცნება – მიტაცებული მიწა-წყალი, მათ შორის აჭარა-მაჭახელი, დედასამშობლოს დაუბრუნდა. მოწინავე ქართველი ინტელიგენცია დიდი აღტაცებით შეხვდა ამ მოვლენას. 1878 წლის 20 ნოემბერს, თბილისში გაიმართა ისტორიული შეხვედრა-ბანკეტი ახლადშემოერთებული აჭარის დეპუტაციის პატივსაცემად. ამ შეხვედრის მოთავე იყო დიმიტრი ყიფიანი. შეხვედრას ესწრებოდნენ გ.ორბელიანი, ა.წერეთელი, გ.წერეთელი, ს.მესხი და სხვები. დეპუტაციაში მაჭახლიდან შედიოდა სული-ბეგ მაჭახლელი (სული-ბეგ კვირიტიძე-წულუკიძე), რომელიც ენერგიულად იბრძოდა მხარის განთავისუფლებისათვის. დეპუტაციაში იყვნენ აგრეთვე წარმომადგენლები ზემო აჭარიდან (შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი), შავშეთიდან, ბათუმიდან, მარაღიდიდან, ქედიდან, გონიოდან (თედო სახოკია. მოგზაურობანი. თბილისი, 1950, გვ. 152-155).

შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოსმალთა ბატონობისაგან გათავისუფლებული აჭარის ცხოვრებაში. თუმცა, შემდეგ დატრიალებულმა სოციალურ-პოლიტიკურმა ამბებმა მეტად მძიმე განსაცდელში ჩააგდო ადგილობრივი მოსახლეობა. ეს დაკავშირებული იყო ისეთ ეროვნულ ტრაგედიასთან, როგორც იყო მუჰაჯირობა. მაჭახლიდან, ისე როგორც აჭარიდან და მთლიანად ჭოროხის მხარიდან მოსახლეობის ნაწილი ლტოლვილად იქცა თურქეთის სხვადასხვა რაიონში, რაც რუსეთ-თურქეთის 1877-1878

წლების ომის მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა გამოიწვია. არასრული მონაცემებით 1879-1889 წლებში აჭარიდან ათი ათასამდე მუჰაჯირი წავიდა. ამათგან ექვსი ათასამდე ადგილობრივი (აჭარელი) მოსახლეობა იყო, დანარჩენი სხვა ეროვნების წარმომადგენელი (დაწერილებით იხ. შამშე მეგრელიძე. აჭარის წარსულიდან. თბილისი, 1964, გვ. 41-61). ოფიციალური მონაცემებით მარტო მაჭახლის ხეობის მამინდელი 26 სოფლის 1600 კომლიდან მუჰაჯირად გაუსახლებიათ თითქმის ნახევარი (ნოდარ კახიძე. მაჭახლის ხეობა, გვ. 30). გახეთ „დროების“ ცნობით მაჭახლელები და აჭარელები დაუსახლებიათ თირიბოლში, კერასუნტში, ორდუში, უნიესა და თურქეთის სხვა ზღვისპირა რაიონებში (გაზ. „დროება“, 1879, №188). აქედან განსახლდნენ შემდეგ მაჭახლელები და აჭარელები თურქეთის სხვადასხვა რაიონებში, მათ შორის ბურსის ვილაიეთის ინეგოლის რაიონში, სადაც ერთ-ერთ სოფელში - ჰაირიეში მარტო მაჭახლელ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობდნენ.

მაჭახლელთა მუჰაჯირად წასვლანებით არ მომხდარა, მას იძულებითი ხასიათი ჰქონდა. თანაც, ძალზე მძიმე ყოფილა განსახლებულთა მდგომარეობა გასახლების პროცესში, გასახლების ადგილას ჩასვლამდე. მუჰაჯირად გამზადებული მოსახლეობა ბათუმში ზღვისპირას, ქუჩებში იყრიდა თავს და ოსმალეთში მიმავალ გემს მძიერ-მწყურვალნი და ძუძუმწოვარი ბავშვებით დღეობით ელოდებოდნენ, გემში ჩაჯდომისას კი ტირილითა და გულსტკივილით ეთხოვებოდნენ მშობლიურ მიწა-წყალს. აღთქმულ ადგილას დასახლების შემდეგაც კი მათი მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ისინი ცუდ მატერიალურ პირობებში ცხოვრობდნენ და მორალურ ტანჯვასაც განიცდიდნენ. ამაზე ლაპარაკობდნენ გამოგზავნილ წერილებში და მუჰაჯირობიდან დაბრუნებულნი.

ამიტომ იყო, რომ მუჰაჯირობისადმი უარყოფითად განწყობილი პირები, მათ შორის მუსლიმური სასულიერო წოდების წარმომადგენელნი, მოსახლეობას ადგილზე დარჩენისაკენ, წასულებს კი უკან დაბრუნებისაკენ მოუწოდებდნენ.

მუჰაჯირობის წინააღმდეგ განსაკუთ-

რებით აიმაღლეს ხმა მაჭახლემა ქალებმა. 1879 წელს გაზეთ „დროებაში“ დავით წერეთელი წერდა: „მთელი აქაური ქალების სურვილი ის არის ახლა, რომ თავის ქმრებს ხელი შეუშალონ წასვლაზე. გამოვა ერთი სახლიდან ჩადრმოხურული ქალი, უქნევს ხელს მეორეს, მეორე მესამეს ეძახის. ამნაირად შეგროვდებიან და აქვთ ერთმანეთში რჩევა და ბაასი თუ როგორ მოახერხონ, რომ თავიანთი ქმრები არ გაუშვან, ამ ქვეყანას არ მოშორდნენ“. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი მდინარე ჭოროხში თავის დახრჩობითაც იმუქრებოდნენ (გაზეთი „დროება“, 1879, 18 თებერვალი). ამაში გამოვლინდა მაჭახლეელი ქალების საპროტესტო ხმა მუჰაჯირობის წინააღმდეგ.

მუჰაჯირობის წინააღმდეგ აღსდგა ქართველი მოწინავე საზოგადოება თავისი ღირსეული წარმომადგენლების სახელით (ილია ჭავჭავაძე, გრიგოლ გურიელი, გიორგი წერეთელი, სერგე მესხი, ნიკო ნიკოლაძე და სხვები). ისინი დიდი გულისწყრომითა და მწუხარებით შეხვდნენ აჭარის მოსახლეობის ოსმალეთში გასახლებას და ცდილობდნენ ხელი შეეწყობთ რომ შეჩერებულიყო ეს პროცესი, ანუ ხალხის მშობლიური მიწა-წყლიდან აყრა.

მეორე მხრივ, ქართველი ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები კეთილი მისიით მიიღებოდნენ აჭარა-მაჭახელში, რათა შეესწავლათ, გამოეკვლიათ იგი და დახმარების ხელი გაეწოდებინათ საუკუნოვანი სამეურნეო და კულტურული ჩამორჩენილობის დასაძლევად. მაჭახლის ხეობის შესახებ განსაკუთრებით აღსანიშნავია დავით წერეთლის წერილები, რომლებიც გაზეთ „დროებაში“ იბეჭდებოდა XIX საუკუნის 70-80-იან წლებში (დაწერილებით იხილეთ: ნოდარ კახიძე, ლელა კახიძე. დავით წერეთელი და მაჭახლის ხეობა. – ჟურნალი „მაჭახელი“, 2007, №1). ამავე საუკუნის ბოლოს მაჭახლის ხეობის თითქმის ყველა სოფელი ორჯერ მოიარა ზაქარია ჭიჭინაძემ. იგი გაეცნო ხეობის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას, პირველმა შეკრიბა ძვირფასი ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალები ხეობის წარსულზე, რომლებიც იმდროინდელ ქართულ პერიოდულ პრესაში ქვეყნდებოდა. ეს მასალები შემდეგ მის მიერ გამოცემულ წიგნებში შევიდა. დიდია ზ. ჭიჭინაძის ღვაწლი მაჭახლის

მოსახლეობაში ქართული წერა-კითხვისა და ქართული წიგნების გავრცელებაში. მოგვიანებით, 1916 წელს მაჭახელში სპეციალური დავალებით იმოგზაურა ცნობილმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ ა. წულაძემ. მან ქართული საქველმოქმედო საზოგადოების ხაზით გახსნა პირველი ქართული სკოლა სოფელ ქვედა ჩხუტუნეთში. იგი მეფუტკრეობისა და მეხილეობის განვითარების პროპაგანდასაც ეწეოდა, რასაც მოსახლეობა ინტერესით ხვდებოდა.

ჩხუტუნეთის სკოლაში 1916 წელს ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ დები ვერა და ანეტა მგალობლიშვილები. პირველი წერა-კითხვას ასწავლიდა, მეორე – ჭრა-კერვას. ისინი მოსახლეობაში სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდნენ და ხშირად სოფლის სამედიატორო საქმეებსაც აწესრიგებდნენ (გაზ. „საქართველო“, 1916, №233).

1921 წლიდან კვლავ სხვანაირად წარიმართა მაჭახლის ხეობის ბედი. ისტორიული ბელუკუდმართობის გამო იგი ორად გაიყო. მისი ქვედა ნაწილი (ქვედა მაჭახელი) ექვსი სოფლით საქართველოს საზღვრებში დარჩა, მეორე ნაწილი (ზედა მაჭახელი) ექვსი სოფლით (ხერთვისი, მინდიეთი, აკრია, ქვაბითავი, ზედვაკე, ეფრატი) თურქეთის საზღვრებში (ართვინის ვილაიეთის ბორჩხის რაიონი) მოექცა. შესაბამისად, განსხვავებულია მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება.

მაჭახლის ხეობის მდიდარი და სახელოვანი ისტორიული წარსულის სადიდებელია „მაჭახლობის“ სახალხო დღესასწაულის შემოღება. იგი 2007 წლიდან ხეობის სოფლებში მონაცვლეობით ტარდება ყოველი წლის შემოდგომაზე. „მაჭახლობა“ პირველი წლიდან გასცდა ხეობის ფარგლებს და იგი ფართო მასშტაბით ტარდება. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ დღესასწაულში მონაწილეობენ თურქეთის სახელმწიფო საზღვრებში (ართვინის ვილაიეთი, ბორჩხის ილჩე) მოქცეული ზედა მაჭახლის მოსახლეობის წარმომადგენლები. ამით, სხვა სიტყვებით რომ გამოვხატოთ, სულიერად აღსდგა და ერთმანეთს სულიერად დაუკავშირდა ორად გაყოფილი მაჭახლის მოსახლეობა, რომელთა დიდ ნაწილს წარსული ნათესაობა აკავშირებდა.



სახალხო მთქმელთა დინასტია ჭვანის ხეობიდან

შესავალი

ჩვენი მეზობელი ქვეყნის თურქეთის სამსაუკუნოვანმა ექსპანსიამ აჭარაში ჩაკლა მხატვრული სიტყვა. ერთ დროს „ჩვენი სწავლისა და განათლების აკვანი“ (ილია) ბნელმა მოიცვა. უცხო ქვეყნის ექსპანსია და ძალისმიერი მეთოდებით თავსმოხვეული უცხო რელიგია წინ აღუდგა ჩვენს მხარეში ქრისტიანული კულტურის განვითარებას. მშობლიურ ფესვებს ძალიან დიდი ხნით მოწყვეტილ აჭარაში და, მთლიანად სამხრეთ საქართველოში, მოიშალა და შავმა ღრომ იავარქმნა ქრისტიანული კულტურის კერები, პირისაგან მიწისა აღიგავა ეკლესია-მონასტრები, შეიზღუდა ქართული ენის უფლებები. აჭარაში გაბნეული ისტორიული ტოპონიმები ნათლად ღაღადებენ ყოველივე ამის შესახებ. ამით უნდა ავხსნათ, რომ აჭარამ სამი საუკუნის მანძილზე ვერ წარმოშვა ვერცერთი გამოჩენილი მწერალი, მიუხედავად იმისა, რომ აჭარელ კაცს ღვთისმშობლის მადლი თუ ნიჭიერება ნამდვილად არ აკლდა. რომ არა ბნელი ღრო და უწიგნურობა, ჩვენს მხარეშიც გვეყოლებოდა ილია, აკაკი, ვაჟა, იაკობი, გალაკტიონი, ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე, შალვა ნუცუბიძე, პავლე ინგოროყვა, ნიკო მუსხელიშვილი და ბევრი სხვა.

ღვთიური ნიჭი წყაროსთვალავითაა, კლდეს გაბზარავს და გამოანათებს. ასე იყო აჭარაშიც. მიუხედავად შავი ღროისა, ჩვენი მხარის შვილთა ნიჭიერება ყველაზე უფრო სრულყოფილად ქართულ ხალხურ სიტყვიერებასა და სახალხო მთქმელთა შემოქმედებაში გამოვლინდა. ამ მხვრივ, აჭარა ძალიან მდიდარია და არაფრით არ

ჩამოუვარდება ჩვენი ქვეყნის სხვა რეგიონებს.

ზაქარია ჭიჭინაძე სამართლიანად წერდა, „ქართველმა მაჰმადიანებმა ქართული ენა, თვით ქართული მემაიერობა და მელექსეობაც არ დაივიწყეს. მაგალითებრ ასეთი არის ქობულეთი და აჭარა, სადაც ქართველ მაჰმადიანთ შორის თითო-ოროლა მელექსენიც კი მოიპოვებინ. დღეს, აქ, მათ შორის, მელექსეთა რიცხვს მრავლად ნახავს კაცი (ზ. ჭიჭინაძე, „მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში“, ტფ., 1913, გვ. 73).

ამჯერად, ჩემი კვლევის საგანია ჩვენს მხარეში, კერძოდ შუახევის რაიონის ჭვანის ხეობაში, ხალხის წიაღიდან გამოსული და აღზრდილი სახალხო მთქმელთა ერთი დინასტია, რომელმაც ნათელი კვალი დატოვა თანამედროვეთა და მათი შემდგომი თაობის სულიერ ცხოვრებაში. ესენი არიან აქიფ ქათამაძე და მისი ორი ვაჟი, მემედი და თოფია, ქალიშვილი ფადი, რომლებიც შუახევის რაიონის სოფელ ჭვანაში ცხოვრობდნენ.

მესაძირკვე

ჭვანის ხეობაში სახალხო მთქმელთა დინასტიის მესაძირკვედ იხსენიება აქიფ ქათამაძე, რომელიც სოფელ ჭვანაში (ვარჯენაულის უბანი) დაიბადა 1852 წელს. გლეხის ოჯახში დაბადებულსა და აღზრდილს, განათლება არ მიუღია, რადგან თურქული რეჟიმის დროს აჭარაში მედრესეების გარდა, სხვა ქართული სკოლა და განთლების რაიმე კერა არ არსებობდა. მისი სულის საზრდო მხოლოდ და მხოლოდ ძველქართული აჭარული და ზოგადქართული ფოლკლორის ნიმუშები იყო.

ახალგაზრდა აქიფმა სახელი გაითქვა და მთელს ზემო აჭარაში უაღრესად აღიარებული სახალხო მთქმელი გახდა. ჩვენი ცნობილი პოეტი და ფოლკლორის თვალსაჩინო მკვლევარი ემენ დავითაძე საინტერესო აღუზიას გვთავაზობს აქიფის ბიოგრაფიიდან. ჯერ კიდევ სრულიად ყმაწვილს შეყვარებია სოფელ ბარათაულში მცხოვრები ახმედ-ალას ძალიან ლამაზი ასული. არც ქალი ყოფილა გულგრილი აქიფის მიმართ. რახან ქალიც თანახმა იყო, აქიფს იგი ბარათაულიდან გაუტაცნია და თავი თავისიანებში შეუფარებია. ქალის მამას, ახმედ-ალას, ზემო აჭარის მაშინდელ მმართველ ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილთან უჩივლია. ჯემალ-ბეგს ქალ-ვაჟი დაუპატიმრებია და ახმედ-ალას თანდასწრებით დაუკითხავს. ჯემალ-ბეგის კითხვაზე თუ რით მოაწონა თავი აღის ქალს, აქიფს უთქვამს - მე მოშიარე ვარ და სხვა ხელობა არ მაქვსო. ბეგმა ტუსადს ჩონგური მართავა. აქიფმა თავისი სიყვარულის ამბავი სიმღერით გადმოსცა, გზადაგზა ქალის მამაც გაუშიარებია: „წისკვილს პური დავაყარე, სარეკელი გოგდებოდა, მე ეს გოგო არ მეთხოვა, მერაყისგან მოკვდებოდა.“

ბეგს ძალიან მოსწონებია ყმაწვილიც და მისი სიმღერა-შაირებიც, ამ ყმაწვილს ქალი ნამდვილად არ დაეშლებაო, უთქვამს ახმედ-ალასთვის. ახმედ-ალას უთქვამს, რახან ასეთი სიტყვები და შაირები თქვა, სიძეობასაც მოაფერებსო.

აქიფ ქათამაძემ თავის ლექსებშიც და ცხოვრების წესითაც გამოავლინა პროტესტანტული სული. მეფის რუსეთის კოლონიური გუბერნიის ცხოვრება და მოსახლეობის მძიმე და აუტანელი სოციალური ყოფა საბრძოლველად განაწყობდა. 1905 წელს იგი თავს დაესხა ოზურგეთის პრისტავს და დაჭრა. აჭარის მმართველმა, ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილმა, შეიფარა და შეიწყალა, მაგრამ პატიმრობას მაინც ვერ ასცდა. პატიმრობაში მყოფი სახალხო მთქმელი ერთ-ერთ ლექსში ფართოდ გადმოგვცემს საკუთარ სულიერ მდგომარეობასა და წუხილს ცოლ-შვილისა და მშობლების მძიმე ხვედრის გამო: „ამფერ ღროში ამ სიცოცხლეს მე ვერ ვათქ-

მიეფ ენასა, მომაცილეს ქალ-ბაღანას, ჩემ საყვარელსა დედასა. ადრე ხანში გეახლები ღმერთით გნახავ სუყველასა, ღმერთო, შენ გმადლობ, მოწყალევ, რომ გამხადე ამ ბედისა“... ტანჯვას კი არ ვუშინდები, დღეს რომ ამომხდეს სული, ქალ-ბაღანაი მეცოდება, იმით მიყოვნდება გული. ციხეში ვარ დამჯდომარე, აი ლექსი მაქ გამოთქმული, მე ნურავინ ნუ მომძებნით, ქალ-ბაღანას მითხვეთ ყური.“

აქაც და შემდგომაც ლექსები დამოწმებულია აჭარის სახალხო მთქმელთა ანთოლოგიიდან, ბათუმი, 1993წ.

ავტორს ლექსის შექმნის თარიღად მითითებული აქვს 1906 წ. გიორგობის თვის 21. ცნობილი არ არის რამდენ ხანს იყო პატიმრობაში და როდის გაათავისუფლეს.

უთუოდ საინტერესოა „ლექსი ჭვანის აჯანყებაზე“, „სალამი თახსიმ-ეფენდი“, „სოფელ ჭვანის ძველი ცხოვრებიდან.“ ამ ლექსებში წინაურდება პოლიტიკური შინაარსის გამომხატველი სახე-სიმბოლოები. მოხსენიებულნი არიან აჭარის ცაკის თავმჯდომარე თახსიმ ხიმშიაშვილი და აჭარის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ლამბაროვი (ლექსში დაფიქსირებულია გამბაროვი, - შ.ზ.) როგორც ლექსიდან ჩანს, აქიფი ლამბაროვს ხიჭაურის საბჭოს რეგკომის თავმჯდომარედ დაუნიშნავს, ხიმშიაშვილი კი არ წყალობდა ლამბაროვს. ლექსში გაიეღვებს აგრეთვე გამოჩენილი მწერლების, შალვა დადიანისა და ალიოშა თაყაიშვილის, სახეები, რომლებსაც პატიმრობიდან უხსნიათ სახალხო მთქმელი. ეს უკვე საბჭოთა ხელისუფლების რეჟიმია.

„ლექსი ჭვანის აჯანყებაზე“ გადმოგვცემს XX საუკუნის 20-იანი წლების ზემო აჭარაში განვითარებულ მოვლენებს.

„1929 წლის 7 მარტს ხულოს მაზრის ჭვანის თემში ჩატარებულმა კრებამ მხარი არ დაუჭირა აჭარის საბჭოების ყრილობაზე სტუმრად ქალების გაგზავნას, ხოლო ხელისუფლების წარმომადგენლები მიუთითებდნენ ქალების საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმის აუცილებლობაზე. მოხდა დაპირისპირება, რაც ცემა-ტყევაში გადა-

იზარდა. ცნობა ამის შესახებ ელვისებურად მოედო თემის სოფლებს. დაიწყო აჯანყება. აჯანყებულებმა ხელისუფლების წარმომადგენლები დააკავეს. დააკავეს აგრეთვე ჭვანაში სპეციალურად ასული აჭარის ცაკის თავმჯდომარე და სახკომსაბჭოს თავმჯდომარე. მთავრობის სხვა წევრები, მათი თანმხლები პირები. აჯანყებულებმა ყველა ისინი ტყვედ აიყვანეს, მეცხოველეობის ფერმაში მოათავსეს და თივა მიუტანეს” (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტ. ნარკ. ბათუმი, 2012 წ. ტ. IV, გვ.174).

აჯანყებამ ფართო მასშტაბი შეიძინა და მთელ მაზრას მოედო. მის ჩასაქრობად ხელისუფლებამ გამოიყენა ძალა და ჯარიც კი, რასაც სტალინის განრისხება მოჰყვა, იმის გამო, რომ არ შესრულდა მისი მითითება, აჭარაში არ გამოეყენებინათ იარაღი.

სახალხო მთქმელი თავის ლექსში გამოგვცემს აჯანყების ცალკეულ პერიპეტებსა და ჭვანის მკვიდრთა სოციალურ-პოლიტიკურ განწყობილებებსა და რიგი ჩინოვნიკების ანტიხალხურ ქმედებებს.

უთუოდ საინტერესოა და მნიშვნელოვან ინფორმაციებს აფიქსირებს ლექსი „სალამი თახსიმ-ფუნდი,” რომელიც თახსიმ ხიმშიაშვილს ეძღვნება და გაშუქებულია ავტორისა და თ.ხიმშიაშვილს შორის არსებული დაძაბული პირადი ურთიერთობა. სქოლიოში წარმოდგენილია ანთალოგიის შემდგენელ-რედაქტორის ემენ დავითაძის კომენტარი, რომელშიც ვკითხულობთ: „თახსიმ ხიმშიაშვილი - აჭარის ცაკის თავმჯდომარე იყო. ღამბაროვი კი აჭარის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე. როგორც ლექსი მოგვითხრობს, აქიფი მის მიერ ყოფილა დანიშნული ხიჭაურის საბჭოს რეკომის თავმჯდომარედ, ამიტომ ხიმშიაშვილს თვალიდან ამოუგდია იგი იმიტომ, რომ თვითონ არ წყალობდა ღამბაროვს.”

ინტერესით იკითხება „აქიფისა და ჩონგურის გაშაირება,” „აქიფ ქათამაძისა და გურული ქალის გაშაირება,” „დურსუნ-ბეგის ცხენის ლექსი” და „სოფელ ჭვანის ძველი ცხოვრებიდან.”

აქიფი გარდაიცვალა 1944 წელს. დასაფლავებულია ჭვანის ხეობის სოფელ ვარჯანაულში.

მოსულ-წასული მუზა

„მუზა მაქვს მოსულ-წასული”, - ამ მშვენიერი მეტაფორის ავტორი გახლავთ შუახევის რაიონის სოფელ ჭვანის მკვიდრი, არანაკლებ სახელოვანი, სახალხო მთქმელის, აქიფ ქათამაძის უფროსი ვაჟი, მემედ ქათამაძე, რომელმაც განაგრძო თავისი მამისა და სახალხო მთქმელთა დინასტიის მესაძირკვლის, აქიფ ქათამაძის მეღეჭეობის ტრადიცია და ძალიან მდიდარი საკუთარი პოეტური მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

მემედ ქათამაძე დაიბადა 1905 წელს, შუახევის რაიონის სოფელ ჭვანაში (ვარჯანაულის უბანი). როცა დაჭაბუკდა და ოჯახი შექმნა, საცხოვრებლად გადავიდა ქობულეთის რაიონის სოფელ დაგვაში, სადაც გარდაიცვალა 1996 წელს.

მემედ ქათამაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა წარმოდგენილია ხსენებულ ანთოლოგიაში, რომელსაც დართული აქვს მცირე ბიოგრაფიული ანოტაცია. მეტად საინტერესოა ლექსი „ექსპრომტი,” რომელიც ეძღვნება გამოჩენილ ქართველ პოეტს, მამია ვარშანიძეს. მასში გამოხატულია ავტორის მოწიწება და ღრმა პატივისცემა გამოჩენილი პოეტისადმი და ზოგადად წარმოდგენილია მწერლის როლი და მნიშვნელობა ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ზოგადად ჭვანის ხეობის მეღეჭეთა და, კერძოდ, მემედ ქათამაძის ლექსებში, ფართოდაა წარმოდგენილი დიდაქტიკური ანუ ამღრდელობითი შინაარსისა და მოტივების გამოხატველი სახე-სიმბოლოები, მხატვრული სახისმეტყველება, რამდენადაც ეს შესაძლებელია სახალხო მთქმელთა ლექსებში, თავის ადგილს პოულობს და ემოციით ტვირთავს ფრაზასა და მთელ სტროფსაც კი. მემედ ქათამაძის შემოქმედებაში აღმზრდელობითი მოტივის მატარებელი ლექსია „ანდერძი შვილს,” რომელიც საკმაოდ ვრცელია (72 სტრიქონი) და გაწყობილია პარალელური რითმებით, 16 მარცვლიანი სტრიქონებით. ლექსი კარგად ეხმიანება ადამიანში ადამიანურობის გადარჩენის მოტივს და ზნეობის გაკვეთილის ფუნქცია აკისრია. სახალხო მთქმელი, როგორც მო-

სალოდნელი იყო, თავის დროს გამოხატავს ძველისა და ახლის შედარება-შეპირისპირებით და ახლის უპირატესობა თვალსაჩინოვდება, მემედის ლექსებიდან, ჩემი ფიქრით, წინაურდება „ძმის განსენება,” რომელიც თავისი უმცროსი ძმის, თოფია ქათამაძის ხოტბასა და მისი ჩონგურისა და მგოსნობის ქება-დიდებაა. ეს ლექსიც თექვსმეტმარცვლიანი და პარალელური რითმებითაა, ისე, როგორც „ანდერძი შვილს.” „ძმის განსენებაში” ილანდება თოფია ქათამაძის სრულყოფილი პორტრეტი, მისი ტკბილი ჰანგები და ლექსების გამჭვირვალობა და სისადავე, მისი სიმღერა და ლექსები ბულბულის გალობასთანაა შედარებული, რაც სახალხო მთქმელის შთაგონებისათვის სახასიათო და მისაღები მოვლენაა. მოვიტან ციტატას ამ ლექსიდან: „წითელ ცისარტყელას ერთად არწივმა გაინადირა, მაშინ გამოჩნდა თოფია, ლექსობა მოიწადინა. სამი ათეული წელი სამოღვაწეოდ იკმარა და მისი ალალი გული ხალხის საქმეს მოახმარა. ტკბილი ჩონგურის სიმები წკრიალებდა წარა-მარა, ლექსს იტყოდა, - იწონებდა ძირს მიწა და ცის კამარა. სოფელ ჭვანის ხეობაში გამოველინა მგოსანი, ქართულ მუსიკის მოყვარე, მოლექსე, ბულბულხმოსანი. ქართველი ერის საქებრად მომართული, თაოსანი, სახალხო მთქმელი, მგოსანი და მრავალსიგელოსანი. საბჭოთა ქვეყნის გმირობა მრავალი ლექსით აღწერა. ქობულეთი ციტრუსებით და ბათუმი - ნავთის კერა, ქედა, შუახევი და ხულო ჩანგში ეღვა ბედისწერად.”

უთუოდ საინტერესოა მემედ ქათამაძის „მცირე მოგონება,” რომელიც დართული აქვს ანთოლოგიაში შეტანილ მის ლექსებს. აი, ისიც: „ეფიქრობ, რატომ არ ვთხზავდი აქამდე, მაგრამ მიზეზსაც ვპოულობ ახალგაზრდობაში: საკმაო დროის განმავლობაში იშვიათად ვიტყოდი ლექსებს და ხალხურ შემოქმედებაში ვღებულობდი მონაწილეობას.

ცოტა ხნით ვხელმძღვანელობდი მომღერალ-მოცეკვავეთა გუნდს. 1931 წელს ხულოში მოველინა თბილისის ენათმეცნიერების კათედრის წარმომადგენელი გრიგოლ კოკელაძე, შემდეგში ცნობილი კომ-

პოზიტორი. მან აქ შეკრიბა ფოლკლორული ცნობები და შეამოწმა იქ ჩემი მოღვაწეობა... მოისმინა ჩონგურზე დაკვრა და დამღერება; მოიწვიეს კრება და ამირჩიეს თბილისის ენათმეცნიერების კათედრის ხულოს რაიონული ჯგუფის ხელმძღვანელად. შემდეგ სხვადასხვა სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, ხალხურ შემოქმედების ამ დარგს მივანებე თავი და ძალზე გვიან მომიხდა მისი განახლება: 1972 წელს სოფელ დაგვაში (ქობულეთის რაიონი) მოველინა ბათუმის კვლევითი ინსტიტუტიდან მეცნიერი მუშაკები ემენ დავითაძე და ზურაბ თანდილავა, მეწვიენ ოჯახში და მაშინ კიდევ გავიცანი ისინი. იმათ განიხილენ ჩემი იმდროინდელი მცირე რაოდენობის ლექსები და დაიწერენ, თანაც მოიწონენ ჩემი ამ მხვრივ უნარი და შემთავაზეს განმეგრძო ლექსების თქმა. იმ დღიდან შევედი მოქმედებაში და ვთქვი იმოდენა ლექსები, რომ წიგნებშიდაც იქნა შეტანილი. ამჟამად მე, როგორც მსცოვანს, ნათქვამი მაქვს ოთხასზე მეტი ლექსი და მოთხრობა-თქმულებებიც მრავალი. ამ საქმეში, ცხადია, სტიმული და ბიძგი მომცენ ამხანაგებმა ე. დავითაძემ და ზ. თანდილავამ. მათ უნდა ვუმაღლოდე, როგორც მე, ისედაც ქართული პოეზია, რომელსაც შეემატა უანგაროდ ესოდენ ლექსებიც...” (იხ. „ანთოლოგია”, ბათუმი, 1993, გვ.260).

ხსენებულ ანთოლოგიაში სხვა ლექსებთან ერთად წარმოდგენილია ოთხი გაბასება „სახალხო მთქმელ მემედ ქათამაძისა და პოეტ ემენ დავითაძისა“. ჩვენი თვალსაჩინო პოეტის ემენ დავითაძის დამსახურება აჭარული ფოლკლორული ნიმუშების კვლევაში განუსაზღვრელია. მან დიდი ამაგი დასო ზოგადოდ ქართული ფოლკლორული ნიმუშებისა და, მათ შორის, ჭვანის ხეობაში ფართოდ ცნობილი სახალხო მთქმელების ლექსების შესწავლასა და პოპულარიზაციას.

ცნობილი პროფესიონალი პოეტისა და სახალხო მთქმელის გაბასება ჩვენი ფოლკლორული ნიმუშების შენაძენია. ამ შემთხვევაში, ჩვენი დიდი მადლობა, უპირველესად, ემენ დავითაძეს ეკუთვნის. მსგავსი ნიმუშები მეგულება ფშავ-ხევსურეთში, ძმებ რაზილაშ-

ვილებთან. ესეც კვლევის საგანია. მთქმელის გამოწვევის ინიციატივა პოეტს ეკუთვნის. ჩემი მეგობარი და ღირსეული კოლეგა, ბატონი ემენი, შესავალშივე ავლენს სახალხო მთქმელისადმი უდიდეს მოწიწებასა და პატივისცემას: „მემედ ბატონო, იცოცხლე შენი სიტყვითა და კალამით, თოფიას ძმა ხარ უფროსი, ზრდილობით გემართებს სალაში. თვითონ მელექსე ბრძანდები, არც შენ გაკლია სახელი, ლექსი ვთქვით, პირი გავიხსნათ, დაგვიმანსოვრებს მნახველი. კარგს მეტყვი, კარგს დაგიბრუნებ, არც მე ვიქნები მძრახველი.“

სახალხო მთქმელის პასუხებში გამოხატულია საკუთარი ზნეობრივი კრედო, უფროს-უმცროსობის ტრადიციის ღრმა პატივისცემა და პოეტისა და პოეზიის დანიშნულების მისეული შეფასება: „დღეს რომ მთებსა მოევლინე და ინახულე დიდვაკე, ლექსების წერით თანდათან ვნახე, რომ წაიკაკე, ქართული პოეზიისთვის გული სიკეთით მოსარკე, ბოროტს ბოროტი უჩვენე, კეთილიც რიგზე მოქარგე. მძულს იგი, ვისაც სწყენია, ძლევა სხვას ეგოს, არ მასა, ისიც მშობლისა არაა, რაც შვილმა გაიმამაცა, ასე ურჩვენის მამულსაც, რომ შვილი სჯობდეს მამასა.“

როგორც თავად მემედი ამბობს, მისი ნიჭიერების გამონაშუქია ოთხასამდე ლექსი. ცხადია, ყველა მათგანი ანთოლოგიაში ვერ მოხვდებოდა, ამიტომ, მემედის ლექსების სრულყოფილი კრებულის შედგენა, კომენტარებითა და წინასიტყვაობით გამოცემა საშაური საქმეა.

თოფია

საქართველოში ერთი კარგი ტრადიციაა: გამოჩენილ და პოპულარულ ადამიანებს, რომლებიც ხალხის საყოველთაო სიყვარულით არიან გარემოსილნი, სახელით იხსენიებენ. როცა ვამბობთ შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, გოგლა, ანა, მუხრანი, ნათელია, რომ ჩვენი საამაყო პოეტები იგულისხმებიან. სახალხო მთქმელთაგან იშვიათი გამონაკლისია თოფია ქათამაძის სახელი, რომელსაც სიცოცხლეში ხვდა წილად სახ-

ალხო დაფასება და საყოველთაო სიყვარული. ამიტომაც ხალხი მას ახლაც მხოლოდ სახელით იხსენიებს. იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ჩემს მშობლიურ ჭვანის ხეობაში და ჭვანის ხეობის სახალხო მთქმელთა დინასტიის საუკეთესო წარმომადგენელია. მე დამთავრებული მაქვს ჭვანის საშუალო სკოლა და, ბუნებრივია, ბატონ თოფიას კარგად ვიცნობდი. მერვე კლასში ვიქნებოდი, მე მას ჩემი ლექსი წავუკითხე და რჩევა-დარიგება ვთხოვე. ახლა ჩემი მაშინდელი ლექსი, ცხადია, აღარ მახსოვს, მაგრამ სამუდამოდ შემორჩა ჩემს მეხსიერებას სახალხო მელექსის დამოკიდებულება.

თოფია ქათამაძე დაიბადა 1914 წელს, შაუხევის რაიონის სოფელ ჭვანაში. მაშინდელი სოციალური ყოფის გამო კლასიკური განათლება ვერ მიიღო, მაგრამ ბუნებრივი ნიჭის წყალობით სახელი გაითქვა და ძალიან პოპულარული გახდა. მის სახალხო მელექსედ ჩამოყალიბებაზე კეთილმოყვებული გავლენა იქონია მელექსეობის საოჯახო ტრადიციამ, მამამ, აქიფ ქათამაძემ და უფროსმა ძმამ, მემედმა. ლექსის თხზვის ნიჭიერებასთან ერთად მომადლებული ჰქონდა ხავერდოვანი ხმა და ჩონგურზე დაკვრის შეუდარებელი ოსტატიც იყო.

თოფიამ თავისი ნათელი კვალი დააჩნია საგუნდო ხელოვნებას, როგორც მომღერალ-ლოტბარმა. თოფიას პოეტური მემკვიდრეობისა და, საერთოდ, ხალხური მემოქმედების ნიჭიერი მკვლევარი, პოეტი ემენ დავითაძე ანთოლოგიაში დაბეჭდილი ლექსების წინათქმაში წერს: „თოფიას სახელი მალე გასცდა თავისი ხეობის ფარგლებს. ხალხში სიმღერად გავრცელდა მისი ლექსები, სადაც ახალი ღროის ქება-დიდება გლექსკაცის ალალი გულითაა ნათქვამი...“

„თოფიას ხშირად იწვევდნენ ხალხური ანსამბლების რესპუბლიკურ დათვალიერებაზე, როგორც აღიარებულ ინდივიდუალურ შემსრულებელს. ყველაზე დიდ წარმატებას მან 1947 წელს მიაღწია, როცა თბილისში სახალხო მთქმელთა სრულიად რესპუბლიკურ შეკრებაზე მიიწვიეს. მაშინ თოფიამ იმპროვიზაციული ნიჭითა და პოეტური

ხელოვნებით ბევრი ცნობილი ხალხური მთქმელი ჩამოიტოვა და თავის მშობლიურ ჭვანას გამარჯვებულის პირველი ხარისხის დიპლომით დაუბრუნდა” (ანთოლოგია, ბათუმი, 1993, გვ.221)

თოფია ქათამაძე გარდაიცვალა 1963 წელს, დაკრძალულია სოფელ ჭვანაში. გარდაცვალებიდან ორმოცი წლის შემდეგაც ხალხი სათუთად ინახავს მის ხსოვნას და პატივს მიაგებს. მოსწავლეობის ჟამს ჩემი მასწავლებლებისაგან სმირად მსმენია, - თოფიას რომ კლასიკური განათლება ჰქონდეს, მისგან ძალიან კარგი პოეტი დადგებოდაო. თოფიას პოეტური ნიჭისა და ნიჭიერების ნათელი ნიმუშია ლექსი „ლენინის უკვდავება,” რომელიც ჩვენი ცნობილი პოეტების ამ თემაზე შექმნილ ლექსებს ტოლს არ უდებს. აი, ისიც: „**მანსოვს დაჰქროლა ნიაგმა და მოიტანა ამბავი: მზემ აიკრიფა სხივები, დაგვხურა ღრუბლის საბანი. გარდაიცვალა ლენინი, ცრემლით მორწყო მთა-ბარი, მდინარემ დენა შეწყვიტა, შეწყდა კლდეების ზანზარი, ბუნებაც მიხვდა აღარ გვყავს ოქტომბრის მთავარსარდალი. მაგრამ, ბელადო, შენი ხმა, შენი ძლიერი სახელი, მუდამ იქნება მონათა მძიმე ბორკილის ამხსნელი. შენი სახელი და შენი ბრძოლით ნაწრთობი პარტია, ხალხებს იქითკენ წაიყვანს, სადაც სიცოცხლე ანთია.**” მართალია, ეს ლექსი მაშინდელი იდეოლოგიის გავლენის ნაყოფია, მაგრამ ახლა ჩემთვის მთავარია არა მისი იდეა, არამედ პოეტური ოსტატობის კულტურა.

საერთოდ, საბჭოთა პერიოდის სახალხო მთქმელთა ლექსები თემატიკურად კომუნისტური ჰეროიკული იდეოლოგიითაა ნასაზრდოები. ასეა თოფია ქათამაძის პოეტური თემატიკისა თუ ლექსიკის ასავალ-დასავალი. მიუხედავად ამისა, მის შემოქმედებაში გამონაკლისი არ არის სატრფიალო ლირიკა და სოციალური თემატიკის ამსახველი მსუსხავი მეტაფორები.

თოფიას შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს პატრიოტულ თემატიკას. მის მიერ ჩონგურზე ამღერებული მშობლიური მხარის საგალობლები ხალხს მოსწონდა და ზოგ

მათგანს იზეპირებდა კიდევ. განახლებული აჭარის შთამბეჭდავი სურათებია წარმოდგენილი: „**მიყვარხარ, შენზე ტრფიალსა, გულთ ვატარებ მშრომელი, ძმასავით ახლობელია შენი ხე, ბუჩქი ყოველი. ჩვენი ლამაზო აჭარავ, მზიანო, აყვავებულო, შავი ზღვის პირად მდებარე, წალკოტო და თაიგულო. მწვანე ფარჩებით მოსილო, მკერდდაქარგულო მამულო, ქობულეთო და ბათუმო, ქედავ, შუახელო და ხულოვ.**”

თოფიას სატრფიალო ლირიკაში, როგორც მოსალოდნელი იყო, წინა პლანზე გამოდის სატრფოს ფიზიკური აღნაგობა, მისი პორტრეტი და უკანა პლანზე ჩანს მისი სულიერი სილამაზე. უხვად ფიგურირებენ „ვარდ-ბულბულიანის“ ტრადიციული ეპითეტები. ლექსი „სატრფიალო” ამის საუკეთესო ილუსტრაციაა: „**მტრედი ხარ თუ ბულბული ხარ, მომიგალობე, ერთხელ კიდევ შემომხედე, მომისალმობე, ზეციური ყვავილი ხარ, ატამ-ნარგიზი, მეშვიდე ცის ვარსკვლავი ხარ, „საბახ-ილდიზი”, ციური მომცინარი ხარ, ელვა-ლიმილი, ჩემი გულის მალამო ხარ, სიცოცხლე ტკბილი.**”

ჩემი ბავშვობის მეხსიერებამ შემოინახა ცალკეული სტროფები თოფიას სახუმარო-სალაღობო ლექსებიდან „ყაიაბერის ვირი.” ეს ლექსიც ხსენებულ ანთოლოგიაშია დაბეჭდილი, რომელსაც ახლავს შემდგენელ-რედაქტორის ემენ დავითაძის შემდეგი კომენტარი: „ყაიაბერი იყო ეროვნებით ჩეჩენი, რომელიც ხიჭაურში ცხოვრობდა. მას ვირი მოკვდომია. ვირის სიკვდილი ძლიერ განუცდიდა. თოფია ქათამაძეს ეს ამბავი შეუტყვია და პატრონი გულშემატკივრებიანად გაულექსია... ლექსში მოხსენიებული ისმაილაი გვარად ქათამაძეა, სოფელ ჭვანის მაშინდელი კოლმეურნეობის თავმჯდომარე; ემინ ანბელი გვარად ტაკიძე, ხიჭაურის მალაზიის გამგე; მურსელი გვარად ქათამაძე (უნდა იყოს დუმბაძე - შ.ზ.); თამბაქოს დამზადების პუნქტის გამგე; კვირიკაძე სახელად ოსმანი, ხიჭაურის მონაკვეთის გზის ოსტატი. ამ ამბის მონაწილენი ყოფილან აგრეთვე მუხამედ და რამიზ ტარიელაძეები. ეს უკანასკნელნი „წინდახელულად” მოქცეულან, მელექსე თო-

ფია ქათამაძე უნახავთ, ქრთამად ხუთ-ხუთი თუმანი მიუციათ და ამგვარად ლექსში მოხსენიებისაგან თავი დაუხსნიათ. თოფიას თხოვნა კი შეუსრულებია, მაგრამ ქრთამის ამბავი არ შეუნახავს და გაუმხელია.

ლექსში ხსენებულ ადამიანებს, პირადად მე ყველას ვიცნობდი. მურსელ დუმბაძე კი ჩემი ახლობელიც იყო. როგორც მახსოვს, ლექსის პირველი სტროფი („ცხრაას ორმოცდასამ წელსა, ამავე წლის დეკემბერსა, ოთხი კაცის სამწუხაროდ, ვირი მუკდა ყაიბერსა“) ყველამ ზეპირად იცოდა და აქა-იქ ახლაც გაიგონებ. ის ადამიანები, რომლებიც ლექსში არიან ხსენებულნი, დიდი ხანია გადავიდნენ სამუდამო სასუფეველში. ღმერთმა გაანათოს მათი სულები.

რაც შეეხება თოფია ქათამაძეს, დიდებული სახელი და ბევრი ლექსი დაგვიტოვა ჩვენი სულისა და ზნეობის საწვრთნელად.

მათი სრულყოფილი თემატიკური ანალიზი ცალკე თემა და დარწმუნებული ვარ, მომავალში არაერთი ღირსეული მკვლევარის კალამი შეეხება.

დასასრულის მაგიერ

ვფიქრობ, ნაშრომში შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინე ჭვანის ხეობის სახალხო მთქმელთა დინასტია. აქვე ვაფიქსირებ ცნობილი პოეტისა და ფოლკლორისტის ემენ დავითაძის დიდ დამსახურებას მათი შემოქმედებითი მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობაში. „აჭარის სახალხო მთქმელთა ანთოლოგია“, რომელიც მისი რედაქტორობით გამოიცა, ქართული ფოლკლორის შენატენია. უნდა აღინიშნოს ცნობილი ქველმოქმედ-მეცენატისა და მწიგნობრის, მამია ხარაზის, წვლილი ანთოლოგიის გამოცემაში.

Шота Зоидзе

Династия народных сказателей из Чванского ущелья

Резюме

Основателем династий народных сказателей является Акип Катамадзе. По стопам отца пошли его два сына Мемед и Тофия и дочь – Фади.

В их стихотворениях отражено время, в котором, они жили и оставили яркий след духовной жизни нашего народа.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აჭარის სახალხო მთქმელთა ანთოლოგია, ბათუმი 1993 წ.
2. ი.ჭავჭავაძე, ორტომეული, ტ. II, 19..
3. ზ.ჭიჭინაძე, მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, 1913 წ.
4. აჭარის ხალხური პოეზია 1, თბ. 1969 წ.
5. გ.გაბისონია, საგუნდო ხელოვნების მოამბე, ბათ. 1974 წ.
6. შ. ქურიძე, მხატვრული სიტყვის განვითარება აჭარაში, ბათ. 1940 წ.
7. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები (აჭარა), ტ. IV, ბათ. 2012წ.

აბოს ფერფლი

შენ ყოფილხარ კალოთას? შენ ყოფილხარ
 ნენიას?
 შენ პირველი გალობა, სულზე მოგიფრენია?
 იმ დიდ ჟამიანობას, იმ დიდ ჟრიაშობას,
 როსმე გამოესარჩლე, შინაურს და შენიანს?..
 თვალში როგორ მიყურებ, –
 როგორ არა გრცხვენია!
 ჯვარცმით შეზავებული, მზის და ვაზის გენია,
 შენ გზაფრავდა ქარგები, დაბაძელს და
 ლელიანს?
 შენ ხირხათის ნანგრევის, გამწარება გტკენია?
 რა პირით მადლეგრძელებ, –
 როგორ არა გრცხვენია!
 მავედრალის დაღლილი, ნათელი რომ შეთენია,
 აქ, გონიოს კედლებთან, საბას სუნთქვა ჰფენია,
 სხალთა! – ჩემი ბერდედა, სისხლში მომიწვდენია,
 რა ყალბად მაღიარებ, –
 როგორ არა გრცხვენია!
 – იესო თუ ისლამი – ცული ცას შეჰკიოდა,
 სამთვეს მაჭახლისწყალი,
 ზღვისკენ წითლად დიოდა,
 სამასი წლის ყორანმა ჩემს თავზე იტრიალა,
 ქრისტეს ძვლებით მოხაფრა, ხეობები მთლიანად,
 ცხრა მარაბდას მორწყავდა,
 მე რომ სისხლი მდენია,
 ქვევრებთან მოქირქილევე, –
 როგორ არარ გრცხვენია!
 ახლა, ამ ჭრილობების, ვითომ გახსნა მინდოდა?
 ჩონგურზე თავმიდებულ კახაბერის
 მინდორთან?
 ჩალაბულას ღეჭვებით, ძირგამომპალ
 ზვინებით,
 საყდარი თუ მეჩეთი, მწერწყვავ და იღრინები,
 აღმოსავლეთს, დასავლეთს, აბოს ფერფლი
 ჰფენია,
 ამ ფერფლზე მოფაშფაშევე, –
 როგორ არა გრცხვენია?!
 კოლხი ქალის კივილი, ცხრა მთას როგორ
 მიასკდა,



ზურაბ გორგილაძე

რამდენ ხვიჩას ვბორკავდით, ვყიდდით
 ანაკლისთან,
 ან ვის გადავუქნიო, ცოდვა ცოდვის
 მტვირთავი,
 ძმებს თავს ვაყრევინებდით,
 თუ რძლებს ცოლად ვირთავდით?!
 ვის ბორბალს ატრიალებს,
 ან ვის გვირგვინს სჭირდება,
 ამ ქართული მზგავობის სირცხვილი თუ
 კირთება?
 ხსოვნა დიდთა გულების, რა ქუსლებით
 გავთელო?
 კართემობა ღუპავადა, ერს, ბერს და
 საქართველოს!
 მოვდებივართ, ძმობილო, აბა რას და აბა რას...
 ცრემლი ტაო-კლარჯეთის, კვლავ
 გვისველებს ფაფანაკს.
 აქაც ღვიძლი მთებია და ზვავები ფაფარა,
 სულს ამ ზვავტა ზათქებით, ხშირად უნდა
 გაბანვა,
 სიკვდილის წინ, აკაკიმ, – გახსოვს რა
 დაგაბარა?!
 ის ანდერძი ჩემეულ ყველა
 ფესვში სვენია,
 სანთელს საით იღერებ,
 როგორ არა გრცხვენია!!

იქნებ!

შენი სული დაჭაობადა,
შენ მაგ ჭაობს ვერასოდეს გაიგებ,
ვითომ ჩემმა აჭარლობამ
საქართველოს შეუგინა რაიმე?!
მტერი მუდამ აჭარბებდა,
ყველა ტკივილს დრო მოჰკლას და წაიღებს,
ნუთუ ჩემმა აჭარლობამ,
საქართველოს წაუხდინა რაიმე?!
რაც ვიყავი კარგად იცი,
თავად ჰკითხე შენ ხელდასმულ კაი ყმებს,
აჭარლობამ, ამ ბედკრულმა აჭარლობამ,
საქართველოს წაუხდინა რაიმე?!
მაჭახელში ახლაც ლპება,
სისხლიანი მხლიანი მუხის კუნძი, ვაიმე!
იმ სისხლმა და იმ მდულარე ლეკერტებმა
საქართველოს წაუბილენა რაიმე?!
სულში რისხვა გაჭენდება,
გაჭენდება გმინვა ყველა ეზოდან,
ჩემი კაი და ძირძველი აჭარლობა
მავანს გულზე ეკლად რატომ ესობა?!
რა თვალები მომებჯინა,
რა ჯოჯოხეთ-ჯურღმულებში მზირველი?
ტბელობა და სელიმობა გან არ იყო
ქართველობის საწინდარი პირველი?!
სულში რისხვა გაჭენდება,
უნებურად ხელს ხანჯალზე გაივლებ,
ნუთუ ჩემმა სევდიანმა აჭარლობამ
საქართველოს წაუხდინა რაიმე?!
ეს რა ერის ნათლობა აქვთ
შავ გულგვამში გამომწყვდეულ მამათა,
რომ ნაღდი და ჭემმარიტი ქართველი ვარ,
იქნებ სულაც ეს არ მოსწონთ მავანთა?!
მარქვით, იქნებ ოდნავ ვერ იასმათა,
იქნებ სულაც ვერ იავთანდილა,
ჩვენი იუსუფ კობალაძის ყაბალახმა,
ჩვენი ნანა გვარიშვილის მანდილმა?!
თავად ქრისტეს სჯულისათვის,
ყოველივე აქ ხომ სისხლით შენივთდა,
იქნებ რამე აქვს სადავო საქართველოს
ყაბალახში თავმოკვეთილ სელიმთან?!
მთავარი კი ერთი არის,
წარმართული ქვა-ქუსლებით მიღეწეს,
ღვთაებრივი ქრისტეს ჯვარი,
საქართველოს მე - პირველმა მივეცი!!!

მე არ ვიქნები შენი სტუმარი

თბილისო, მე რომ შენთან მოვედი,
სიყვარულივით ვიდექ მდუმარი,
მეც უნდა ვიყო შენი პოეტი,
მე არ ვიქნები შენი სტუმარი.

ნუ დამიძახებ სტუმარს იმიტომ,
რომ უშენობა მჭირდა ასწლობით,
შვილი მშობელთან ვეღარ მოვიდა,
ვეღარ იცნობდა ნაცნობს ნაცნობი.

მე მარადიდში დამრჩა მარჯვენა,
ხიხანის ციხედ ვიყავ ქცეული
და შენი სიტყვის გადასარჩენად
ილეწებოდა ჩემი სხეული.

რა გლოვად ვიყავ, რა დასანახი.
ჭოროხს მეწამულ ფერში უვლია,
საქართველოში ალბათ კალმანი
მიტომ სისხლისფრად დაწინწკლულია.

გამომივლია ჭირი ყოველი,
ტკივილიც ვიცი, დარდის მოთმენაც,
მე ჭოროხგაღმა ორი სოფელი
დამრჩა ნახევარ ქართლისოდენა.

საქართველო აჯილდოებს
განა მხოლოდ შვილს და პოეტს, –
აჭარაში გადარჩენილ
ქართულ სიტყვას აჯილდოებს.

უხარია ხიხან-სხალთის
ფიქრებს, სევდად დანატოვებს,
გალვიძებულ დანდალოში
განედლებულ ვაზის რტოებს.

გონიოში ბებერ კედლებს
ფრთას ზღვაური დაატოლებს,



ფრიდონ ხალვაში

ის უშენობა დედამ იტირა
და შენი წიგნი ხელში ეჭირა.
მე შენი მტკვარის ერთი ზვირთი ვარ,
მე შენი მიწის ერთი კენჭი ვარ.

მე შენი ჩანგის ერთი სიმი ვარ,
და შენი ზეცის ერთი მერცხალი,
მე საქართველოს დიდი სიმღერა
მკერდში ჩავინთე ვით ნაკვერცხალი.

თბილისო, მე რომ შენთან მოვედი,
სიყვარულივით ვიდექ მდუმარი,
შენი შვილი ვარ, შენი პოეტი,
მე არ ვიქნები შენი სტუმარი.

ჯილდო

ამღერება მოუნდება
სამასი წლის სიმარტოვეს.

სინაზეზე ნაზად დედა
ალერსს ჩამიადონებს,
ახალ ნანას გამაგონებს,
კვლავ სიყვარულს შთამაგონებს.


დღეს ჭოროხი კახაბერში
ჯავრის ზვირთებს დაიმდორებს,
გადარჩენილ მის სიმღერას
საქართველო აჯილდოებს.

ბალადა მერონგურეზი

დამპყრობელებმა დაწვეს ყველა
სახლი, ტაძარი,
სამას წელიწადს ჩემს მამულში
ენტო ხანძარი.
და ვერ წაშალა ხალხში დროთა
შემობრუნებამ,
მერონგურეზე დარჩენილი
ერთი თქმულება.
ჩონგური ჩუმად, მოსალხენად
ყველგან დაჰქონდა,
ჩონგური ჰქონდა ტანწერწერტა,
ჩონგური ჰქონდა.
ფიქრებს იღუმაღს მოღულუნე
სიმებს ანდობდა,
ქვეყნის გულისთქმას ის ჩონგურის
ხმაში ამბობდა.
აღარც ვენახი, არც სახლ-კარი,
ტანჯავს მონობა,
ქართველია და მხოლოდ ერთი
ეს აქვს ქონება.
და გულში შერჩა ნაპერწკლებად
სხივნი მზისანი,
რომ ჩონგური აქვს – ქართველობის
ერთი ნიშანი.
და როცა მწარე სიმღერებით
გულდათუთქული

ჩონგურს უკრავდა, გაიგონა
რისხვა თურქული:
“განა არ გჯერა? ეგ ქართული
ჩვევები გაქრა,
როგორ გაბედე მუსულმანმა
ჩონგურის დაკვრა...
როგორ გაბედე, ღორის თავი
კალთაში გეღოს,
ახია, ახი, სასიკვდილოდ
რომ გაგიმეტო”.
შებოჭეს, როგორც მოღალატე,
მტერი, ორგული,
ჩონგური ქვაზე დაანარცხეს –
მისი ჩონგური.
ამბობენ, როცა სასიკვდილოდ
გაწირა თურქმა,
იმ მერონგურეს მთებისათვის
ანდერძი უთქვამს:
“მთებო, როს აღდგეს ქართველობა
დამწვარ მღელღოზე,
თქვით, რომ ვმღეროდი დატანჯული
საქართველოზე;
რამდენი ჩაწვა სამარეში
გმირი, ლომგული,
თქვით, როგორ მოგვკლეს სიმღერისთვის
მე და ჩონგური”.





აჭარა – ზღვასთან გართხმული ლომი

აჭარა!
ზღვასთან გართხმული ლომი,
ასჯერ მოკლული, მაგრამ უკვდავი.
მისი სიწმინდე, ფხა და საზომი,
მთები, სიმაღლით თვალშეუდგამი.

ცა –
მარიამის წმინდა მანდილი,
სოფელი,
ზვარი,
წყარო ცინცხალი.
კლდე-კაპანიდან გადმოვარდნილი
ღმერთების სისხლი – აჭარისწყალი.

ვინ ჰვლობს აფსაროსს, ჩემ ძველ გონიას,
ვინ უგალობა პეტრას „ქაჯობას?“
მთელ საქართველოს ჰყოფნის მგონია,
რაც ჭრელს ამ კუთხემ დუშმნებს აჯობა!

აჭარა!
ზღვასთან გართხმული ლომი,
მისი ზღვა,
მისი ბაღი, ზეგანი.
ჰა აჭარელი, აქ კედლად მდგომი
და იმის ფერხთქვეშ ქედთა დრეკანი...

ვინ დგას ხიხანთან,
სარფთან, ხინოსთან,
დამეს ვინ უთევს საფრთხეს აქ ჩობანს?
ჰყოფნის სისხლცრემლად, ჯვრად და
ღვინოდაც
რაც გველს ამ კუთხემ სიკვდილს აჯობა!

და...
გადარჩენილს ზღვას,
ქართულს,
ქართულს,

ერთადერთს, აქ რომ წევს, ფევს
მილოკავს
მო, დაუწოქე დერდებით გართულს
და ყური უგდე იმის კილო-კავს.

ნახე მდელოზე ნამი მთრთოლვარი,
ძმისთვის ვარდნარი,
მტრისთვის – ეკალი
მთვარე, ვით ქრისტეს თეთრი
ოლარი,
მზე, ვით ლაჟვარდში
მორცხვი მზექალი,

მისი ღიმილი,
მისი მოწყენა,
ობლის ცრემლივით წვიმა ალალი.
აჭარა!
მტერთან შებმული რწმენა,
აწმყო,
წარსული,
და მომავალი.

აჰა სამოთხე,
ნავინჯ-თორინჯი,
ცა სათოლიე, საბულბულეთი.
დგანან ტყუპებად
ზღვასთან, დონიჯით
მისი ბათომი და
ქობულეთი.

აჭარა!
ბედთან ქართველის ომი,
თვალს მოწყვეტილი ნენეს კურცხალი.
აჭარა! –
ზღვასთან გართხმული ლომი,
ლომი, მძვინვარე და დაუმცხრალი!

ფიქრიე სიმშიაშვილს*

წლებმა წაიღო, წარიტაცა თქვენი ოცნება
ისევ გეხილათ მშობლიური თქვენი აჭარა,
ხიმშიაშვილთა საოცნებო ნაზი ფერია
ბედმა საოცრად ეკლიანი გზებით გატარათ.

გენატრებოდით მშობლიური ღელე-ღურდანი,
თქვენი კოპწია ბათუმი და ზღვა ლილისფერი,
ხულოს სასახლის ეზო-კარში ნატრობდით გავლას,
ლამაზ მდელოზე მოწყვეტილი ყვავილის ფერი.

გენატრებოდით თქვენი სხალთა და თქვენი ბაკო
„ქოჩახის ჭალა“ და ჭადარა პაპის საფლავი
გენატრებოდით ბათუმური „ხოშორი წვიმა“
სამშობლოს ცაზე მოკიაფე ყველა ვარსკვლავი.

რომ აცდენოდით თქვენი ბედის უკუღმა ტრიალს
ამაღლდებოდით თქვენი ნიჭით გასაოცარით,
გაგვანცვიფრებდით ექესი ენის ნამღვილი ცოდნით
მუსიკის დიდი სიყვარულით, ქსოვით და ქარგვით.

მაგრამ ვაი, რომ მუხთალია წუთისოფელი
და თქვენი ფიქრიე ფიქრად დარჩა დიღო ფიქრიე,
გჯეროდეთ თქვენი ოცნებების ვერშესრულებით
ჩვენ სინანული, მწუნარება ბევრი ვიწვინეთ.

ბაქოში დაგრჩათ ლამაზი და წმინდა ოჯახი,
თქვენივე სიბრძნით დამოდვრილი შთამომავლობა,
თქვენ მათი სახით წარმოგვიდგენთ მთელ სისპეტაკეს
დე, დაილოცოს მართლაც თქვენი დიდი ქალობა.

მშვიდად იძინეთ მარად ტკბილად მოსაგონარო
ფიქრიე ხანუმ! სანიმუშო წმინდა ქართველო!
გემშვიდობებით, გეფერებით თქვენს წმინდა საფლავს
თქვენი ნანატრი ახლობლები და საქართველო.

* 1998 წლის 10 აგვისტოს ქ. ბაქოში 98 წლის ასაკში გარდაიცვალა თავადიშვილი ფიქრიე ხიმშიაშვილი. ცნობილი ისტორიული პიროვნების დუღუ-ხანუმ ბეჟანიძის შვილთაშვილი. შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის ბაღში, საადეთ-ხანუმ ბეჟანიძისა და ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილის ასული. (შუმანა ფუტკარაძე „ბათუმში იმ დამეს წვიმდა“).

მელაანთ ხიმშიაშვილს*

დიდი სიყვარულით,
დიდი მოკრძალებით,
დიდი სინანულით,
დიდი მონატრებით
გვინდა მოგეფეროთ,
წყლული მოგირჩინოთ,
ჩვენთან მოგიწვიოთ,
ტკბილად მოგალხინოთ
სადაც დაიბადეთ
გინდათ ინახულოთ,
მრავალჭირნახული,

გიხმობთ თქვენი ხულო,
გიხმობთ თქვენი გენი
წესი და ადათი
როგორ გვსურს ვიხილოთ
ჩვენი მელაანთი.
ჩუმად, გულით ნატრობთ
ისევ ინახულოთ,
ღმერთმა აგიხდინოთ
ნახოთ თქვენი ხულო,
ჩვენო სისხლო, ხორცო
და მამულიშვილო.



მელაანთ ხიმშიაშვილი

* მელაანთ ხიმშიაშვილი შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის შვილიშვილია ცხოვრობს ქ. სტამბოლში, არის 90 წლის, უყვარს და ენატრება მშობლიური ხულო.



ნუსტან მამუჭაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
მასობრივი კომუნიკაციის სპეციალობის
ლოქტორანტი

მედიის ფუნქციათა ინტერპრეტაციისათვის

მედიის ფუნქცია არასოდეს ყოფილა ისეთი მნიშვნელოვანი და საგულისხმო, როგორც დღეს არის. ხალხი საკუთარ სამყაროს იცნობს არა უშუალოდ, არამედ მედიის საშუალებით, მის გონებაში შექმნილი სწორი ან არასწორი, ზუსტი ან არაზუსტი სურათებით.

ინტერნეტ სივრცის განვითარებასთან ერთად ბევრმა მედია საშუალებამ ამ უკანასკნელის ათვისება დაიწყო. თუკი, თავიდან ინტერნეტში ტრადიციული მედიასაშუალებების ინტერნეტ ვერსიები თავსდებოდა (მაგ. თავიდან გაზეთები ათავსდებდნენ ნაბეჭდი ეგზემპლარების სრულ კოპირებას), დღეს ინტერნეტ მედიასაშუალებები თავიანთი დამოუკიდებელი სტრუქტურების მიხედვით ქმნიან და ჟურნალისტებს უამრავ ახალ შესაძლებლობას სთავაზობენ.

ჟურნალისტის ყოველი სიტყვა თუ კადრი თავისუფალი უნდა იყოს. არსებობს ღირებულებები, რომელთა დაცვა ნებისმიერი მედიასაშუალებების უპირველესი მოვალეობა და ამოცანაა. თანამედროვე ეპოქაში, მაშინ როცა ახალი ამბები საოცარი სისწრაფით ვრცელდება, საინფორმაციო საშუალებებს შორის ძალიან დიდი კონკურენციაა, მედიაორგანიზაციის მიერ სადავის მართვას კი შემდეგი ფაქტორები განაპირობებს: ექსკლუზიურობა, ოპერატიულობა, ობიექტურობა და ოცდამეერთე საუკუნის მოთხოვნილებების თუ სტანდარტების თანახმად, ინფორმაციის დროსა და სივრცეში მარტივად მიწოდება და აღქმა.

დღეს, ტრადიციული მედიის კვალდაკვალ, საზოგადოებაში ახალი მედიის როლი განუზომელია. ამ მხრივ ჩატარებულმა კვლევამ (ქვემოთ დაგაკონკრეტებთ), თვალწინ საინტერესო სურათი გადაგვიშალა, რაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ დამაფიქრებელია. ერთია, რომ ოცდამეერთე საუკუნე ინფორმაციული საუკუნეა და მან სტანდარტები თუ მოთხოვნები შესაბამისი წამოგვიყენა, მაგრამ ფაქტია, რომ აუდიტორიაც „სხვაგვარ“

თუ „სხვაგვარად მიწოდებულ“ ინფორმაციას მოითხოვს. ბეჭდური და ელექტრონული მედიის პარალელურად (თუმცაღა ისმის კითხვა: პარალელურად თუ უფრო მეტად), ახალი მედია ყალიბდება, იხვეწება და უფრო ოპერატიულიც ხდება.

მას შემდეგ, რაც ინტერნეტმა ტრადიციული მედიასაშუალებების ფუნქციები შეითვისა, ადამიანები მიხვდნენ, რომ მსოფლიო აბლაბუდა მათ არამარტო ინფორმაციის მიმღებ, არამედ გადამცემად ყოფნის საშუალებასაც აძლევდა. სწორედ ამ საფუძველმა შექმნა სოციალური ქსელები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათმა ნაწილმა ძალიან ძალიან დაასრულა არსებობა, ნაწილი კი დღემდე არსებობს, თუმცა ერთ ადგილზეა გაყინული, ნაწილი კი - გამუდმებით განიცდის მოდერნიზაციას. სოციალური ქსელები ხშირ შემთხვევაში ახალი მედიის შემოსავლის წყარო ხდება (და ზოგჯერ ძირითადიც). მაშასადამე, ტრადიციული მედია ამ მხრივაც საჭიროებს ბევრი რამის განახლებას.

რადიოს შექმნის შემდეგ, ბეჭდური მედიის ჟურნალისტებმა მთელი ძალითა და რესურსით ახალი საინფორმაციო სივრცისკენ გადაინაცვლეს. თუკი მანამდე მათთვის მხოლოდ სიტყვის ჭეშმარიტი ძალა (რა თქმა უნდა, მედიის რიგ ფუნქციებთან ერთად) გაზეთის დიზაინთან ერთად იყო განმსაზღვრელი, უკვე უმნიშვნელოვანესი ხმის ტემბრი ხდება (ბუნებრივია, სხვათა ფონზე). გარკვეული დროის შემდეგ აუდიტორიამ ტელევიზორის ეკრანს მიაშურა და, რა თქმა უნდა, არც მედიის მესვეურებმა დააყოვნეს. ვიდეოგამოსახულებები მაყურებლისთვის შთამბეჭდავ სანახაობას ქმნიდა. ბუნებრივია, ვიზუალურმა ეფექტმა თავისი წილი სიტყვა თქვა. დღეს ადამიანთა დიდი ნაწილის ყურადღება ინტერნეტისკენ არის მიმართული. ისინი ამ უკანასკნელის მეშვეობით არა მარტო იგებენ ინფორმაციას, თავდაც რიგი მოვლენების შემქმნელნი ხდებიან.

ინტერნეტ-რეპორტაჟზე მუშაობის დროსაც აუცილებელია იმავე პრინციპებისა და ფასეულობების გათვალისწინება, რასაც ზოგადად, ჟურნალისტიკაში ვიცავთ. სამსახურებრივი მოვალეობის განსხვავებული ფორმით შესრულება არ ცვლის ძირეულ ნორმათა პრინციპებს.

ვიდრე რიგ ფუნქციურ პრობლემებს დავაკონკრეტებთ, აღვნიშნავთ, რომ მოსახლეობის გამოკითხვა ჩავატარეთ. მათ შემდეგი კითხვით მივმართეთ: რომელი მედიასაშუალებების მეშვეობით იგებთ ინფორმაციას ხშირად (გაზეთი, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტგამოცემა)? იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი კვლევის ობიექტი რეგიონული მედიაა, მხოლოდ ქ. ბათუმის მკვიდრებით შემოვიფარგლეთ. გამოკითხვა ორ ეტაპად ჩავატარეთ: სოციალური ქსელის მეშვეობით და ე.წ. „ქუჩის გამოკითხვის“ პრინციპით. 12 საათის განმავლობაში სოციალურ ქსელზე 917 ადამიანი გამოგვეხმაურა, რომელთაგან 798 უპირატესობას ინტერნეტგამოცემებს ანიჭებდა. გაჩნდა ე.წ. „კომენტარებიც“: უმრავლესობა მიუთითებდა, რომ ისინი კონკრეტულად „ნეტგაზეთით“ სარგებლობენ და ინფორმაციის უტყუარობაზეც მიუთითებდნენ. რაც შეეხება ე.წ. „ქუჩის გამოკითხვის“ შედეგებს, ახალ ამბებს ინტერნეტის მეშვეობით ხშირად (და არა რეგულარულად) 200-დან მხოლოდ 67 რესპონდენტი იგებს. აღმოჩნდა, რომ ინტერნეტის ასაკისა და სოციალური სტატუსის შესაბამისადც ვაიყო. ბუნებრივია, აღნიშნულ შედეგს კონკრეტული ახსნა-განმარტებაც მოეძებნება, რაც ახალი მედიის ფუნქციათა ჭრილშია საძიებელი.

თუ პრესა ყიდის ადგილს ფურცელზე, რადიოს და ტელევიზიის კომერციულ წყაროს საავტორო დრო წარმოადგენს. ინტერნეტში შეიძლება გაიყიდოს დროც და ადგილიც, თანაც შეიძლება იმ რაოდენობითაც, რომ გაყიდვა შესაძლებელია მორგებული იყოს თავად მომხმარებელზე. მედიასაშუალებებს ქსელში ინტერნეტის გარეთ მზარდ კონკრეტულ სარეკლამო ბაზარზე უწევთ სარეკლამო თანხების საკუთარი წილისთვის ბრძოლა. თუ აქამდე ბრძოლა მედიაორგანიზაციებს შორის მიმდინარეობდა, დღეს მედიას უწევს კონკურენციის გაუწევა რეკლამის დამკვეთზეც.

მედიის ფუნქციაა ინფორმაციის გაფილტვრა, მოძიება, განალიზება, ინტერპრეტირება და შემდეგ მისი გავრცელება ყველასთვის გასაგებ ენაზე. კერძოდ, მედიამ არჩევნებს შო-

რის დროის ინტერვალში თვალყური უნდა ადევნოს სამი პოლიტიკური სახელისუფლებო შტოს (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო) საქმიანობას. შესაბამისად, როცა ახალ მედიაზე ვსაუბრობთ, ხშირად სადავო საკითხია, თუ რამდენად სანდოა იგი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თითოეულ ჟურნალისტურ საქმიანობას მუშაობის პროცესში ერთი და იგივე სტანდარტი აქვს. შესაბამისად, აქაც ყველაფერი თავად ჟურნალისტის კეთილსინდისიერებაზეა დამოკიდებული. ტელევიზიის დამოუკიდებლობა და ობიექტურობა ხშირ შემთხვევაში პიროვნულ ფაქტორებსაც უკავშირდება, რაც ამავდროულად ინტერნეტ მედიის პრობლემაც არის. ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, „ნეტგაზეთი“ ლიდერობდა. რაც შეეხება საკითხებს, აღნიშნული გამოცემა ამ მხრივ თავისუფალია და იგი საზოგადოების ინტერესების კვალდაკვალ შემოიფარგლება, აშუქებს საჭირობო რეაქციებს. სოციალური საკითხები, ჯანდაცვის საკითხები, ეკონომიკის საკითხები, რელიგიური თემატიკა, განათლების სფერო და სასამართლო უწყებანი – ეს ის თემატიკაა, რაც ე.წ. „ქუჩის გამოკითხვის“ დროს თემატურად რესპონდენტებს შევთავაზეთ. სტატისტიკურად მათ მიერ გამოიკვეთა, რომ ყველაზე მეტად სოციალური და რელიგიური თემატიკა ახსენდებოდათ, რასაც ამ მხრივ ინტერნეტით და ინტერნეტის კონფლიქტით ხსნიან. ისინი მიუთითებენ, რომ აღნიშნული ორი საკითხის სიჭარბეს რეალობა განაპირობებს. სოციალური ფონის ამსახველი რეპორტაჟები გარემოს გამოძახილია, მაგ. ისეთი როგორცაა აშენდება თუ არა მეჩეთი ბათუმში და სად. როგორც არის დაკვეთა საზოგადოების მხრიდან, მისი შესაბამისია მედიის მიერ ინფორმაციის მიწოდებაც. ცალსახად ვიტყვით, რომ ამ შემთხვევაში არც მედია აყოვნებს.

ერთია, რომ ახალი მედიის შექმნამ ტრადიციულ მედიას გარკვეული სახეცვლილებები მოუტანა, აუდიტორიის მიზიდვის გამო ე.წ. „ძველი მედია“ იძულებული გახდა გარკვეული კორექტივები განეცადა, მაგრამ ორივე მიმართულებას თავისი „ტრადიციული მომხმარებელი“ ჰყავს. ერთია, რომ ეპოქა ბევრ რამეს გვკარნახობს, მაგრამ მეორეა, რამდენად ვუძლებთ ეპოქის გამოძახილს ისევ და ისევ ჩვენივე ვითარებიდან გამომდინარე. ახალი მედიის დაარსება ძველი მედიის წინაშე გარკვეულ კითხვებს სვამდა – გააგრძელებდა

თუ არა „ძველი მედია“ მუშაობას და თუ გააგრძელებდა, რა კუთხით? ახალი ტექნოლოგიები განვითარების უპირველესი წყაროა, ბევრ რამეს დრო გვეჩვენებს, მაგრამ ახალი მედიის უპირატესობა ნათელია.

მაშასადამე, დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ მედიის ფუნქციათა ჭრილში ახალი მედიის როლი განუზომელია და მასზე დამოკიდებულთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება. ამას რამდენიმე ფაქტორი განაპი-

რობებს. ვხედავთ, რომ მსოფლიო მოდერნიზაციაზე გვერდის ავლა შეუძლებელია, ძველს ახალი ენაცვლება და ამ მხრივ არც მედიასისტემა გამონაკლისი, ოღონდ უცვლელი მხოლოდ ჟურნალისტიკის ძირითადი სტანდარტები და ფუნქციები რჩება. ერთია, რა არის ჟურნალისტიკის ფუნქცია და მეორეა, რამდენად იცავს და ახორციელებს მას ჩვენს პირობებში უკანასკნელ პერიოდში მძლავრად ფეხმოკიდებული ახალი მედია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნათია კუპრაშვილი – „ახალი მედია ძველი მედიისათვის“ (გზამკვლევი), გამომცემლობა „კოლორი“, 2011 წ;
2. „ახალი მედიის საფუძვლები“ – (რედაქტორი: თამარ კალმახიძეშვილი. შემდგენლები: თინათინ დვალიშვილი და სანდრო ასათიანი), გამომცემლობა „TOL“, 2010 წ;
3. ჟურნალისტური ეთიკა და თვითრეგულირების მექანიზმები, „თავისუფლების ინსტიტუტი“, 2003 წ;
4. დეფლორი დენისი – „მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისთვის“, თბ. 2009 წ;
5. [www. Media.ge](http://www.Media.ge);
6. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=7693>.

რეზიუმე

ნესტან მამუჩაძე

მედიის ფუნქციათა ინტერპრეტაციისათვის

მედიის შექმნამ ტრადიციულ მედიას გარკვეული სახეცვლილებები მოუტანა. მედიის ფუნქციას ინფორმაციის გაფილტვრა, მოძიება, გაანალიზება, ინტერპრეტირება და შემდეგ მისი გავრცელება ყველასათვის გასაგებ ენაზე. კერძოდ, მედიამ არჩევნებს შორის დროის ინტერვალში თვალყური უნდა აღევნოს სამი პოლიტიკური სახელისუფლებო შტოს (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო) საქმიანობას. შესაბამისად, როცა ახალ მედიაზე ვსაუბრობთ, ხშირად სადავო საკითხია, თუ რამდენად სანდოა იგი. ვფიქრობთ, ამ მხრივ ჩვენ მიერ ჩატარებულმა ინტერნეტ თუ ე.წ. „ჭეხის გამოკითხვამ“, მეტწილად რეალური სურათი აჩვენა.

Nestan Mamuchadze

For the interpretation of media functions

Creating a new media made some changes in the traditional media. The function of media is to filter, search for, analyze, interpret and then spread the information in an understandable language. Specifically, media should observe the work of three political branches (executive, legislative and judicial) in between the elections. Therefore, when we talk about new media it's reliability is often doubted. We think that the regional internet or so called «Street questionnaire» that we carried out showed amostly a realistic picture in this regard.

Резюме

Нестан Мамучадзе

функции медиа для интерпретации

Создание новой медиа внесло определенные изменения в традиционную медию. Функции медиа: фильтрация, поиск, анализ и интерпретация информации и последующее её распространение на понятном языке. В частности, медиа в интервале времени между выборами должна следить за тремя политическими органами (исполнительной, законодательной и судебной) власти. Соответственно, говоря о новой медиа, часто встает спорный вопрос насколько она надежна? Думаем, проведенный нами региональный интернет и т.н. “уличный” опрос показал более менее реальную картину.

ჭოროხის ძველი წილის კულტურული მემკვიდრეობის კვლევები (მაცოს რომაული ხანის სამარხები)

ნახევარი საუკუნის განმავლობაში საინტერესო საველე სამუშაოები განხორციელდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთში. საკმარისია დავასახელოთ ფიჭვნარის, ციხის ძირის, ჩაქვის მიდამოების, ბათუმის ციხისა და გონიო-აფსაროსის ტერიტორიაზე მიმდინარე საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებანი; ჩვენი ქვეყნის, საერთოდაც, საკაცობრიო ცივილიზაციის საგანძური გამდიდრდა სხვადასხვა ეპოქის ნივთიერი კულტურის ძეგლებით. ეს განსაკუთრებით ითქმის წინაანტიკური, კლასიკური, ელინისტური და ადრეშუასაუკუნეების სამაროვნების მიმართ. დღემდე ზოგიერთი შემთხვევითი აღმოჩენის გარდა უცნობი იყო გვიანანტიკური, რომაული ხანის ნეკროპოლები. ბოლო წლების, ამ შეთხვევაში მანოს არქეოლოგიური აღმოჩენებით ეს ხარვეზიც შეივსო.

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დაფინანსებით ძეგლზე მცირე მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოები ვაწარმოეთ 2010 და 2013 წელს. სულ გაითხარა ათი სამარხი.

სამაროვანი გაუმართავთ საკმაოდ დაქანებულ ფერდობზე. მიცვალებული დაკრძალული ჩანს თავით ჩრდილოეთისკენ (მეტ-ნაკლები გადახრებით). ყურადღებას იქცევს ცალკეულ სამარხეულ კომპლექსებში წარმოდგენილი მრავალფეროვანი ინვენტარი. როგორც, წესი წამყვანია სამეთუნეო ნაკეთობანი. ერთადერთია წელშეზნექილი კოლხური ამპჰორა (ტაბ. 1/1). გვაქვს თიხის ქოთნები (ტაბ. 1/2), როგორც ჩანს კავკასიაში ფართოდ გავრცელებულ სამეთუნეო ნაკეთობის ამ ფორმას ათას წლეულების მანძილზე არსებითი ცვლილებები არ განუცდია, სიტყვას აღარ განვაგრცობთ

პარალელების შესახებ. გვიან ბრინჯაოს ხანიდან დაწყებული ადრეშუასაუკუნეების ჩათვლით ქოთნები უპირატესად სამაროვნებისა თუ ნასოფლარ-ნაქალაქარების ერთ-ერთი განუყოფელი კომპონენტთაგანია (კახიძე, ვაშაკიძე 2010:101-102, აქვე ლიტერატურა).

მომდევნო სახეობას თიხის ღოჭები ქმნიან (ტაბ. 1/4). თანადროული თუ ადრეშუასაუკუნეების მსგავსი ღოჭები აღმოჩენილია ციხისძირში (ინაიშვილი, 1993:87, სურ. 33/1), ფიჭვნარში (კახიძე, ვიკერსი, მამულაძე, 2000:75, სურ. 4, ტაბ. III/1,2), წებელდაში (Трапш, 1971:133, ტაბ. XXI/3; Гунда, 1978:68-69, ტაბ. XXI/3; XXV/3; XXVII/2, და ა.შ.).

პირველად აღმოჩნდა წყვილყურბანი ჩაფისებური ჭურჭელი (ტაბ. 1/3). ჯერჯერობით ვერაფერს ვამბობთ შესატყვისი ფორმების შესახებ. საინტერესო ჩანს მეორე სამარხში აღმოჩენილი თიხის ფეხიანი ვაზაც (ტაბ. 1/7). მოპოვებულია თიხის ადგილობრივი ჯამები (ტაბ. 1/6), რომლებიც წითელლაკიანების მინაბაძებს უნდა წარმოადგენდნენ

ახალი არქეოლოგიური გათხრებით საკმაოდ გამდიდრდა რთვა-ქსოვასთან და რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული კვირისტავეების რიცხვი (ტაბ. 1/5). სულ სამი კვირისტავი აღმოჩნდა, რომლებიც ერთნაირი ფორმისაა, უშუალო ანალოგები არ ეძებნებათ. სიახლეა წრიული ზოლითა და ნახე ვარსფერული შეღებვებით გაფორმება. რა თქმა უნდა კიდევ უფრო საინტერესო არის ერთ-ერთ მათგანზე მზის სიმბოლიკის გადმოცემა. მზის სიმბოლოური გამოსახულება (წრეში ჩასმული სვასტიკა) მოცემულია ფი-

ჭვნარში აღმოჩენილ ელინისტური ხანის კვირისტავზე (კახიძე, ვაშაკიძე, 2010:31. სურ. 45/9).

იმპორტული კერამიკა წარმოდგენილია წითელლაკინი ჯამების სახით (ტაბ. 1/8). ახალი აღმოჩენებით გამდიდრდა მინის კოლექციაც – გვხდება სასმისები (ტაბ. 1/14), ისინი ახ.წ. II ჩნდებიან, III–IV სს კი მათი წარმოება მასობრივ ხასიათს იძენს. ანალოგიურია ფიჭვნარის 177-ე და 178-ე სამარხში მოპოვებული სასმისების (კახიძე, ვიკერსი, მამულაძე, 2000:77; შალიკაძე 2009:39), პეტრა-ციხისძირში აღმოჩენილი სასმისის, რომლებიც სირიულ-პალესტინურ ნაწარმადაა მიჩნეული (ინაიშვილი, 1993:78, ტაბ. 31/7,10). მსგავსი მომწვანო-მოცისფრო ნიმუშია მოპოვებული ვაშნარშიც (ჩხაიძე, 1975:113, ტაბ. XXXII/11,14). ასევე ითქმის წებელდის, კერძოდ, ალარახუს მე-5 სამარხში აღმოჩენილი ნიმუშის მიმართაც (Трапш, 1971:142, ტაბ. XIX/10). მათ ემსგავსება პანტიკაპონის მონაპოვრები, რომლებიც III-ს უფრო IV-ს თარიღდებიან (Сорокина, 1962: 226, рис. 9/15).

გვხდება სხვადასხვა ფორმის სანელ-საცხებლეები თუ კოლბისებური ჭურჭელი (ტაბ. 1/13), (კახიძე, შალიკაძე, 2010:34 სურ. 41/2; 44/10).

ახალი ფორმებიდან ყურადღებას იქცევს მინის ოთხწახნაგა ჭურჭელი. მსგავსი მინის ნაკეთობანი აღმოჩენილია პიტიუნტის ახ.წ. III ს. დათარიღებულ სამარხეულ კომპლექსებში (ლორთქიფანიძე, 1991:140, ტაბ. XVIII/1-3; XIX/1-3).

პირველად აღმოჩნდა მინის პატარა ზომის გრაფინისებური ჭურჭელიც მთლიანად დაცული. პირის გარეთა კალთა, ყელი და ტანი მთლიანადაა დაფარული სიმეტრიულად განლაგებული მინისავე ძაფებით (ტაბ. 1/11).




ამ ტიპის ჭურჭელს განსვენებული მკვლევარი მ. საგინაშვილი სანელსაცხებლეებს ეძახის, აღნიშნავს რომ მინის ძაფებით ჭურჭლის შემკობის ტექნიკა ჩნდება I



საუკუნეში, ფართოდ ვრცელდება II საუკუნის დასასრულიდან, უმეტესად კი III საუკუნეში (საგინაშვილი, 1970: 36, სურ.22/2). ახ.წ. IV საუკუნეში ძაფებით შემკობა მორთულობის ძირითად სახედ იქცევა (ისა, 1908:435).

მახოს სამარხეულ ინვენტარში გარკვეულ ადგილს იკავებს ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი ტანსაცმელთან დაკავშირებული ნივთები და ნაირნაირი სამკაული (ფიბულები, სამაჯურები, საყურეები, გამოსახულებიანი ბეჭდები, ყელსაბამი, მონოქრომული და პოლიქრომული მძივები, ტაბ. 1/9-10; ტაბ. 2/1-2).

ყურადღებას იქცევს რომაელი იმპერატორების (იულია დომნა (193-217 წწ), ადრიანე (117-138 წწ), სეპტიმიუს სევერუსი (193-211 წწ), ანტონინუს პიუსი (138-161 წწ), დიოკლეტიანე (284-305), მაქსიმიანუს გალერი (292-311 წწ), სეპტიმიუს სევერუსი (193-211 წწ), პრობუსი) სახელზე მოჭრილი მონეტები (ტაბ. 2/4). გვხდება რკინის იარაღიც (ტაბ. 2/3).

როგორც ვხედავთ სავსე საბუნებრივი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ მახოში საკმაოდ საინტერესო შედეგების მომცემი აღმოჩნდა. ჩვენს მიერ შესწავლილი სამარხეული კომპლექსები ახალი წელთაღრიცხვის III საუკუნითა და IV საუკუნის დამდეგით თარიღდება მნიშვნელოვანია ის, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის კლასიკური, ელინისტური და ადრეშუასაუკუნეების სამაროვნების რიცხვს რომაული ხანის ძეგლიც შეემატა. არსებითია ისიც, რომ თვით სოფელ მახოში, გონიოსა და ციხისძირში შემთხვევით აღმოჩენილია საკმაოდ მდიდრული განძები, რაც იმის მაუწყებელია, რომ გვიანანტიკური ხანისათვის სამხრეთ-დასავლეთი საქართველო დიდ როლს თამაშობდა ლაზიკის სამეფოს ფორმირებაში. ამას ემატება ისიც, რომ ძეგლი მდებარეობს მდინარე ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე, საყოველთაოდ ცნობილ გონიო-აფსაროსთან ახლოს.





1



2



3



4

გამოყენებული ლიტერატურა

- ინაიშვილი ნ.** (1993). ციხისძირის ახ.წ. I–VI სს. არქეოლოგიური ძეგლები. – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლები, XXI. თბილისი.
- კახიძე ა., ვიკერსი მ., მამულაძე შ.** (2000), ადრეშუასაუკუნეების სამარხები ფიჭვნარი დან, ბამ, შრომები, I, ბათუმი, გვ. 70-89.
- კახიძე ა., ვაშაკიძე ნ.** (2010), ელინიზმი და კოლხეთი. – ფიჭვნარი III, ფარცხმა, ბათუმი-ოქსფორდი.
- კახიძე ა., შალიკაძე თ.** (2010), ახალი არქეოლოგიური აღმოჩენები სოფელ მახოში. – ჩაუცასუს ჟოურნალ ოფ შოციალ შციენცეს, ვოლუმე 3, თბილისი. გვ.34-48.
- ლორთქიფანიძე გ.** (1991), ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბილისი.
- საგინაშვილი მ.** (1970), ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი, თბილისი.
- შალიკაძე თ.** (2009), მინის ნაწარმი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვის პირეთიდან. - ფიჭვნარი IV გონიო-აფსაროსი IX.
- ჩხაიძე ლ.** (1975), მინის ნაწარმი ვაშნარის ნაქალაქარიდან. – სდსმ, V, გვ. 107-114.
- Гунба, М.М.** (1978). Новые памятники Цебельдинской культуры, Тбилиси.
- Сорокина Н. П.**, (1962), Стекло из раскопок Пантикапея 1949-1959.-МИА, 103, сс. 210-236.
- Трапш, М.М.**, (1971). Культура Цебельдинских некрополей. - Труды, III, Тбилиси.
- ისა., (1908). ას ლას იმ ლტერტუმ, I. ეიზიგ,

ტაბულების არწერილობა

- ტაბულა 1 - 1.** წელშეზნეპილი ამფორა; 2. ქოთანის; 3. ჩაფისეპური ჭურჭელი; 4. დოქი; 5 კვირისტავი; 6-7 ადგილობრივი ჯამები; 8. წითელლაკიანი ჯამი; 9. ვერცხლის ფიბულები; 10 მძივები; 11. მინის გრაფინი; მინის ოთხწახნაგა ჭურჭელი; 13. მინის სანელ-საცხებლები, 14 მინის სასმისები.
- ტაბულა 2-** 1. მძივები; 2. ვერცხლის სამაჯური; 3. რკინის შუბისპირი და ცული; 4. მონეტები.





კომუნისტური რეჟიმის რეპრესიები ერთი სოფლის წარსულის გასვენებით

ხელისუფლებაში მოსვლის დღიდანვე კომუნისტებმა ქვეყანაში დაამყარეს მმართველობის დიქტატორული რეჟიმი, ამისათვის შექმნეს განუსაზღვრელი უფლებამოსილების სადამსჯელო სახელმწიფო სტრუქტურები, სახელმწიფო უშიშროების სამსახური - სადამსჯელო სამხედრო ტრიბუნალით, ამ სამსახურის ფუნქციებში შედიოდა: პირველი - სახელმწიფო საზღვრის დაცვა და ბრძოლა „კონდრაბანდისტულ“ ელემენტებთან. არასასურველი და სახელმწიფოს მტრად მიჩნეული პირების ფიზიკური მოსპობა ან საშუალო გადასახლება. სოფელი წაბლანა რუსეთ-თურქეთს შორის სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთზე მდებარეობს, ბუნებრივია წაბლანელები საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის პირველ დღეებიდანვე მოექცნენ მკაცრი ცხოვრების (კომუნისტური რეჟიმის) ქვეშ. 1921 წელს სოფელში შემოვიდნენ რუსი მესაზღვრეები, პირველ ხანებში მათ არ ჰქონდათ ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობები და არც საზღვრის დაცვის ტექნიკური საშუალებები. ისინი სოფლის ზემოთ ერთ მიტოვებულ საცხოვრებელ სახლში იყვნენ განთავსებული და მუდმივად უთვალთვალებდნენ მოსახლეობას. მესაზღვრეებს ჰყავდათ ფარული სოფლელი ინფორმატორები. ისინი ახდენდნენ სოფლის მცხოვრებთა დასმენებს, აწვდიდნენ ტყუილ-მართალ ინფორმაციას მათი შეხედულებისამებრ, ზოგს აბრალებდნენ სახელმწიფოს წინააღმდეგ მტრობას, ზოგს კიდევ კონდრაბანდისტულ საქმიანობას და სხვა მოქმედებებს.

უშიშროების სახელმწიფო კომიტეტმა საზღვრის პირა ყველა სოფელში და მათ შორის წაბლანაშიც ჩამოაყალიბა ფართო სადაზვერვო (ფარული) სამსახური. ამ სამსახურმა აითვალწუნა და სამიზნედ გაიხადა

სოფლის მაშინდელი ავტორიტეტული, გავლენიანი და შეძლებული მცხოვრებლები, აგრეთვე ისლამური სარწმუნოების მქონე განათლება მიღებული სასულიერო პირები იმ მოტივით, რომ მათ გავლენა საზოგადოებაში ღიდ იყო. მათ რიცხვში შედიოდნენ განსხვავებული აზრისა და გაბედული ხასიათის ადამიანები.

ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლებას შეემუშაებინა სტრატეგიული პროგრამა ქვეყნის სამეურნეო მოწყობისა და მოსახლეობის გაჭირვებული მდგომარეობიდან გამოყვანის, დაიწყო მოსახლეობის მორჩილებაში მოქცევის პროცესი. „მტრობის ხატის ნიშნით“ არასასურველი პირების მიმართ უკიდურესი ზომის - რეპრესიების გატარება, ეს გულისხმობდა ადამიანების სოფლიდან მოკვეთას, სიკვდილით დასჯას ან საშუალო გადასახლებას. ასეთ მკაცრ სასჯელს განსაზღვრავდა არა სამოქალაქო სამართლის ორგანო, არამედ სამხედრო ტრიბუნალი. ადამიანების მეხსიერებაში შემორჩენილია ავად სახსენებელი სადამსჯელო ორგანოს სახელები, როგორც იყო ე. წ. „დვოიკა“, (ანუ რუსული სიტყვიდან ორი პირის მიერ გამოტანილი სასჯელი). შემდეგ გაჩნდა სადამსჯელო ორგანო, რომლის სახელწოდება იყო „ტროიკა“, (ანუ რუსული სიტყვიდან გამომდინარე სამი პირის მიერ გამოტანილი სასჯელი). ამ ორგანოების მიერ გამოტანილი განაჩენი იყო საბოლოო, არ მიიღებოდა პრეტენზია, არ ხდებოდა შეწყალება. განაჩენის აღსრულება ხდებოდა მცირე დროის (24 საათის) განმავლობაში.

1926 წლის შემოდგომაზე უჩაბის თემის თავმჯდომარე თავისი პირადი ცეცხლსასროლი იარაღით, წაბლანის საგუშაგოს უფროსისა და მესაზღვრეების თანხლებით

წაბლანის ცენტრში იმ დროს მივიდა, როცა წაბლანელები ჯამეში მუხამედ ველიაძის წინამძღოლობით ლოცვის პროცედურას ასრულებდნენ. ჯამის სამლოცველო დარბაზში ოთხი მეტრის სიგანის რიგში იყვნენ განლაგებული 30-ზე მეტი მლოცველი. გარეთ რომ არავინ დახვდათ მისულებმა შეაღეს ჯამის კარები და გაჩერდნენ მლოცველების უკან. ლოცვის პროცესში მყოფ მრევლს მათთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. უკნიდან მოულოდნელად გასროლილ ტყვიამ უვნებლად გაიარა მლოცველთა რიგი და კისრიდან თავის არეში მოხვდა ლოცვის წინამძღოლს მუხამედ ველიაძეს.

ლოცვა ჩაიშალა, მომხდართი გაოგნებული ხალხი დაბნეული უყურებდა ერთმანეთს. თემის თავმჯდომარე და საგუშაგოს უფროსი სასწრაფოდ გაეცალნენ იქაურობას. დაღუპულის ბიძამ – ჰაჯიამ თავი ვეღარ შეიკავა და გზაზე წამოეწია საგუშაგოს უფროსს - დაუწყო ცემა, რომ არ ჩარეულიყვნენ სოფელები ცუდად დასრულებოდა ეს შემთხვევა. თემის თავმჯდომარემ მოასწრო ქურდულად გაქცევა.

შემდეგ გავრცელდა ვერსია, რომ მოხდა უბედური შემთხვევა. თემსაბჭოს თავჯდომარის თოფიდან გასროლა მოხდა საგუშაგოს უფროსის მიერ, ამ უკანასკნელმა არ იცოდა თუ თოფში ტყვია იყო ჩადებული. საგუშაგოს უფროსი სხვაგან გადაიყვანეს და მომხდარი შემთხვევის გამო არავინ დაუსჯიათ.

გავრცელებული ვერსიით „უბედური შემთხვევა“ სოფლის მოსახლეობამ და საზოგადოებამ სარწმუნოდ არ მიიღო. საზოგადოებაში დამკვიდრდა სხვა ვერსია „მიზანმიმართული გასროლა“, მიზეზად მიღებულია შემდეგი:

1. მუხამედ ველიაძეს ხალხი „ჯინა მოლას“ უწოდებდა, იყო ლამაზი მოყვანილობის ახოვანი - დაოჯახებული ახალგაზრდა კაცი. ფლობდა ხუთ ენას (ქართულს, რუსულს, არაბულს, ლათინურს და თურქულს). მიღებული ჰქონდა ისლამური სასულიერო განათლება - ქედაში, გამოირჩეოდა მაღალი ნიჭიერებით. ჰქონდა მოსალოდნელი მოვ-

ლენების აღქმისა და ანალიზის უნარი, მოსახლეობა მას ნათელმხილველის უნარით მოიხსენიებდა, ხშირად მიდიოდნენ მასთან რჩევა-დარიგებისთვის, ეხერხებოდა ხალხური მკურნალობა, გააჩნდა საინჟინრო საქმიანობისადმი მიდრეკილება. მისი მკვიდრი ბიძის - ჰაჯიას მხარდაჭერით მუშაობდა ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანაში, 1920-იან წლებში ბათუმში გამართულ ეროვნულ ყრილობაზე გამოსულა სიტყვით (მასალები დაცულია „ბათუმის ოლქის“ საარქივო მასალებში, ქ.ქუთაისში), იგი ერთხანს მუშაობდა ჭვანის თემში - ჭვანასა და ცხემლისში. ყველაფერ ამან და სხვა დადებითმა თვისებებმა მუხამედ ველიაძეს დიდი ავტორიტეტი შეუქმნა, არამარტო წაბლანის მოსახლეობაში, არამედ სოფლის გარეთ ფართო საზოგადოებაში.

მიუხედავად მისი დადებითი თვისებებისა ის არ იყო ჩართული სახელმწიფოს მიერ სოფლად ჩასატარებელი ღონისძიებების განხორციელებაში. ადგილობრივ ხელისუფლებაში მოხვედრილი სუსტი და უუნარო პირები ცდილობდნენ თავიდან მოემორებინათ მათზე უკეთესი უნარიანი, საქმიანი და დადებითი თვისებების მქონე ადამიანები – საზოგადოებისაგან, რათა მათ გაეხანგძლივებინათ მათი პრივილეგიებული მდგომარეობა.

2. ველიაძეების საგვარეულო წაბლანაში ითვლებოდა მეთაურ გავლენიან გვარად, ისინი იყვნენ მრავალრიცხოვანი, ერთმანეთთან მტკიცედ შეკრული. გვარს ზურგს უმაგრებდა აჭარისთვის თავდადებული მამულიშვილი ჰაჯია ველიაძე, (ემენ დავითაძე, სოფლის აღმაშენებელი, წიგნი მეორე, გამომც. „საქართველო“, თბილისი - 1992, გვ. 74-75) მთელ საქართველოს მასშტაბით აღიარებული კაცი (ჰაჯია ველიაძე), რომელიც ამავედროულად იყო კომპარტიის ხულოს რაიონული კომიტეტის წევრი. შურიანი ადგილობრივი ჩინოვნიკები ცდილობდნენ ველიაძეების გვარის ავტორიტეტის შელახვას და გვარში არსებული ღირსეული ადამიანების ფიზიკურ განადგურებას. ჰაჯია ველიაძის მიერ ძმისშვილის მკვლელობასთან დაკავშირებით სასაზღვრო საგუშაგოს უფროსზე მიყენებული

ფიზიკური შეურაცხყოფის გამო უშიშროების სამსახურმა ის მოაქცია მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ, ელოდებოდნენ რაიმე საბაბს, რათა მის მიმართ განეხორციელებინათ რეპრესია.

3. მუხამედ ველიაძის „ჯინა მოლას“ გამიზნული სიკვდილის ვერსია შემდგომში გაამყარა იმ ფაქტმა, რომ მას ცოლად ჰყავდა სილამაზითა და გონიერებით განთქმული ეხსან ბერიძე. დედითაც და მამითაც ღირსეული ოჯახის შთამომავალი. უჩაბის თემის მაშინდელი თავკაცის ავაზაკური ჩანაფიქრი გამოვლინდა მკვლელობის შემდეგ მოკლე დროში. გარდაცვლილის ქვრივს - ეხსანს არა ერთი ხერხით შესთავაზა ცოლად გაჰყოლოდა. ბოროტმა ვერ შესძლო მისი დაყოლიება ცოლობაზე, ვერც თანამდებობრივი პრივილეგიით და ვერც ფუფუნებაში ყოფნისა და ძვირფასი თვალმარგალიტი საჩუქრის შეპირებით.

ქვეყნის სათავეში კომუნისტური (ხუთწლიანი) მმართველობის მონაკვეთში ჰაჯია ველიაძე მწყრალად იყო განწყობილი კომუნისტური მმართველობის მიმართ, რასაც პარტიული იდეები ქადაგებდა მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით. არ ჩანდა ახალი რაიმე საიმედო ძვრები. თურქების მიერ 300 წლიანი ბატონობით დამკვიდრებული მუსლიმანური სარწმუნოების გამო ხელისუფლება უნდობლობით უყურებდა მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს. იღებდა ნაჩქარევ ზომებს თურქული ადათ-წესებისა და ისლამური რელიგიის აკრძალვის შესახებ. 1929 წელს აჭარაში ქალთა მიერ ჩადრის ტარების დემონსტრაციულად აკრძალვამ, მოსახლეობის დიდ ნაწილში მღელვარება გამოიწვია. მოხდა მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლები. დააპატიმრეს ადგილობრივი მმართველობის ხელმძღვანელები. წაბლანაში თავს დაესხნენ და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს სასაზღვრო საგუშაგოს ჯარისკაცებს. მღელვარება საკმაოდ ფართოდ გავრცელდა მაღალმთიან სოფლებში, მღელვარების ჩასაქრობად ხელისუფლებამ დამატებითი სამხედრო შენაერთებით ჩააქრო ხალხის პროტესტი. სახ-

ალხო გამოსვლების ორგანიზატორები და მხარდამჭერები ათასამდე კაცი რეპრესიების თავიდან აცილების მიზნით თურქეთში გაიქცა. ამ ნაკადს გაუთვითცნობიერებლად გაჰყვა ოთხი წაბლანელი: დემურალ თურმანიძე, ომერ ველიაძე, შაქირ და სადიყ ბერიძეები, როცა გაიაზრეს და გონს მოვიდნენ 24 საათის განმავლობაში უკან დაბრუნდნენ. ხელისუფლება გამოსვლების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს ლმობიერად მოექცა (მათ შორის წაბლანელებს). მაგრამ უარყოფით ბალანსზე იყვნენ აღრიცხული. ორი კვირის შემდეგ უშიშროების სამსახურმა სახლიდან ღამით გაიყვანა ომერ ველიაძე და დემურალ თურმანიძე, მოსთხოვეს მათ უშიშროების სამსახურთან თანამშრომლობა... ფარულად თურქეთში გადასვლა და იქ მყოფ გამოსვლებში მონაწილეთა დაბრუნება უკან. იქ მყოფთა დარწმუნება, რომ მათ მიმართ სასჯელი არ განხორციელდებოდა და დაბრუნებულები იყვნენ საკუთარ სამშობლოში. უარის თქმის გამო მათი შევიწროება-იძულება 10 დღეს გრძელდებოდა, ეპუქრებოდნენ დახოცვით, გაიყვანეს ტყეში სოფლიდან ორ კილომეტრზე, იყენებდნენ დაშინების სხვა ხერხებს. თანხმობა რომ ვერ მიიღეს შეჰპირდნენ კონდრაბანდისტული გადასვლის დროს დაიკავებდნენ და ჩაცხრილავდნენ. დაიწყეს მათ მიმართ მკაცრი კონტროლის დაწესება.

წაბლანის მიმდებარე მთა-ლომას ტერიტორიიდან შავშეთის ქედის გადაკვეთით თურქეთში დამაკავშირებელ ისტორიულ სავაჭრო საქარავნო გზით აჭარის მოსახლეობის ნაწილი ფარულად ახდენდა გადასვლას, რათა იქიდან შემოეტანათ ოჯახისთვის საჭირო ქსოვილი და სხვა ნივთები. გადასვლა სიცოცხლისთვის მეტად საშიფათო იყო. გაძლიერებული იყო საზღვრის დაცვა. მიუხედავად ამისა გაუსაძლისი ვითარება მოსახლეობას აიძულებდა დიდი რისკის ფასად მოეხერხებინათ ფარული გადასვლა. ასეთ პირებს „კონდრაბანდისტებად“ ნათლავდნენ და დაჭერის შემთხვევაში მკაცრად სჯიდნენ.

თურქეთში გადამსვლელები სხვადასხვა სოფლებიდან საზღვრის ახლოს შეიკრი-

ბებონენ 20-30 კაცის შემადგენლობით და ჯგუფურად გადადიოდნენ, ისევე უკან ბრუნდებოდნენ. ასეთ შემთხვევაში მესაზღვრეები ვერ უწევდნენ წინააღმდეგობას, აფიქსირებდნენ გადამსვლელთა რაოდენობას და აწვდიდნენ ინფორმაციას უშიშროების ცენტრალურ სამსახურს.

ლომას მთის გავლით კონდრაბადისტთა დაკავების მიზნით უშიშროების სამსახურმა აამოქმედა სოფლის ფარული ინფორმატორები, რომ მოეხდინა მათი დაკავება. ჯგუფში შეჰყავდათ „დამსმენები“, რომლებსაც ევალებოდათ უკან დაბრუნების დროს მათი ვინაობის გაცემა.

თურქეთიდან უკან მომავალთა 30 კაციან ჯგუფს შეუერთდა წაბლანიდან ფარულად გადასული ომერ ველიაძე და დემურალ თურმანიძე. საზღვარი მშვიდობიანად გამოიარეს და გამთენიისას ლომას მთაზე ჯვარის უკანა მხარეს ტყეში დაბინავდნენ. საჭირო იყო გაეგოთ, რა ვითარება იყო სოფელში. ამბის გაგების სურვილი ერთმა უჩამბელმა გამოთქვა. ვითარების გაგებამდე არ უნდა გადმოელახათ გადმოსასვლელი. კონდრაბადისტთა ჯგუფმა დაელოდა სოფლიდან ინფორმაციის მიღებას. სიფრთხილისთვის ადგილსამყოფელი იცვალეს და ერთი კაცი დატოვეს იმის გასაგებად თუ რა ინფორმაციას მოიტანდა მათი თანმხლები პირი. ამბის მომლოდინე პირმა მოძებნა მოხერხებული ადგილი რათა შორიდან ამბის მომტანისთვის თვალყური მიეჩინა, თუ როგორ მოიქცეოდა. მწუხრის ჟამს ამბის მომტანი გამოჩნდა, მეთვალყურედ დარჩენილმა პირმა შენიშნა, რომ მას უკან მოქალაქეთა დიდი ჯგუფი მოჰყვებოდა. ამბის მომტანი ხელით ანიშნებდა, რომ ჯგუფი გადმოსულიყო - საფრთხე არ იყო. ფაქტიურად ჯგუფი უკან სამშვიდობოს გასულიყო. მეთვალყურე პირი კარგად დააკვირდა და 80-მდე შეიარაღებული ორად გაყოფილი რაზმი შენიშნა, დაუყონებლივ გაეცალა იქაურობას და აცნობა ვითარება „კონდრაბადისტებს“, რომ გაყილული იყვნენ და მათ დიდი საფრთხე ელოდათ.

საქონელი ყველამ ტყეში ცალ-ცალკე გადაძალა, სასწრაფოდ დაიძალნენ და სხ-

ვდასხვა დროს დაუბრუნდნენ თავიანთ ოჯახებს. გადამალული საქონელი ერთ თვის გასვლის შემდეგ მოიტანეს სახლებში. აქაც საიმედოდ უნდა გადაეძალათ. ომერ ველიაძემ საქონელი სახლის სხვენში გადაძალა. კონდრაბადისტად ყოფნას კი უარყოფდა. სახლიდან ორი კვირით გასვლის მოტივად - ნათესავებთან ყოფნას ასახელებდა. ომერის ოთხი ძმა და ხუთი და, აგრეთვე მეუღლემ დროის შუალედით ახალი ტანისამოსით შეიმოსნენ. ამას თვალს ადევნებდა სოფლის აგენტები და უშიშროების სამსახური. ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რათა ფაქტზე დაეკავებინათ. ასეთი მიზნის მისაღწევად გამოიყენეს სოფელში ობლად მყოფი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც არ ჰქონდა ნორმალური საცხოვრებელი სახლი და იმყოფებოდა გაჭირვებულ მდგომარეობაში. ამის გამო ვერ ჰქმნიდა ოჯახს. მტრების შეშუალებული სცენარით ობოლმა ახალგაზრდამ ომერს უთხრა, რომ ცოლის შერთვას აპირებდა არ ჰქონდა შარვალი. ერთი საშარვლე ქსოვილი მიეცა ნისიად და შემდეგში გადაუხდიდა თანხას. ვალის გადახდას რომ ვერ შესძლებდა, ომერი დაესმინა სასაზღვრო საგუშაგოსთან, რომ მას ჰქონდა „კონდრაბადისტული“ ქსოვილი. ჩუმად ჰყიდიდა. ფაქტისათვის დაესახელებინა და დაედასტურებინა მის ტანზე ახლად შეკერილი შარვლით. ამით ომერს დააპატიმრებდნენ და შარვლის ვალის გადახდას აიცილებდა. მიტანილი ინფორმაციისთანავე სასაზღვრო საგუშაგოს უფროსმა თანმხლები ჯარისკაცებით გაჩხრიკა ომერ ველიაძის სახლი, ქსოვილი ვერ აღმოაჩინა, ომერი დააკავა და საგუშაგოზე წაიყვანა. იქ დაუპირისპირდა ის ობოლი ახალგაზრდა, რომ მართლაც მისცა საშარვლე ქსოვილი, ომერმა უარყო ფაქტი, რომ არაფერი მიუცია და აბრალებენ. საგუშაგოს საპატიმრო სათავსო არ ჰქონდა, სადამოს ხანს ომერი შეიყვანეს იქვე ახლოს მდგომ ორსართულიან თივით სავსე საბძელში. გარედან ჯარისკაცები მცველად მიუჩინეს, რომ არ გაქცეულიყო.

ომერი საზრიანი და გაბედული კაცი იყო. გამოიყენა საბძლის კუთხეში ნაკ-

ლებად დაპრესილი თივა. გათენებამდე მოახერხა საძირკველამდე ჩასვლა, გამთენიისას გამოიღო შენობის საძირკვლის ქვები, მოახერხა გაქცევა და გაუჩინარება. მეორე დღეს საგუშაგოს უფროსმა მოიკითხა პატიმარი მასთან მიეყვანათ, მაგრამ ის აღარ დახვდათ.

შეშინდათ თურქეთში არ გაქცეულიყო და საგუშაგოს უფროსი ოჯახში მივიდა, აცნობა მდგომარეობა და მისცა პირობა, რომ ოღონდ საზღვარგარეთ არ წასულიყო და მის მიმართ არაფერს აღარ იმოქმედებნენ. ამ ფაქტით შეწუხდა - ჰაჯიაც. ძნელი დასაჯერებელი იყო მიცემული პირობა, რომ შვილს არ დააპატიმრებდნენ და მკაცრად არ დასჯიდნენ. მავანს უხაროდათ ომერის ირგვლივ შექმნილი ვითარება - მალე წაბლანას მოაშორებნენ.

ორი კვირის განმავლობაში საგუშაგოს უფროსი ოჯახს არწმუნებდა და ეუბნებოდა ომერი თურქეთში არ გაქცეულიყო, თუ ომერი ამას გააკეთებდა, საგუშაგოს უფროსსაც კარგი დღე არ დაადგებოდა. ჰაჯიას გავლენიანი მდგომარეობის გამო ომერის მიმართ დევნა ღროებით შეწყდა.

ომერი მოხერხებული და უშიშარი კაცი იყო, კარგად იცნობდა არზრუმის, არდაგანის, შავშეთის, ტრაპიზონის რეგიონს და მის მოსახლეობას. პირადი საჭიროებისთვის და ამასთანავე ხალხისთვის იგი კარგა ხანს ახერხებდა ნებისმიერი საქონლის გადმოტანას. ღუხჭირი ცხოვრების გამო იგი 1950 წელს საცხოვრებლად გადავიდა მაშინდელი ბათუმის რაიონის სოფელ გონიოში და სოფლის ადმინისტრაციულ ცენტრთან ახლოს მიიღო 0, 25 ჰექტარი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი და დამკვიდრდა საცხოვრებლად.

კომუნისტური რეპრესიები საბჭოთა ეპოქის მთელ პერიოდში გრძელდებოდა. იგი ველიადეების გვართ დაიწყო, შემდეგ ახალი სამიზნე რეპრესიათა რიგში სულეიმან ბერიძე იყო. დაბადებული 1858 წელს, გურული რამიშვილების შთამომავალი. 1885 წელს შეიტანა მოთხოვნა ქუთაისის გუბერნიის ბათუმის ოლქის სასამართლოში „იმამის“ წოდების მინიჭების შესახებ.

მეფის რუსეთის მთავრობამ სულეიმან ბერიძის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად წაუყენა განსაკუთრებული პირობის შესრულება. „იმამის“ წოდების მინიჭებისთვის უნდა მოეპოვებინა საზოგადოების ავტორიტეტი, დაემსახურებინა ხელისუფლების ნდობა. მაშინ აჭარა თურქეთის გავლენიდან ახლად გადასული იყო რუსეთის შემადგენლობაში. იმ დროის აჭარის მოსახლეობის ნაწილი რუსეთის მტრული ძალდატანებით ისლამური სარწმუნოების წართმევის შიშით იყო შეპყრობილი. ვინაიდან სახელმწიფო საზღვარი რუსეთ-თურქეთს შორის არ იყო დაცული, თურქი დამპყრობლები ჯერ კიდევ თარეშობდნენ აჭარაში. მათი ზეგავლენისა და მათ მიერ ცრუ ავითაცის ქვეშ მოქცეული მოსახლეობის ნაწილი ტოვებდა საკუთარ სახლ-კარს (მიწა-წყალს) და მიდიოდა თურქეთში. ასეთ ლტოლვილთა ნაკადს „მუაჯირებს“ უწოდებდნენ. მუაჯირობამ ინტენსიური ხასიათი მიიღო 1880-1890-იან წლებში. მეფის რუსეთს ამ პროცესის შეჩერებისათვის ჭირდებოდა ერთგული მხარდამჭერი ადამიანები.

სულეიმან ბერიძე მუაჯირობის წინააღმდეგ გაჩაღებულ ეროვნულ მოძრაობაში დიდი მონაწილეობით ჩაება. მას მუაჯირობის ჩაქრობა დაეკისრა ქობულეთის რაიონის ერთ-ერთ მსხვილ სოფელ ხუცუბანში. დაკისრებული ამოცანა დიდი წარმატებით შეასრულა. მის მიერ დაუღალავ შრომამ შედეგი გამოიღო. ხუცუბანიდან მოსახლეობა არ წასულა მოაჯირად. ამან რა თქმა უნდა ხელისუფლების მხრიდან კმაყოფილება გამოიწვია. ნდობამოპოვებული სულეიმან ბერიძე აჭყვისთავისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობაში მუაჯირობის შესაჩერებლად მიავლინეს. ეს ეროვნული სულისკვეთების ამოცანა წარმატებით შეასრულა. მუაჯირობის პროცესი აჭარაში მთლიანად შეწყდა 1900-იანი წლების დასაწყისში.

ს. ბერიძეს ქუთაისის გუბერნიის ბათუმის ოლქის სასამართლომ გაწეული ეროვნული ღვაწლისა და გამოჩენილი ნიჭიერებისათვის 1901 წელს მიანიჭა „იმამის“ კვალიფიკაცია.

1905 წელს ს. ბერიძე დაუბრუნდა საკუთარ ოჯახს. ჰქონდა საკმაოდ დიდი მამულები, ხილის ბაღები. მისი ოჯახი იყო მრავალწევრიანი, ზრდიდა 9 მცირეწლოვან ბავშვს. სამოღებო ცენტრში მოაწყო სავაჭრო ღუქანი და ჩაის სახლი. სოფელში მუშაობდა ჯამის იმამად. აქტიურად მონაწილეობდა ჰაჯია ველიაძის, ოსმან თურმანიძის, იუსუფ ბერიძის და სხვა თანატოლებთან ერთად სოფლის პრობლემების მოგვარების საქმეში. იყო ერთ-ერთი გამორჩეული სამართლიანი პიროვნება, იბრძოდა და შრომობდა შეძლებული ოჯახის შექმნისთვის.

1921 წელს დამოუკიდებელი საქართველოს რუსეთის მიერ ანექსიის შემდეგ საბჭოთა რეჟიმის გავლენა ცუდად აისახა მოსახლეობაზე. რეჟიმის მესვეურთ არ მოსწონდათ ს. ბერიძის შეძლებული ცხოვრების დონე, მისი საზოგადოებრივი ავტორიტეტი, ამის გამო ის არასწორად შეფასდა როგორც „კულაკი“ და როგორც „სოციალიზმის მტერი“. ავის მზრახველებმა შეიძუშავეს მისი ოჯახის დაკნინებისა და პირადად მისი ფიზიკური მოსპობა. როგორც „კულაკს“ ჩამოართვეს ყველა მამულები, უკანონოდ წაართვეს ხილის ბაღები, ყველა შენობა ნაგებობები, პროდუქტიული და გამწვევი მუშა პირუტყვი. უჩაბის ცენტრში ნაციონალიზებული სავაჭრო ღუქანის და ჩაის სახლის შენობა უსასყიდლოდ გადასცეს უსახლკარო ე. ბეჟანიძეს. საკარმიდამო ნაკვეთად მისცეს 0, 25 ჰა მწირი უხარისხო მიწის ნაკვეთი. ბუნებრივია ასე დაზარალებული ადამიანი არ იქნებოდა კეთილგანწყობილი ხელისუფლების მიმართ.

ადგილობრივი ხელისუფლების მესვეურებმა ს. ბერიძის „განკულაკება“ ზემოთ აღნიშნეს. უგუნურებმა უდარდელად დაშალეს სახნავი მიწის ნაკვეთის დამცავი ხის ღობე. ერთდროულად მასიურად გაჩეხეს საფარი ტყე, გადათხარეს ეროზიის საწინააღმდეგო ნიადაგშემაკავებელი ორ მეტრიანი დაარეები, ოჯახი „მავნებელთა“ სიაში შეიყვანეს.

კომუნისტური მმართველობის პერიოდში (1921-1935 წ.წ.) მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური გაუმჯობესების ამოცანა გადატანილი იქნა უკანა რიგში. ხელისუფლე-

ბა დიქტატორული მეთოდით ინარჩუნებდა მმართველობას, მოსახლეობა ხელისუფლების მიმართ გულგრილად იყო განწყობილი.

მოსახლეობის გავლენის ქვეშ მოქცევის მიზნით კომუნისტური რეჟიმი აძლიერებდა რეპრესიებს. მუდმივი მეთვალყურეობა ჰქონდათ დაწესებული, ხოჯა-მოლების ოჯახებზე და შეძლებულ არასასურველ პირებზე. სულეიმან ბერიძეს აუკრძალეს ჯამის იმამობა. ამ აკრძალვის შემდეგ 1938 წელს ივნისში 80 წელს მიღწეული მძიმე ავადმყოფი ღამით დააპატიმრეს. წაუყენეს ბრალდება, რომ ის იყო სახელმწიფო მტერი, რომ მან გაფრთხილების მიუხედავად უხელმძღვანელა „ბაირამის“ ლოცვას. ბრალდება აშკარა ცილისწამება იყო, მაგრამ ვინ მოუსმინა. არაადამიანური წამების და ცუდი საპატიმრო პირობების შედეგად გარდაიცვალა. გავრცელებული აზრით, რომ ს. ბერიძის ოჯახი სახელმწიფოს მტერია, ოჯახის ყველა წევრს „მავნებლად“ მოიხსენიებდნენ საბჭოთა ეპოქაში, იმისათვის რომ დაედასტურებინათ „მავნებლის“ წოდების ფაქტი, შეადგინეს სცენარი ოჯახის უფროსი შვილის ოსმან ბერიძის მიმართ ტერორისტული აქტის ჩატარება. ოსმან ბერიძეს, სულეიმან ველიაძეს და მამულ ჭურკვიძეს სოფლის არტელის ხელმძღვანელმა დაავალა ხის სახურავის (ყავარის) დამზადება. სახურავის დამზადებისათვის საჭირო წიწვოვანი ხე მხოლოდ მთა ღომას მიმდებარე ტყეში მიპოვებოდა. ამასთან განსაკუთრებით მკაცრი მოთხოვნა წაუყენეს: ძალზე მოკლე დროში უნდა დაემზადებინათ და ყოველდღიურად სახლიდან მთა ღომაზე მიმოსვლისთვის დრო რომ არ დაეკარგათ, ღამე დარჩენილიყვნენ ტყეში. ერთმა მეგობარმა გააფრთხილა ოსმანი, რომ უმზადდებდნენ ტერორს და ფრთხილად ყოფილიყო - დაბინდებამდე სახლში უნდა მოსულიყო და ღამითაც კი გარეთ არ უნდა გასულიყო. მეორე არასაიმედო პირმა ოსმან ბერიძეს ჩუმად აცნობა, რომ მზადდებოდა მისი ადგილზე მკვლელობა ან კიდევ დაპატიმრება და ურჩია გაქცეულიყო თურქეთში თავის გადარჩენის მიზნით. დიდი ფიქრის შემდეგ ოსმანი არც ტყეში გაჩერებულა და არც თურქეთში გაქცეულა. ყოველდღე დაღამებამდე

მიდიოდა თავის საცხოვრებელ სახლში და დილაძღე გარეთაც არ გაიხედავდა. ჩაფიქრებული ტერაქტი, რომ ვერ განახორციელებს, სახლზე ღამით დაუწყეს თვალთვალი. ორი კომკავშირელი ახალგაზრდა ერთი თვის განმავლობაში ღამით სახლთან იყვნენ ჩასაფრებული, რომ ვერაფერს მიაღწიეს, შეწყვიტეს თვალთვალი. ეს ამბავი ახალგაზრდებმა 1968 წელს აღიარეს. სულეიმანის შვილებს მავნებლის ოჯახის ძახილით საზოგადოებაში ყოველთვის ამცირებდნენ ავის მზრახველები, ვიდრე არსებობდა საბჭოთა სისტემა.

რეპრესიები ორი ოჯახით არ დამთავრებულა, სხვა ოჯახებიც იყო ათვალწუნებული. 1928 წელს ჯერი მიღვა შერიფი თურმანიძეზე. მათი აღრინდელი გვარი (ოსმალეთის აჭარაში 253-წლიანი ყოფნის დროს) „თოფუზალოლი“ იყო. სოფლის მოსახლეობა მათ ჩერქეზებს ეძახდნენ, შემოსული არიან ტაო-კლარჯეთიდან. შერიფს მიღებული ჰქონდა სასულიერო განათლება. სხვადასხვა სოფლებში ჯამის იმამად მუშაობდა. მას სამართლიან პიროვნებად მოიხსენიებდნენ. იყო გაბეღული, ფიზიკურად ჯამრთელი, სწრაფი რეაგირების უნარის მქონე. უარყოფით, არასასურველ პირად მიიჩნიეს მისი ტაო-კლარჯეთულ-ჩერქეზული წარმომავლობისა და რაც მთავარია სასულიერო განათლების გამო. გამიზნულიყო მისი ფიზიკური მოსპობა. 1928 წელს ღამით შეიარაღებული ჯგუფი თავს დაესხა შერიფის ოჯახს. სამი შეიარაღებული სახლში შევიდა, დანარჩენები კი სახლს დარაჯობდნენ ოთხივე მხრიდან. შერიფი ელოდა მის მიმართ რეპრესიების განხორციელებას. იყო ფხიზლად, 1928 წლის შემოდგომაზე დაუპატიჟებელი „სტუმრებს“ (მოულოდნელად ოჯახში მისულებს) თავი აარიდა და სახლის მოაჯირიდან (ფარულად) მოისმინა თუ ვინ იყვნენ და რისთვის იყვნენ მისული. სწრაფად გადაწყვიტა გაქცევით ეშველა თავისთავისთვის. მისმა მეუღლე ასევე აბუსელიძემ მოაჯირიდან გადაყარა (ხის ჯარაში დაგროვილი) ნაცარი, დადგა საშინელი მტვერი, გადაადლო ხის ჯარა. ჩასაფრებულებს მოესმათ ვარდნის ხმა, ეგონათ მსხვერპლი

გადახტაო, სწრაფად გაუხსნეს ცეცხლი და როცა ერთი შევსება ტყვიებისა გახარჯეს მოულოდნელად გადხტა შერიფი მოაჯირიდან და სიბნელეში გაიქცა ხეობის მიმართულე-ბით. დაეღვენენ, ტყვიებიც დააყარეს - ბედად ცოცხალი გადარჩა. შერიფმა შესძლო გადამალვა. თავდასხმისას მკლავში დაიჭრა. სოფელ ტბეთში მის ნათესავთან მალულად მოიხრინა ჭრილობა და მისნაირი ღვენილი ადამიანების თანხლებით გადავიდა თურქეთში. მიიღო თავშესაფარი, დასახლდა ბურსის ვილაეთს - ინეგოლში. შექმნა მეორე ოჯახი.

დიდხანს უცნობი იყო შერიფი თურმანიძის ბედი. იყო ვერსია თავდასხმის დროს მძიმედ დაჭრილს დიდხანს არ უცოცხლია. ამ იმედითა და საქვეყნოდ ცნობილი, კეთილი (ნათელმხილველის) სიმამრის, ვერხვანაში მცხოვრები მოლა მამულის წყალობითა და ავტორიტეტით შერიფის ქვრივი მცირეწლოვანი ბავშვით 1944 წლის რეპრესიებს გადაურჩა. ფარულ სამსახურს შერიფის ცოლ-შვილზე დაწესებული ჰქონდა მუდმივი მეთვალყურეობა. ეგონათ შერიფი ჩუმად ოჯახში მივიდოდა და დააკავებდნენ. ეს არ მომხდარა, მაგრამ 1951 წლის დეკემბრის თოვლიან ღამეს, უშიშროების სამსახურის ოთხი შეიარაღებული პირი სოფლის წარმომადგენლის მეგზურობით, მოულოდნელად ოჯახს მიაღვა. მათ განუცხადეს: რომ მისჯილი აქვთ გადასახლება. სახლში იყო მხოლოდ შერიფის მეუღლე - ასე და რძალი სალიე (რუსულ ჯარში გაწვეული შვილის - ნურიდინ თურმანიძის მეუღლე). ჩაატარეს სახლი ჩხრეკა, შეადგინეს სათანადო აქტი, მაგრამ აქტში არ შეიტანეს ქალის ოქროს სამკაული (გულსაკიდი), ოქროს ჯაჭვითა და 19 ცალი მონეტით. უხეშად და დამამცირებლად ექცეოდნენ დაპატიმრებულ ქალებს: დედამთილს და რძალს. მეზობლებსაც კი ნება არ მისცეს ბარგის შეკვრაში დახმარებო-დათ; თუ მეზობლები არ დაეხმარებოდნენ ვერაფერს ვერ გადაიტანდნენ ოჯახიდან 7კმ-ის მოშორებულ მათთვის განკუთვნილ სატვირთო მანქანამდე, შეზღუდულ დროში დაჩქარებით მოახდინეს გასახლება. მოულოდნელობისაგან შეშინებულ ქალები იზოლირებული

შეიქმნენ. მოგვიანებით მეზობლებს დართეს ნება დახმარებოდნენ (წასაღებად საჭირო ნივთების) ბარგის შეკვრაზე და მანქანამდე გადატანისთვის. გადასახლებულთა თითოეულ ოჯახზე განკუთვნილი სატვირთო მანქანების კოლონა საღამოს საათებში ერთდროულად გავიდა უჩამბის თემის კვირიაულის უბნიდან. უხუცესები უბელურ და ტრაგიკულ დღედ იხსენიებენ მთელი მოსახლეობისთვის კომუნისტური რეჟიმის ამ ბოროტ და მზაკვრულ გადაწყვეტილებას.

გასახლებულ პირთა სატვირთო მანქანის ძარაზე მოთავსებისას გადამოწმებული იქნა ყველა გასასახლებელ პირთა შემადგენლობა. ვინაიდან ახალმიყვანილი რძალი არ აღმოჩნდა სიაში ჩამოაცილეს გასასახლებელს. მართოდ ეულად დარჩენილი შერიფის მეუღლე ასეე აბუსელები-თურმანიძისა - უმწეო ქალბატონი ბათუმიდან საბარგო ვაგონებით გაუყენეს შუა აზიისაკენ . გადასახლებულთა განთავსებისთვის შერჩეული იყო უვარგისი ტერიტორიები.

ტანჯული ცხოვრებით ჯანგატეხილმა ქალმა, უცხო ქვეყანაში უარეს პირობებში

ჩავარდნილმა, ენის უცოდინარობის გამო, ვერავის ვერ გაუზიარა თავისი ჭირ-ვარამი. კავკასიურ ბუნებრივ გარემოში ცხოვრება გატარებულმა ქალმა ვერ შეეგუა შუა აზიის ბუნებრივ პირობებს, არ იცოდა იქაური ცხოვრების წესები და ტრადიციები, რაც მთავარია მდინარე სირდაარის ღია არხით მიყვანილი წყლის გამოყენების წესი - დასაღვეად უნდა ესარგებლა გამოხარშული წყალით, მაგრამ არ ჰქონდა წყალის გამოხარშვისთვის საჭირო პირობები, რის გამოც ის ცოცხალი არ დაბრუნებულა.

წართმეული ოქროს სამკაული შერიფის შვილმა - ნურიდინ თურმანიძემ ხელისუფლებაში ჩივილის შემდეგ დაიბრუნა. 1980-იან წლებში თურქეთიდან ტურისტად ჩამოსულ შერიფ თურმანიძეს ხელი შეუშალეს სტუმრად წაბლანაში მოსვლაზე.

კომუნისტურმა რეჟიმმა მსგავს უბედურებში მრავალი უდანაშაულო ადამიანი ჩააგდო. ქვემოთ წარმოგიდგენთ ამ რეჟიმის მიერ განხორციელებული რეპრესიების გრაფიკს მოქალაქეთა დასახელებით:

რეპრესირებული პირები

ნომერი	გვარი, სახელი, მამის სახელი	რეპრესირების სახე	თარიღი	ვის მიერ	შენიშვნა
1	ველიამე მუხამედ დურსუნის ძე	მკვლელობა	1926 წ.	უჩამბის თემის თავრე, სასახლვრო საგუმავოს უფროსი	
2	თურმანიძე შერიფ ინუსის ძე	დაპატიმრება	1928 წ.	უშიშროების სამსახური	გაიქცა თურქეთში
3	ბერიძე ომერ მევლუდის ძე	სიკვდილით დასჯა	1938 წ.	სამხედრო ტრიბუნალი „ტროიკა“	
4	მუთიძე მუხამედ	სამუდამო გასახლება	1938 წ.	„-----“	მიუსაჯეს სიკვდილი გასახლებაში
5	ბერიძე სულეიმან სადიყის ძე	სიკვდილით დასჯა	1938 წ.	„-----“	
6	ბერიძე ბექირ შახიას ძე	სამუდამო გასახლება	1937 წ.	„-----“	

7	თურმანიძე ხულუს მევლუდის ძე	პატიმარი	1937 წ.	„-----„	მოკლეს გზაში
8	ბერიძე აიშე	გასახლება	1944 წ.	„-----„	
9	თურმანიძე ომერ ინურის ძე	10 წელი პატიმრობა	1938 წ.	სამხედრო ტრიბუნალი	დაბრუნდა 1948 წელს
10	თურმანიძე გულაიშე	გასახლება (მცირეწლ. 4 ბავშვით)	1944 წ.	სახელმწიფო უშიშროების სამსახური	3 სული დაბრუნდა - 2 გარდაიცვალა
11	ბერიძე ჰუმაიშე	გასახლება	1944 წ.	„-----„	დაბრუნდა
12	ველიაძე ალიოსმან ეუბის ძე	ჯარში	1939 წ.	სამხედრო კომისარიატი	დაბრუნდა
13	ბერიძე რასიყ მურადის ძე	გაწვევა	1939 წ.	„-----„	დაბრუნდა
14	ბერიძე შუქრი გულას ძე	გაწვევა	1940 წ.	„-----„	უგზო-უკვალ. დაიკარგა
15	მუთიძე ილიას ხასანის ძე	„-----„	1940 წ.	„-----„	დაიღუპა ომში
16	მუთიძე ბექირ ქიბარის ძე	„-----„	1941 წ.	„-----„	დაინვალიდა
17	მუთიძე ალი ქიბარის ძე	„-----„	1941 წ.	„-----„	ჩავარდა ტყვედ
18	ბერიძე ჯეფერ დემურალის ძე	„-----„	1941 წ.	„-----„	დაიღუპა ომში
19	ველიაძე ომერ ჰაჯიას ძე	დაპატიმ. კოდრაბად.	1938 წ.	სასაზღვრო საგუშაგო	
20	ბერიძე ხუსეინ ახმედის ძე	დაპატიმრე.	1935 წ.	სამოქალაქო სასამართლოს მიერ	
21	ბერიძე ალი ქერემის ძე	„-----„	1935 წ.	„-----„	
22	ბერიძე ოსმან თევფიყის ძე	„-----„	1936 წ.	„-----„	
23	თურმანიძე ვალიკო მევლუდის ძე	„-----„	1940 წ.	„-----„	
24	ბერიძე ხუსეინ მუხამედის ძე	„-----„	1940 წ.	„-----„	
25	ბერიძე ნუსრედინ ინუსის ძე	„-----„	1940 წ.	„-----„	
26	ბერიძე მუხამედ ახმედის ძე	ბეგარა	1949 წ.	ადგილობრივი ხელისუფლება	ტყვარჩელის შახტი
27	ბერიძე მევლუდ შაისმეილის ძე	ბეგარა	1949 წ.	„-----„	„-----„

28	ბერიძე დურსუნ ყულფანის ძე	გასახლება	1951 წ.	უშიშროების სამსახური	
29	ბერიძე დემურალ უსეინის ძე	„-----“	1951 წ.	„-----“	
30	თურმანიძე ასიე მამუდის ასული	„-----“	1951 წ.	„-----“	გარდაიცვალა
31	ბერიძე მემედ გულას ძე	ბეგარა „ფეზეო“	1953 წ.		
32	ბერიძე ხუსეინ ახმედის ძე	„-----“			
33	ბერიძე სულიკო ახმედის ძე	„ფეზეო“			
34	მუთიძე შუქრი მუხამედის ძე	დაპატიმრებ „სპეკულიან-ტობის“	1983 წ.	შინაგან საქმეთა სამსახური	
35	თურმანიძე ფატყუმ ოსმანის ასული	ორმაგი სახ. გადასახადი	1958 წ.	სახელმწიფო საგანგებო კომიტეტი ფინ. საქმის წარმ.	
36	თურმანიძე მევლუდ ალის ძე	წვალება ომზე	1941 წ.	სამხედრო კომისარიატი	
37	ბერიძე ბეჩეთ სულიმანის ძე	ზეწოლა	1936-80 წწ.	ადგილობრივი ხელმძღვანელობა	„მავნებელთა ოჯახი“
38	ბერიძე სულიმან სადიყის ძე	განკულა-კება			
39	ბერიძე მალხაზ ბეჩეთის ძე	ზეწოლა გან.სამ.დაწ.	1957-58 წწ		
40	თურმანიძე ილია მევლუდის ძე	ზეწოლა სამ.დაწ.			
41	ბერიძე ხუსეინ დემურალის ძე	გაზრახვა დაპატიმრე.	193.-40 წ წ.	უშიშროების სამსახური	გაიქცა თურქეთში
42	ბერიძე ომერ ყულფანის ძე	გაზრახვა დაპატიმრე.	1937 წ.	უშიშროების სამსახური	გაიქცა თურქეთში
43	ბერიძე სულიმან	გასახლება	1941 წ.		
44	ჭურკვეიძე ხასან	მობილიზაცია	1941 წ.	სამხედრო კომისარიატი	დააბრუნეს გორიდან

კომუნისტური მმართველობის პერიოდში წაბლანის მოსახლეობის მიმართ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გატარებული რეპრესიების სხვადასხვა ფორმების მონაცემი:

№ რიგზე	რეპრესიების სხვადასხვა ფორმების ჩამონათვალი	ჩატარებული რეპრესიების თარიღი	რეპრესირებული პირთა რაოდენობა	რეპრესიების ჩამტარებელი ორგანო	შენიშვნა
1	ტერორისტული მკვლელობა. საზღვარზე დაჭრა - დაპატიმრება	1926 წ. 1941 წ.	2	სასაზღვრო საგუშაგო უჩამბის თემის ხელმძღვანელობა	ადგლზე გადაიცვალა, სასიკვდილოდ დაჭრეს
2	სამხედრო ტრიბუნალის მიერ სიკვდილით დასჯა	1937 წ. 1938 წ.	4	უშიშროების კომიტეტი	უცნობია სად და როდის
3	სამუდამო გადასახლება	1937 წ.	2	უშიშროების კომიტეტი	ერთი ომში დაიღუპა, ორი ციმბირში
4	10 წლიანი პატიმრობა ციმბირში	1938 წ.	1	უშიშროების კომიტეტი	წაბლანაში ცხოვრების აკრძალვა
5	ორი ოჯახის გასახლება ქალები, ბავშვები	1944 წ.	8	უშიშროების კომიტეტი	ოთხი ცოცხალი ვერ დაბრუნდა
6	სამი ოჯახის გასახლება	1951 წ.	13	უშიშროების კომიტეტი	ორი ცოცხალი ვერ დაბრუნდა
7	განკულაკება ერთი ოჯახის	1933 წ.	1	ადგილობრივი ხელისუფლება	შენობ. ხეხილის ბაღის წართმ.
8	რუსულ ჯარში გაწვევა	1939 წ. 1941 წ.	2	სამხედრო კომისარიატი	იძულებითი მუქრა
9	რუსულ ჯარში გაწვევა იძულებით	1940 წ. 1941 წ.	5	სამხედრო კომისარიატი	დაიღუპა 1, უგზო-უკვალ დაიკარგა 1
10	სამოქალაქო სამართლით დაპატიმრება - ცრუ დასმენით	1936-1940 წწ.	5	სასამართლო განაჩენით	
11	„კონდრაბანდისტებზე“ დევნა და ზეწოლა	1927 წ.	3	უშიშროების სამსახური	დაპატიმრება გაქცევით გადარჩენა
12	დაგვიანებით არტელში შესვლის გამო მცირე საკარმ. მიწის 0,25ჰ დაწესება	1938 წ.	20 ოჯახი	ადგილობრივი ხელისუფლება	
13	ფრონტისათვის მობილიზაცია	1941 წ.	3	ადგილობრივი ხელისუფლება	დააბრუნეს 3 თვის შემდეგ
14	„სპეკულანტობისთვის“ დევნა	1975-1980 წწ.	2	შინაგან საქმეთა განყოფილება	ვერ დაუდასტურეს

15	კოლმეურნეობაში დავალებების ცუდად შესრულებისათვის შახტებში იძულებით გაგზავნა	1954 წ.	2	ადგილობრივი ხელმძღვანელობა (კოლმეურნეობის თავმჯდომარე)	დაიღუპა ორივე
16	ქუთაისის საავტ. ქარხანაში იძულებით გაგზავნა - ბეგარაზე	1957 წ.	2	კოლმეურნეობის თავმჯდომარე	ხუთი თვით
17	რუსულ ჯარში გაწვევაზე თავის არიდებისათვის იძულებით ქარხანაში გაგზავნა	1958 წ.	1	ადგილობრივი ხელმძღვანელობა	ერთი წლით
18	სავალდებულო მინიმუმის შეუსრულებლობის გამო: ხორცის, კარაქის, კვერცხის ორმაგი დაბეგვრა	1954 წ.	2	კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საგაეგმო სამსახური	კოლ. თავრ-ის პირადი ინტერესი
19	საბჭოთა მეურნეობებში სამეურნეო საქმიანობის შესრულებისათვის 10 დღიანი ბეგარა	1948-1952 წწ.	20	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა	არ წასვლა სახელმწიფოს ღალატად ირაცხებოდა
20	სამანქანე გზების გაყვანა: ხიხამირი, ჩირუხი, წყალსაყარი-ბეგართ	1942-1956 წწ.	25	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობა	არ შესრულება სახელმწიფო ღალატი
21	ახალგაზ. სამსახ. გაშვებაზე უარი. დაწინ-ზე უშიშროების ვეტო	1958-1965 წწ.	2	ადგილობრივი ხელმძღვანელობა, უშიშროების სამსახური	პირადი შეხედულებით და დამცირებით



უმით მიტყველი სული ლაზეთში და საქართველოში

(სულიერი ხიდის შეფასებით - უმით ოსმანალოლუს წიგნი „ლაზი ვორე“-ს გამო).

- თავისუფლებისათვის ბრძოლა ეს ის ბრძოლაა, რომელიც არასოდეს იცვლება თავისი შინაარსით და ერთადერთია, რაც საერთოა მსოფლიო ხალხებისთვის.

უმით ოსმანალოლუ

უფალს ვთხოვ, შვილი მაჩუქოს.თუ ვაჟი იქნა, დავითს დავარქმევ, დიდი დავით IV აღმაშენებლის პატივსაცემად. დავითი ხომ ჩემი მეფეც იყო და მიყვარს მე ჩემი ძლიერი და გონიერი მეფე. მიყვარს ჩემი ისტორიული სამშობლო.




უმით ოსმანალოლუ

მაღალ ღმერთს საქართველოს გაძლიერებას, ტერიტორიულ მთლიანობას, მშვიდობას შევთხოვ; ქართველი ხალხის წელში გამართვას, სულის სიმტკიცეს, შენარჩუნებას ყოველივე იმისა, რაც ეროვნულია და წმინდა; მე კი ჩემთვის - პატარა ლაზ დავითს.

იმრავალჟამიერე საქართველოვ!
მიყვარხარ ძალიან!

ეს უმით ოსმანალოლუს (ჩვენებურად იმედა ოსმანბატონიშვილი) გულწრფელი განაცხადია თავის წიგნში – „ლაზი ვორე“ („მე ვარ ლაზი“), რომელიც გამოიცა 2014 წელს თბილისში. ჩვენ ვისურვებთ ფართო საზოგადოებისთვის გაგვეცნო თურქეთში მცხოვრები ლაზი კაცის ფიქრები ლაზეთზე და საქართველოზე, მის განცდებზე, გრძნობებზე, მის დიდ სიყვარულზე ისტორიული სამშობლოს მიმართ. წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარემ გიორგი ანდრიაძემ აღნიშნულ წიგნს ორ მეზობელ ხალხებს შორის სულიერი ხიდი უწოდა. უმი-

თი თავის წიგნში მოგვითხრობს: „ხოფა იყო და არის ლაზების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასახლება“. იგი გვამცნობს ფინდიკლს (ვიწე), ქემალფამას (მაკრიალი). ლაზეთის ამ სამ ძირძველი ისტორიულ ადგილებს. ციხის „რკინის პალო“-ს შესახებ იგი წერს: „ჩემი გმირი წარსულის გამო მეამაყება ჩემი ლაზობა!“ „...ჩვენ დაგვიპყრეს და სარწმუნოებისა და სამშობლოს დასაცავად ლაზეთში ლაზების სისხლის მდინარეები ადინეს“ გულითკით მოგვითხრობს უმითი. „...ჩვენ მალულად შემოვინახეთ და დღემდე მოვიტანეთ ლაზური ენა, კულტურა, ადათ-წესები, მაგრამ ზოგი რამ თუ შემოგვეკარგა ამ გრძელ და რთულ გზაზე, ზნე-ჩვეულებებში, ადათში, ცხოვრების წესებში ახალი, განსხვავებული, შეუფერებელი ცოტათი თუ შემოგვეპარა და



დამკვიდრდა, გასაკვირი არ უნდა იყოს და გაგებით მოეკიდოთ“, წერს იგი.

ისტორიულად ლაზები მუდამ თავგანწირულად იბრძოდნენ ქართველ ხალხთან ერთად სამშობლოს, ქრისტიანული სარწმუნოებისა და საკუთარი მიწა-წყლის დასაცავად.



მაკრიალის ციხე

„ქრისტიანული სარწმუნოების ერთგულებასა და სამშობლოს დაცვას შეეწირა (1600-1602 წწ.) 300 ლაზი (მათი რიცხვი უფრო მეტია). ...ჩვენ სარწმუნოებისა და სამშობლისათვის თავმოკვეთილი 300 ლაზი მხედრის გამუსლიმანებული შთამომავლობა ვართ. „ლაზების მცირე ნაწილში ეროვნული თვითმყოფადობა და ქართული სული დღემდე შენარჩუნებულია“. - მოგვითხრობს უმითი. იგი თავს ბედნიერად თვლის, რომ თურქეთში მცხოვრებ 10 000-ზე მეტ ისტორიულად ქართველებს, ჩერქეზებს, ლაზებს საქართველოს მოქალაქეობა მისცეს. მათ რიცხვში თვითონაც არის. უმითი ისტორიული სამშობლოს წარსულისა და დღევანდელი სულით სუნთქავს: „ხოფის სახლში პატარა ლაზური კუთხე მოვაწყვე. ამ კუთხეში გაშლილ სუფრებთან კი ხშირად გათენებადმდეც მიდის სჯა-ბაასი ჩვენს ისტორიაზე, კულტურაზე, ადათ-წესებზე, ლიტერატურაზე, დაკარგულ, დავიწყებულ და ახლადადღგენილ, განახლებულ ურთიერთობებზე, წარსულზე და ზოგადად ყველაფერზე, რაც ლაზეთთან და ლაზებთან არის დაკავშირებული“.

უმითს ერთგული მეგობრები აქაც და იქაც ორივე მხარეს ჰყავს. მის მიერ ტრადიციების შესწავლა-აღდგენაზე მისი ქართველი მეგობრებიც წერენ: „ქართული უნივერსიტეტის დოქტორმა, ბატონმა იაშა თანდილაგამ ქართული უნივერსიტეტის 2012 წლის 6-12 დეკემბრის გამოცემაში - „საპატრიარქოს უწყებანი“, სტატია დაბეჭდა სათაურით „ლაზეთში პირველი ქართული ყურძენი დაიწურა“ „სა-

დაც სიხარულით აღნიშნავდა, რომ სულ მცირე 300 წელია, ლაზეთში ყურძენი არ დაწურულა, შუა ხოფაში კი ლაზმა კაცმა ოჯახში 200 კილო ყურძენი დაწურა და პირველი ჭაშნიკის და შეფასებისათვის ქართველ მეგობრებს დაგვიძახა“.

უმითი დაბეჯითებით გვეუბნება: „მე ვარ ლაზი მშობლიური ენით, ეროვნული ტრადიციებით, ფოლკლორული შემოქმედებით და საკუთარი ზნე-ჩვეულებებით.

დღეს უკვე ვიცი ჩემი ფესვების წარმომავლობა, ვიცი და შეამაყება“.

ჩვენი - ქართველობის ვალაია გაუთბოთ ასეთ ძირძველ ქართული მოდგმის ადამიანებს გული, ვაჩუქოთ მათ სიყვარული. ისტორიული ბედუკლმართობის გამო ნაწვალებსა და ნაძალადეგად დაშორებულს, მაგრამ დღემდე ამაყად და მტკიცედ მყოფს, გაუწოდოთ ძმობისა და მეგობრობის ხელი. მოვეფეროთ მის ეროვნულ სულს.

ავუნთოთ უფლის სალოცავად სანთელი ეროვნული სული გაღვიძებისა და ღმერთის სიყვარულის გაძლიერებისთვის.

უმითს მთელი საქართველო კუთხე-კუნჭული შემოვლილი აქვს. ისტორიული სამშობლოს მიმართ სიყვარულს და აღმაფრენას ასე გადმოგვქცემს: „თურქეთში ჩემი სახლი ქართულ-ლაზურ საოჯახო მუზეუმად ვაქციე, ვცდილობ შევავროვო, შევიძინო ყველაფერი, რაც საქართველოსთან, ლაზიკასთან ასოცირდება. დავით გარეჯიდან, მცხეთიდან, სვანეთიდან, გელათიდან ქვები და მიწაც კი წამოვიღე და შევმატე ჩემ „მუზეუმს“. სხვისი არ ვიცი, მაგრამ ჩეთვის ეს შენაძენი წმინდაა“.

დიდი სიყვარული და სითბო გამოსჭვავის იმ შეხვედრის მონაწილეთა სივრცეში, რომელიც გაიმართა საქართველოს საპატრიარქოში. ამ შეხვედრაზე მიწვეული იყო ჩვენი



გიორგი დავითაძე, რამაზ სურმანიძე, უმით ოსმანაღალღუ, ვაჟა დავითაძე და ჯონი ბარამიძე



გიორგი ანდრიაძე, უმით ოსმანაღაოღლუ და მათი მეგობრები

ლაზი ძმა-უმითი, აი რას წერს იგი: „2011 წლის 31 დეკემბერი არასოდეს, დამავიწყდება. ადრე ვერც წარმოვიდგენდი, რომ ოდესმე ახალი წლის შეხვედრა საპატრიარქოში, მისი უწმინდესობა პატრიარქი ილია II-ის გვერდით მომიწევდა, მის საახალწლო სუფრასთან, მის გვერდით აღმოვჩნდებოდი. ეს ჩემთვის დიდი პატივი იყო, ფაფუკი ხელის შეხება, მისი დალოცვა, შეხვედრა, მიღება დიდი პატივი და დაუვიწყარი იყო ჩემთვის.“

რამხელა სიყვარული, პატივისცემა, ჩახუტება ვიგრძენი იქ მყოფი საზოგადოებისაგან. ჩემთვის ხომ საყვარელია ეს ქვეყანა, მაგრამ მისთვის როგორი ძვირფასი ვყოფილვართ, კიდევ ერთხელ ვიხილე.

შემრცხვა, თორემ სიხარულისაგან ტირილი მინდოდა.

ვფიქრობ, არასოდეს გადაშენდება ერი, რომელიც ასე ელოლიავენ თითოეულ გაბნეულ შვილს. იბრძვის მის დასაბრუნებლად, ცდილობს შინაურად აგრძნობინოს თავი. ჩაიხუტოს და მოეფეროს“.

ლაზეთისა და საქართველოს სიყვარულს უმითი იმითაც ამტკიცებს, რომ მას მეუღლედ



სამი ლაზი: სენერ ანდეროღლი, უმით ოსმანაღაოღლუ, ემრე გურკანი და სტიქაროსნები

ქართველი ქალბატონი ლია ბახუტაშვილი ჰყავს. იგი სისხლ-ხორციელად დაკავშირებულია ისტორიულ სამშობლოსთან, მის ფესვებთან. მისი ურთიერთობები საქართველოსთან, ქართველ მეგობრებთან, მოყვრებთან, სულიერ ძმებთან ერთი ნათელი სხივია მრავალჭირგამოვლილი ჩვენი მოდემის ხალხებისთვის.

„საქართველოსთან და ქართველ ხალხთან ჩემმა მჭიდრო ურთიერთობებმა ჩემი ისტორია მასწავლა. ... ლაზეთი ძველი საქართველოა და მისი მიწა, შესაძლოა უფრო ქართული იყოს, ვიდრე დანარჩენი საქართველო. სწორედ აქ ჩაყარა საფუძველი საქართველოს გაერთიანებას. ამ მიწიდან წამოვიდნენ ბაგრატიონები, ამ მიწაზე დადგა ფეხი წმინდა ნინომ...“. წერს უმითი თავის წიგნში „ლაზი ვორე“. საქართველოზე და ქართველ ხალხზეა შეყვარებული უმით ოსმანაღაოღლუ ეს მისი სიყვარული და გულითი გულიანობა მრავლისმეტყველია იმ ღირებული ფასეულობების წინ წამოწევაში და გაძლიერებაში რამაც დღემდე მოიყვანა საქართველო და ქართველი ერი.




ლია ბახუტაშვილი და უმით ოსმანაღაოღლუ

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ასეთ ღირსეულ და ჭეშმარიტ მამულიშვილს – ძირძველ ლაზს ეროვნული ცნობიერებით ნაღდ ქართველს, როგორიცაა ბატონი უმითი, ჩვენს ქვეყანაში განვახორციელოთ ფართო საზოგადოებისთვის მისი შემოქმედებითი მოღვაწეობის წარდგინება.

ღვთიური მადლი არ მოკლებოდეს ბატონო უმით თქვენს მამულიშვილობასა და ისტორიული სამშობლოს მზისგულიან სიყვარულს! მრავალჟამიერ! ამინ!

ხელვაჩაურის რაიონის მატერიალური კულტურის ძეგლები*


ივერიის ღვთისმშობლის კარიბჭის ეკლესია



მისამართი: სოფელი აჭარისწყალი (ცენტრი). მდინარე აჭარისწყლისა და ხმელეთის გასაყარზე, იქ სადაც სოფლის ერთი მხარე მეორე ნაწილს ხილით უერთდება. აგებულია ტაძარი, ჯერ კიდევ მანამ, სანამ ჯერ კიდევ აჭარისწყლები მშენებლობას დაიწყებდნენ ახალგაზრდებმა მდინარეში ჯვარგამოსახული ქვა იპოვეს, რომელსაც ტაძარში საგანგებო ნიშაში მიუჩინეს ადგილი. ტაძარს აქვს უამრავი შემოწირულობა.

ამჟამად წირვა-ლოცვას აღავლენს მამა თეიმურაზ ყურავა

ფერისცვალების სახელობის ეკლესია



მისამართი: სოფელი ახალშენი. ჯვარ-გუმბათოვანი ტაძარი მდებარეობს ზღვის დონიდან 100 მეტრზე მდინარე ბარცხანის ნაპირზე, აგებულია მეოცე საუკუნის დასაწყისში. აშენებულია რიყის თლილი ქვით. შენობის სიგანე 11 მეტრია, სიგრძე საკურთხევლის ჩათვლით 16 მეტრი, სიმაღლე გუმბათითურთ - 21მეტრი. ტაძარი საუკუნის დასაწყისში ააგეს პონტოელმა ბერძნებმა, რომლებიც აქ 1878 წ. რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ჩამოსახლდნენ.

* მასალები მოგვაწოდა ხელვაჩაურის რაიონის გამგეობა

გვარას ციხე



მისამართი: სოფელი კირნათი (ბათუმიდან 24 კმ.). მდებარეობს მდინარე ჭოროხისა და მაჭახელას წყლის შესართავთან 300 მეტრის მოშორებით და დაშენებულია ხეობის წინ წამოზიდულ კლდოვან ბორცვზე. ციხის კედლების დიდი ნაწილი ჩამოქცეულია, გარდა სამხრეთ-დასავლეთისა და ჩრდილოეთ-დასავ-

ლეთის მონაკვეთისა. შემორჩენილი კედლების მაქსიმალური სიმაღლე 5-6 მეტრია. სავარაუდოდ ციხე ამ ადგილას დაახლოებით VI-VII საუკუნეებში არსებობდა. ხელსაყრელი ადგილმდებარეობის გამო ციხე მოგვიანებითაც გამოუყენებიათ, XI-XIII საუკუნეებში მისი აღდგენა-განახლება უნდა მომხდარიყო.

თეოდორეს ეკლესია



მისამართი: სოფელი ქველა ჯოჭო. ტაძარი ეკურთხა 2014 წლის ნოემბერში. ამჟამად წირვა-ლოცვას აღავლენს მამა ანდრია თურმანიძე

ლაზური მუზეუმი



მისამართი: სოფელი სარფი. დაფუძნდა 2012 წელს, მუზეუმში განთავსებულია მხატვრის, ხასან ჰელიმიძის ნამუშევრები და

ლაზური ეთნოგრაფიული ექსპონატები, რომლებიც წლების განმავლობაში ინახებოდა მოსახლეობაში.

მარადიდის მეჩეთი



მისამართი: სოფელი მარადიდი. მეჩეთის მშენებლობა დაიწყო 1907 წელს და 1912 წელს დასრულდა. შენობა არის ქვის და

კვირაში სამი დღე მიმდინარეობს ლოცვა. ლოცვას ატარებს თამაზ დიდმანიძე.

თოფი „მაჭახელა“ მონუმენტი



მისამართი: სოფელი მაჭახლისპირი. „მაჭახლობის სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით 2007 წლის სექტემბერში მაჭახლური წარმოების „მაჭახელად“ წოდებულ თოფს ძეგლი დაუდგეს. ძეგლი აღმართულია მაჭახლის ხეობის დასაწყისში, იქ სადაც მდინარე მაჭახელა ჭოროხს უერთდება. აქედან იწყება მაჭახლის ხეობა. ძეგლი საზეიმოდ გაიხსნა მაჭახლობის პირველი დღესასწაულის დღეს, 2007 წლის 25 სექტემბერს. ეს პირველი ძეგლია რომელიც ქართულ იარაღს ეძღვნება. ძეგლი, მაჭახლური იარაღის დიდება და უკვდავებაა. იგი მუდამ შეგვახსენებს ნაგერვაძეების, ქავთარაძეების, გვიანიძეების, გორგაძეების, ძნელაძეების, კახიძეების და სხვათა სახელებს, ანუ იმათ სახელებს, ვინც ეს იარაღი შექმნა და შთამომავლობას უანდერძა მათი უკვდავების სიმბოლოდ. ძეგლში მაჭახლის ისტორია ამოიკითხება. ეს ისტორია დწერეთელმა ლაკონურად ასე დაახასიათა: „პატარა მაჭახელი არის ცოცხალი ისტორია საქართველოსი“—ეს წარწერა ამშვენებს თოფის ქანდაკებას. მაჭახელას ძეგლის დადგმის, ისე როგორც „მაჭახლობის სახალხო დღესასწაულის დაწესების იდეა ეკუთვნის ისტორიკოს-ეთნოგრაფს, ქვედა ჩხუტუნეთის მკვიდრს, როინ მალაყმაძეს (იმდროისთვის ხელვაჩაურის საკრებულოს თავმჯდომარეს). ქანდაკების ავტორები არიან ძმები კანა და კობა ხოფერიები.

მაჭახლის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი



მისამართი ზედა ჩხუტუნეთი. გაიხსნა 1984 წლის 9 ივნისს. მუზეუმის გახსნის ინიციატორი და დამაარსებელია - სოფელ ზედა

ჩხუტუნეთის მკვიდრი ზურაბ ნაგერვაძე. შენობა თავისი ხუროთმოძღვრული ორნამენტებით სამუზეუმოა. 2012 წელს ჩატარდა მუზეუმის შიდა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

მახოს თაღოვანი ხიდი



მისამართი: სოფელი მახო. ხიდი აგებულია მდინარე მახოსწყალზე, რომელიც ჭოროხის მარცხენა შენაკადთან, სოფელ მახოში მდებარეობს. იგი ერთთაღიანი წრიული ფორმისაა. ხიდი ნაგებია კარგად გათლილი კვადრატული ფორმის ქვით, ზოლო მისასვლელი - ფლეთილი ქვით, მახოში მდებარეობს. იგი ერთთაღიანი კირის ხსნარზე.

მირვეთის თაღოვანი ხიდი



მისამართი: სოფელი მირვეთი. მირვეთის თაღოვანი ხიდი. მისამართი: სოფელი მირვეთი. მდებარეობს აჭარისწყლის გადასახვევიდან 3460 მეტრზე. ხიდი აშენებულია ჭოროხის წყლის მარჯვენა შენაკადზე XIII საუკუნეში. 2013 წელს ხიდს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია.

სოფელ ხელვაჩაურის მეჩეთი



მისამართი: სოფელი ხელვაჩაური. აშენდა 1896 წელს. ამჟამად მოქმედია. ლოცვას ატარებს მუფთი ბეგლარ ქამაშიძე.

ყოვლადწმინდა სამების ეკლესია



მისამართი: სოფელი სამება.

ყოვლადწმინდა სამების დედათა მონასტერი



მისამართი: სოფელი სამება. სამების ეკლესია აგებულია აჭარა-გურიის ქედის შავიზღვისპირა დაბლობის დასავლური განშტოების გორაკზე, ზღვის დონიდან 400 მეტრზე. სამების ეკლესია 1875 წლამდე უვნებელი ყოფილა, მაგრამ 1877-1878 წლების რუსეთ-

თურქეთის ომის დროს ოსმალებს აუფეთქებიათ.

დღეისათვის მიმდინარეობს სამების ყოვლადწმინდა სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა, რომელსაც ღირსეული მამულიშვილი ბატონი შალვა ბრეუსი აშენებს.

ცხემლარას თალოვანი ხიდი



მისამართი: სოფელი ცხემლარა. ცხემლარას ხიდი მდებარეობს მდინარე მაჭახელაზე, ბათუმი-ხულოს ცენტრალურ გზაზე მდებარე სოფელ აჭარისწყლიდან 7-8 კმ-ის დაშორებით. ამ ხიდით სარგებლობდა

სოფელ ცხემლარას მოსახლეობა XX საუკუნის 60-იან წლებში, ახალი სამანქანე ხიდის აშენებამდე. 2008 წელს ცხემლარას ხიდს სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა.

წმინდა ანდრია პირველწოდებულის მონუმენტი



მისამართი: სოფელი სარფი

წმინდა ანდრია პირველწოდებულის ეკლესია



მისამართი: სოფელი სარფი. სარფის ტაძრის მშენებლობას საფუძველი 2004 წელს ჩაეყარა. ტაძარი ძირითადად მასიური ქვითაა ნაშენი, რაც მშენებლობის განსაკუთრებულ სირთულეებზე მიუთითებს. სარფის ტაძარი ძველი ტაო-კლარჯეთის ხუროთმოძღვრული სტილითაა წარმოდგენილი და შუა საუკუნეების შემდგომ განვითარებული ქართული ხუ-

როთმოძღვრული არქიტექტურის ნიმუშს წარმოადგენს. ტაძარში მოცემულია საქართველოში გავრცელებული ჩუქურთმის თითქმის ყველა სახეობა. მასში გამოყენებულია ლორფინით (ლორფინის ქვა) გადახურვის მეთოდი, რაც უძველესი ქართული ტრადიციის გავრძელებად მიიჩნევა. სარფის წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარი 2012 წლის 19 ოქტომბერს ეკურთხა.

შინაარსი

შალვა ველიამი	
ღმერთთან ერთგულებით ვუერთგულოთ სამშობლოს!	3
შუშანა ფუტყარამი, როინ მაღაყმაი	
აჭარის დიდებული წარსულის ფურცლები. ლაკლაკიძეების ჭედური ხატი	7
ნოდარ კასიმი	
მაჭახლის ხეობა (უძველესი დროიდან 1921 წლამდე)	13
შოთა ზოიმი	
სახალხო მოქმელთა დინასტია ჭვანის ხეობიდან	22
ზურაბ გორბილაი	
აბოს ფერფლი	29
იქნებ	30
ფრიდონ ხალვაში	
მე არ ვიქნები შენი სტუმარი	31
ჯილდო	31
ბალადა მეჩონგურეზე	32
მემნ ღავითაი	
აჭარა – ზღვასთან გართხმული ლომი	33
გულნარა სოლომონი	
ფიქრიე ხიმშიაშვილს, მელაანთ ხიმშიაშვილს	34
ნესტან მამუჭაი	
მედიის ფუნქციათა ინტერპრეტაციისათვის	36
ამირან კასიმი, თამარ შალიკაი	
ჭოროხის ქვემო წელის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები (მახოს რომაული ხანის სამარხები)	39
მალხაზ ბერიმი	
კომუნისტური რეჟიმის რეპრესიები ერთი სოფლის წარსულის ჩვენებით	44
გიორგი ველიჯანაშვილი	
ფიქრით მეტყველი სული ლაზეთზე და საქართველოზე (სულიერი ხიდის შეფასებით უმით ოსმანაღაოღლუს წიგნის „ლაზი ვორე“-ს გამო)	56
ხელვაჩაურის რაიონის მატერიალური კულტურის ძეგლები	59

ჟურნალი „ლაკლაკეთი“ მაღლობას უხდის ბატონ ნადიმ ვარშანიძეს (ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგებელი) ჟურნალის მე-4 ნომრის გამოცემაში გაწეული ფინანსური მხარდაჭერისთვის, ამასთან ქველმოქმედების მსურველთ ვთხოვთ ფინანსური შეწყენის სურვილის შემთხვევაში დაგვიკავშირდნენ ნომერზე: მობ: 591 71 57 70.

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნაზი ველიაძე

დამკაბადონებელი: ანაიდა ავეტისიანი

ჟურნალი „ლაკლაკეთი“ დაიბეჭდა: ბათუმი, „პოლიგრაფ 2010“
თებერვთლი, 2015 წელი. ტირაჟი: 150. ფასი შეთანხმებით.

ჟურნალი გამოდის სამ თვეში ერთხელ. გარეკანის პირველ გვერდზე ლაკლაკიძეების ღვთისმშობლის ჭედური ხატი, მეოთხეზე - სარფის ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესია.

დამფუძნებელი: შპს „ლომსიანთა“, ელ. ფოსტა lomsianta@mail.ru; მ/ო საჯარო რეესტრი რ/ნ 447860609; თარიღი 22. 03. 2013; საქართველოს ბანკი, ბანკის კოდი: BAGAGAE22 ანგარიშის ნომერი: GE75BG0000000306366200

რედაქციის მისამართი: შუახევის რაიონი, სოფელი წაბლანა.
ელ. ფოსტა laklakti2013@mail.ru, shalvaveliadze@gmail.com,
ტელ: 591 71 57 70; 790 25 76 20.



წმინდა ანდრია პირველწოდებულის მონუმენტი

